ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 46
(12 014)

20 – 22 ივნისი, 2006 წ.

ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან • გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.org.ge/lelo

ფეხბურთში XVIII მსოფლიო ჩემპიონატი

FIFA FUSSBALL-WELTMEISTERSCHAFT DEUTSCHLAND 2006




## ინტერტოტოს თასი. I ეტაპი. პირველი მატჩი

**18 ივნისი. ერევანი. სტადიონი „რაზდანი“ 1.000 მაყურებელი**

**კილიკია (ერევანი, სომხეთი) – დინამო (თბილისი, საქართველო) 1-5**

**კილიკია:** კირაკოსიანი, ალექსანიანი, ბაღდასარიანი, მოსკანიანი, ბახოიანი (მოვსესიანი, 64), ს. ერზრუმიანი, ნ. ერზრუმიანი (ჰაკობიანი, 76), ვარდანიანი, ზაქარიანი, ნაზარიანი, ხოვშემიანი.

**დინამო:** ლორია, შ. კაშია, ს. ორბელაძე, გრიგალაშვილი (ჩირიკაშვილი 68), გიგაური, გ. მერებაშვილი, ს. კობახიძე, ამბროზიო, ჯ. დვალი (ზ. ჯანაშია, 76), ხუციშვილი, ტერნინი (ბობოხიძე, 58).

**გოლები:** 0-1 ტერნინი (36), 0-2 დვალი (38), 1-2 ნ. ერზრუმიანი (42), 1-3 დვალი (58), 1-4 ხუციშვილი (72), 1-5 ბობოხიძე (90).

**გააფრთხილეს:** ალექსანიანი (16), ტერნინი (20), ხუციშვილი (28), კაშია (59) გიგაური (78).

**მსაჯი:** მ. ბორსკი (პოლონეთი).



# «დინამომ» მოგებით დაიწყო

ჩვენში საფეხბურთო სეზონი თბილისის „დინამომ“ ინტერტოტოს თასზე ასპარეზობით გახსნა. დინამოელები ერევანს ესტუმრნენ და ადგილობრივი „კილიკია“ „რაზდანის“ სტადიონზე პირწმინდად დაჯაბნეს. **კახა კაჭარავას** მთავარი მწვრთნელის პოსტზე ჩინებული დებიუტი გამოუვიდა. თბილისელები მთელი მატჩის განმავლობაში სრულ უპირატესობას ფლობდნენ, რაც ტაბლოზეც ნათლად აისახა. საკმაოდ ნელ ტემპში მიმდინარე მატჩში, სტუმრებმა ხუთი გოლის გატანა მოახერხეს და მეორე ეტაპზე გასვლის საკითხი, ფაქტობრივად, გადაწყვიტეს. მასპინძლების რბევა „დინამოს“ ბრაზილიელმა დებიუტანტმა ტერნინმა დაიწყო, რაც მისმა თანაგუნდელებმა მონდომებულად გააგრძელეს და წარმატებით დაასრულეს კიდეც. ერთ კვირაში „კილიკია“ თბილისს ეწვევა, მაგრამ საპასუხო მატჩს ახლა, მხოლოდ ფორმალური ხასიათი ექნება. მომდევნო ეტაპზე „დინამოს“ მეტოქე გაცილებით ძლიერი ავსტრიული „რიდი“ იქნება. (*I ეტაპის შედეგები იხ. მე-4 გვ.*)

# კრივი თავს გვაწონებს.... პრესკონფერენცია

მისასალმებელია, რომ დღეს საქართველოს ეროვნული სპორტული ფედერაციების სათავეში ახალი ხელმძღვანელობის მოსვლასთან ერთად სპორტის ამა თუ იმ სახეობის შემდგომი განვითარებისა და პრობლემების მოგვარების რეალური პერსპექტივა ჩნდება. ეს უკვე პრაქტიკითაა დადასტურებული, დადებითი ტენდენცია კი გრძელდება.

არც თუ დიდი ხნის წინათ, კრივის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტად კახეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული **პეტრე ცისკარიშვილი** აირჩიეს.

ცხადია, თავისთავად არაფერი მოდის, მით უფრო, მაღალი სპორტული მიღწევები, მაგრამ იმაში, რომ ამას წინათ, რუმინეთში გამართულ მოკრივეთა საერთაშორისო ტურნირში წარმატებით იასპარეზეს ჩვენმა წარგზავნილებმა, ფედერაციის მაორგანიზებელი წვლილი ნამდვილადაა, რუმინეთში მოპოვებულია ერთი ოქროს მედალი — **კობა ფხაკაძე** (57 კგ), და ბრინჯაოს ორი მედალი — **დავით წიკლაური** (81), და **იუზა გულორდავა** (მძიმე).

სწორედ ამ წარმატებამ მისცა საბაბი კრივის ეროვნული ფედერაციის ახალ ხელმძღვანელობას ჩაეტარებინა პირველი (მათთვის) პრესკონფერენცია, რომელზედაც ზემოხსენებულ მიღწევასთან ერთად ლაპარაკი იყო მომავლის პერსპექტივებზე. როგორც პ. ცისკარიშვილმა განაცხადა, ყველაფერი გაკეთდება, რათა გაუმჯობესდეს სპორტის ამ სახეობის ინფრასტრუქტურა ქვეყანაში. უკვე წლეულს კრივის ახალი დარბაზები აიგება სამცხე-ჯავახეთსა და მესტიაში, სადაც კრივი დიდი პოპულარობით სარგებლობს ახალგაზრდებში. გაისიდან კი ქვეყნის სხვა რეგიონებშიც შეიქმნება კრივში მეცადინეობის პირობები, ცხადია, უპირველესად, სპორტული ბაზების ქსელის გაფართოების ხარჯზე. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობით კრივის სექციებისთვის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სპორტული ბაზებიც იქნება გამოყენებული. ყველაფერი გაკეთდება ნაკრები გუნდების ხელშესაწყობად ტურნირებში მონაწილეობის ჩათვლით.


პეტრე ცისკარიშვილი

ჟურნალისტების წინაშე წარსდგა აგრეთვე ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი **დავით ცერცვაძე**, რომელმაც გუნდისა და პერსპექტიული სპორტსმენების მოსალოდნელ წარმატებებზე გაამახვილა ყურადღება.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარემ **დავით ნამგალაურმა** ილაპარაკა ნაკრების წევრებისა და მათი მწვრთნელების მატერიალურ წახალისებაზე. აღნიშნა ფედერაციის გააქტიურება და მისი მიზანმიმართული, ეფექტური საქმიანობა.

ცოტნე ბაქრაძე.

## ხვალ მუზეუმი ახალსახლობას იზეიმებს

ხვალ, 13 საათზე საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში საზეიმოდ გაიხსნება საქართველოს სპორტული მუზეუმის ახალი ადგილსამყოფელი. შეგახსენებთ, რომ ადრე ეს მუზეუმი თბილისის სპორტის სასახლეში იყო მოთავსებული.

„ლელოზე“ ხელმოწერა გრძელდება
3 თვით — 10 ლარი და 80 თეთრი
6 თვით — 21 ლარი და 60 თეთრი
ხელმოწერის გასაფორმებლად გირჩევთ მიმართოთ „საქპრესას“, „მაცნეს“, „ინფოსერვისს“, „უწყებანს“

# ჯგუფური ეტაპი

20.06, 18.00 ეკვადორი – გერმანია
20.06, 18.00 კოსტა-რიკა – პოლონეთი
20.06, 23.00 შვედეთი – ინგლისი
20.00, 23.00 პარაგვაი – ტრინიდადი
21.06, 18.00 პორტუგალია – მექსიკა
21.06, 18.00 ირანი – ანგოლა
21.06, 23.00 ჰოლანდია – არგენტინა
21.06, 23.00 კოტ დ'ივუარი – სერბეთი
22.06, 18.00 ჩეხეთი – იტალია
22.06, 18.00 განა – აშშ
22.06, 23.00 იაპონია – ბრაზილია
22.06, 23.00 ხორვატია – ავსტრალია
23.06, 18.00 საუდის არაბეთი – ესპანეთი
23.06, 18.00 უკრაინა – ტუნისი
23.06, 23.00 ტოგო – საფრანგეთი
23.06, 23.00 შვეიცარია – კორეა

# გუშინ:

გუშინ G ჯგუფში შვეიცარიის ნაკრებმა 2-0 დაამარცხა ტოგოს გუნდი და კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა მერვედფინალისაკენ. ჯგუფიდან გასასვლელად კობი კუნის შეგირდებს ფრეც ჰყოფნით ბოლო ტურში კორეელებთან

**G ჯგუფი. მატჩი №30. დორტმუნდი. 66 000 მაყურებელი.**

**ტოგო – შვეიცარია 0-2 (0-1)**

**ტოგო:** აგასუ, ნიბომბე, ჩანგაი, ფორსონი, ასიმიუ, აგდო (სალიფუ, 25), დოსევი (სენაია, 69), შერიფ ტურე (მალმი, 87), რომაო, ადებაიორი, კადერი.

**შვეიცარია:** სუბერბიულერი, სენდეროსი, მიულერი, დეგენი, მანინი, ფოგელი, კაბანიასი (შტრელერი, 77), ვიკი, ქიგაქსი (იაკინი, 46), ბარნეტა, ფრაი (ლუსტრინელი, 87).

**გოლები:** 0-1 ფრაი (16), 0-2 ბარნეტა (88).

**გააფრთხილეს:** სალიფუ (45), ადებაიორი (87), რომაო (53), ფოგელი (90)

**არბიტრი** ამარილია (პარაგვაი)

საუდის არაბეთი – უკრაინა 0-4

ესპანეთი – ტუნისი 3:1

# ბალაკი: „კლინსმანი უნდა დარჩეს“

გერმანის ფეხბურთელთა ნაკრების კაპიტანმა მიხაელ ბალაკმა ჟურნალისტებთან საუბარში გამოთქვა მოსაზრება, რომ გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტზე მსოფლიო ჩემპიონატის დასრულების შედეგად იურგენ კლინსმანმა უნდა იმუშაოს.

„მინდა რომ ნაკრების სათავეში ისევ კლინსმანი ვიხილო. ამჟამინდელი გუნდი კიდევ უფრო განვითარდება, მოთამაშეებს ჯერ კიდევ არ წარმოუჩენიათ სრულად თავიანთი პოტენციალი, ამაში მათ კლინსმანი დაეხმარება“, – ამბობს ბალაკი.

# პარლამენტარებს ფეხბურთი უყვართ

ბანგლადეშის პარლამენტის სპიკერი ასტარ ჰამიდი აპირებს, შეამციროს სესიებისათვის განკუთვნილი დრო, რათა პოლიტიკოსებს საშუალება ჰქონდეთ, თვალყური ადევნონ მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩებს.

| | A ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | გერმანია | | 4:2 | 1:0 | | | |
| 2 | კოსტა რიკა | 2:4 | | | | | |
| 3 | პოლონეთი | 0:1 | | | 0:2 | | |
| 4 | ეკვადორი | | | 2:0 | | | |

| | B ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ინგლისი | | 1:0 | 2:0 | | | |
| 2 | პარაგვაი | 0:1 | | | 0:1 | | |
| 3 | ტრინიდადი | 0:2 | | | 0:0 | | |
| 4 | შვედეთი | | 1:0 | 0:0 | | | |

| | C ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | არგენტინა | | 2:1 | 6:0 | | | |
| 2 | კოტ დ'ივუარი | 1:2 | | | 1:2 | | |
| 3 | სერბეთი | 0:6 | | | 0:1 | | |
| 4 | ჰოლანდია | | 2:1 | 1:0 | | | |

| | D ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მექსიკა | | 3:1 | 0:0 | | | |
| 2 | ირანი | 1:3 | | | 0:2 | | |
| 3 | ანგოლა | 0:0 | | | 0:1 | | |
| 4 | პორტუგალია | | 2:0 | 1:0 | | | |

| | E ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | იტალია | | 2:0 | 1:1 | | | |
| 2 | განა | 0:2 | | | 0:2 | | |
| 3 | აშშ | 1:1 | | | 0:3 | | |
| 4 | ჩეხეთი | | 2:0 | 3:0 | | | |

| | F ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბრაზილია | | 2:0 | 1:0 | | | |
| 2 | ავსტრალია | 0:2 | | | 3:1 | | |
| 3 | ხორვატია | 0:1 | | | 0:0 | | |
| 4 | იაპონია | | 1:3 | 0:0 | | | |

| | G ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | საფრანგეთი | | 0:0 | 1:1 | | | |
| 2 | შვეიცარია | 0:0 | | | 2:0 | | |
| 3 | კორეა | 1:1 | | | 2:1 | | |
| 4 | ტოგო | | 0:2 | 1:2 | | | |

| | H ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ესპანეთი | | 4:0 | 3:1 | | | |
| 2 | უკრაინა | 0:4 | | | 4:0 | | |
| 3 | ტუნისი | 1:3 | | | 2:2 | | |
| 4 | საუდის არაბ. | | 0:4 | 2:2 | | | |



# ქველმოქმედება ძეგვსა და წიწამურში

**სპორტის აკადემია**

გასულ კვირა დილით, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის წინ უჩვეულო გამოცოცხლება შეიმჩნეოდა. სტუდენტები და ლექტორთა ერთი ჯგუფი აქ შეიკრიბა საქველმოქმედო აქციისთვის ძეგვსა და წიწამურში გასამგზავრებლად. აქციის მონაწილეები გააცილა და გზა დაულოცა აკადემიის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფესორმა **ჯემალ გუგუშვილმა.**

„ძეგვში სტუმრობისთვის დიდხანს ვემზადებოდით, მთელი აკადემია დაგვიდგა გვერდით. შევაგროვეთ ნივთები, სპორტული ინვენტარი, შევიძინეთ პროდუქტები. გვინდა ჩვენი წვლილი შევიტანოთ მშობელთა მზრუნველობა მოკლებულ ძეგვის ბავშვთა სახლში მცხოვრები მოზარდების ყოფის გაუმჯობესებასა და გახალისებაში" — თქვა აკადემიის სტუდენტთა თვითმმართველობის ხელმძღვანელმა, III კურსის სტუდენტმა **სალომე სარჯველაძემ.**

სტუმრებს შეეგება ბავშვთა სახლის დირექტორის მოადგილე, ქალბატონი **ნანა გოგოჭური** — „დედა ნანა", როგორც აქ აღსაზრდელები მას მიმართავენ.

როგორც შევიტყვეთ, აქაური მოზარდები სპორტის სხვადასხვა სახეობაში, განსაკუთრებით კი ფეხბურთის და რაგბის სექციებში სამეცადინოდ დადიან თბილისსა და მცხეთაში, მართალია, უჭირთ, მაგრამ მაინც...

ძეგვიდან სტუდენტებმა და მასწავლებლებმა **მ. როგავამ, ლ. ბიბილეიშვილმა, ტ. გულბიანმა** და **თ. გაჩეჩილაძემ** წიწამურისკენ აიღეს გეზი. სტუდენტთა თვითმმართველობას და მწვრთნელთა ფაკულტეტს, აკადემიის ილიაოლოგთა კლუბთან ერთად ვალდებულება აქვს აღებული მოუაროს და უპატრონოს წიწამურის მემორიალს, რომელიც დიდი ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ადგილზეა აღმართული და სამწუხაროდ, მოვლა-პატრონობა აკლია. სტუდენტები და მასწავლებლები ამჟამად სამეურნეო ინვენტარით შეიარაღებულები ეწვივნენ ობელისკს და იქაურობის გულმოდგინედ გაწმენდა-დასუფთავება აღარ გაჭირვებიათ.

სტუდენტებს არასდროს დაავიწყდებათ ილიას მკვლელობის ადგილზე, ღია ცის ქვეშ, ლექტორის, ქალბატონ მედეა როგავას მგზნებარე საუბრები დიდი წინაპრის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, მის როლსა და ადგილზე ქართველი ერის ცხოვრებაში.

შემდეგ აქციის მონაწილეებმა ჯვრის მონასტერი, სვეტიცხოველი და დედათა მონასტერი მოინახულეს.

**თორნიკე გაჩეჩილაძე,**
**I კურსის სტუდენტი.**






# «სურფ გეორგის» ტრადიციული

კლუბი „სურფ გეორგი" ტრადიციულად ატარებს ღია ტურნირს კიოკუშინკაი კარატეში. ლ. თედიაშვილის სახელობის საჭიდაო კომპლექსში ამჯერად 8-9, 10-11, 12-13, 14-15, 16-17 წლის ჭაბუკები, 8-11 და 12-14 და 15-17 წლის გოგონები იბრძოდნენ პირველობისთვის.

ასაკობრივ ჯგუფებში გამარჯვებულები გამოვლინდნენ რამდენიმე წონით კატეგორიაში. გაგაცნობთ მათ სახელებს: ჭაბუკები. **8-11 წწ:** რუდიკ ბაგრატიონი, იური მორჩილაძე და გრიგორ ხერუბოვი: **10-14 წწ.** გიორგი კაკულია, ლუკა გიორგობიანი, ზურაბ ჭაბაშვილი; **12-13 წწ:** ანრი ელიზეკიანი, იური ნაზაროვი, სერგო ნაზაროვი; **14-15 წწ:** რუბენ ცატურიანი, მიხეილ ჯაგინიანი, გიორგი ქოპიაშვილი, გიორგი ასლანიანი; **16-17 წწ:** გოგა ჩიხორია, არტურ გევორქიანი. გოგონები: **8-11 წწ.** მარიამ მორჩილაძე; **12-14 წწ:** ნინო საბიაშვილი; **15-17 წწ.** ნინო ჩიქოვანი.

**სურათზე:** გამარჯვებულები.

**ფოტო რობერტ ბაგოიანისა.**



# ამაგდარი

## ზურაბ ჯავახაძე 70 წლისაა

დიდი სიმონ ჩიქოვანი ბრძანებს:

— „ყველაფერი გაჰქოლვილა ფიქრით,
დახუნძლული რტო არის და ნაკადია.
წინ გადიფრენს მოგონება სიყრმის,
საგულეში ბარტყივით რომ გვაბადია".

გრძელი წელიწადები ვერ აფერმკრთალებენ, ნირს ვერ უცვლიან დიდ ადამიანთა ნამოღვაწარს, მათ ხელთქმნილს. ზურაბ ჯავახაძე იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, ვინც მთელი ცხოვრება ქმნის, იღწვის და იწვის. ის ბევრს მუშაობს, ბევრს წერს, ეძებს და პოულობს კიდეც. ამიტომაც არის, რომ მისი ნაღვაწი და ნამოქმედარი ყველასათვის თვალსაჩინოა, ყველასათვის ხელმისაწვდომი, მისაღები და გასათვითცნობიერებელია.

ზურაბ ჯავახაძის გარჯა — სიკეთითა და ეროვნული ხიბლით სავსე — მუდამ ჩანდა და ჩანს. იგი ვერც დაიმალება, ისე როგორც ეკლესია მაღალ მთის წვერზე.

...„წინ გადიფრენს მოგონება სიყრმის":

გასული საუკუნის სამოციანი წლების ბოლოს გავიცანი ეს დიდებული პიროვნება. მე მაშინ 21 წლის ჭაბუკი გახლდით. იმ პერიოდში ქუთაისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ვსწავლობდი, ამავე დროს გაზეთ „ქუთაისში" ვაქვეყნებდი ინტერვიუებს ფეხბურთელებთან, მოჭადრაკეებთან, მათ მწვრთნელებთან. ამავე წელს (1970 წ.) გაზეთის ხელმძღვანელობის დავალებით ანალიზს ვუკეთებდი ქუთაისის „ტორპედოს" მონაწილეობით საბჭოთა კავშირის პირველობაზე ჩატარებულ მატჩებს. სწორედ მაშინ, მე და ბატონი ზურაბი ერთმანეთის გვერდით აღმოჩნდით „ტორპედოს" მწვრთნელთა და სათადარიგო მოთამაშეთა სკამის სიახლოვეს. მატჩის შემდეგ (რადგანაც ჩემს ანალიზს არ აგვიანდებოდა — გაზეთი „ქუთაისი" სამი დღის შემდეგ გამოდიოდა) ფეხით გავყევით გზას. ზურაბი ყოველთვის საინტერესო მოსაუბრე გახლდათ და გახლავთ; ენციკლოპედიური მეხსიერება, საუბრის მისაღები დიქცია, „თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობა", ზოგჯერ, საჭიროების დროს, იუმორით შეზავებული თხრობის მანერა ხიბლავს მის თანამოსაუბრეს და მისდამი დიდი პატივისცემის გრძნობით განაწყობს.

... „წინ გადიფრენს მოგონება სიყრმის":

... 1970 წლის ბოლოს ბატონმა ზურაბმა სპორტული მუზეუმის გახსნაზე მიმიწვია. როგორც შევიტყე, თურმე იგი ამ საკითხზე დიდი ხანია მუშაობდა, მაგრამ ჩანაფიქრს არავის უმხელდა. 1970 წლის 21 დეკემბერს ჩვენს ქალაქში სპორტული მუზეუმი დაფუძნდა. გულშემატკივრები აღფრთოვანებული დავრჩით მუზეუმის მესვეურის მაღალი ინტელექტით, მისი მონდომებითა და პრაქტიკული შედეგით. მალე სპორტული მუზეუმი ქ. ქუთაისში მცხოვრებთა და სტუმართა ერთ-ერთ სასურველ და აუცილებლად მოსანახულებელ ობიექტად იქცა. მუზეუმის შესახებ წერდნენ, ფოტოსურათებს უღებდნენ, ჰყვებოდნენ... მისი დამაარსებელი მიღწეულით არ კმაყოფილდებოდა: აფართოებდა ფართსაც და ექსპონატებსაც.

„წლები გარბიან წლების სისწრაფით,
ზათქით, ზუზუნით, სტვენით" — ბრძანებს მორის ფოცხიშვილი.

... ოცდაათ წელზე მეტი ვიმუშავე ქ. ქუთაისის რეზინის ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხანაში, თითქმის ცამეტი წელი დირექტორის მოადგილე გახლდით, ათ წელზე მეტი — დირექტორი. მრავალი სასურველი სტუმრის გულღია მასპინძელი ვყოფილვარ ამ ხნის მანძილზე. ვინ არ ჩამოსულა ჩვენთან: რა პროფესიისა და თანამდებობის, რომელი ერისა და ეროვნების წარგზავნილებისათვის არ გაგვიღია ჩვენი ქალაქის, ქარხნისა და გულის კარები. ოფიციალური თუ არაოფიციალური შეხვედრების შემდეგ, ქართულ სუფრასთან დაჯდომამდე „სამარშრუტო ხაზის" ერთ-ერთი „გაჩერება" აუცილებლად იყო სპორტული მუზეუმი. ჩვენი სტუმრები აღტაცებასა და აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ ნანახითა და განცდილით. აღქმა და გამოხატვა ექსპონატთა სიუხვესთან და ავტორის მოღვაწეობასთან დაკავშირებით ყოველთვის მაღალ დონეზე იყო. ჩემთან ერთად სხვადასხვა დროს სპორტულ მუზეუმს სწვევიან: რუსები, უკრაინელები, ლიტველები, ლატვიელები, გერმანელები, ჩეხები, სომხები, აზერბაიჯანელები... სხვები და სხვები.

ბატონი ზურაბის დიდი მეცადინეობისა და გარჯის შედეგად სპორტულ მუზეუმში დღეისათვის განთავსებულია სპორტის 40 სახეობის II ათასზე მეტი ექსპონატი. მნახველი (მე პირადად ათეულობით ვყოფილვარ ამ უნიკალური შენობის სტუმარი) იქ მოხვედრისას უმალ საოცრებათა სამყაროში აღმოჩნდება, მაშინვე იგრძნობს ქრუნტელის მომგვრელ აღტკინებასა და აღტაცებას.

... ბატონი ზურაბ ჯავახაძე 70 წლისაა. იუბილარი წელთა სიუხვეს არ შეუშინებია. იგი კვლავ მხნედაა, კვლავ თავდადებით იღწვის, დაუოკებელი ჟინი, სწრაფვა, მონდომება, უფრო მეტის შექმნის სურვილი — ყველაფერი ეს — იუბილარის ყოველდღიური ცხოვრებისა და მოღვაწეობის მუდმივი კომპონენტებია.

ბატონი ზურაბი საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკია, ღირსების ორდენის კავალერი, ამიერკავკასიის ხალხთა მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ასეულობით სტატიის ავტორია. ბატონ ზურაბის კალამს ეკუთვნის 22 წიგნი. კიდევ სამი — დღეისათვის წარმოებაშია ჩაშვებული.

ბატონი ზურაბი ორი ვაჟის და ერთი ქალიშვილის მამაა, ხუთი შვილიშვილის ბაბუაა.

...ზურაბი კარგი თამადაა, კარგად საუბრობს და კარგად სვამს. სუფრის წევრადაც დიდებულია — მომსმენი, აღმქმელი და მხარდამჭერი.

...ზურაბ ჯავახაძე ერის კაცია, სამშობლოზე შეყვარებული და სამშობლოსათვის თავდადებული.

მხნედ დააბიჯებს ქართულ მიწაზე აზრიანი, წიგნიერი, თავის საქმეზე უსაზღვროდ შეყვარებული კაცი.

...ვულოცავ იუბილარს საიუბილეო თარიღს. მხნეობას, მძლეობას, დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებ ქართული ჯიშის, ქართული გენის, ქართული მიწის სათაყვანოდ და სადიდებლად.

იდღეგრძელეთ, ბატონო ზურაბ!

**ნუგზარ მჭედლიშვილი,**
**საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი.**
**ქ. ქუთაისი, ივნისი, 2006 წელი.**

ავტორისეული სტილი დაცულია.

# საჩხერეს რეგიონის ჩემპიონი ჰყავს

საჩხერის რაიონის პირველმა საშუალო სკოლამ რაიონის პირველობას უმასპინძლა ჭადრაკში.

ტურნირი დაუმარცხებლად განვლო გამოცდილმა მოჭადრაკემ **შოთა ივანაშვილმა.** მან ჩვიდმეტივე შეხვედრა მოიგო, რაიონის ჩემპიონი გახდა და ჯილდოდ 150 ლარი გადაეცა. მეორე ადგილზე 14,5 ქულით გავიდა **გიორგი სხირტლაძე,** რომელიც 100 ლარით დაჯილდოვდა, მესამე ადგილი და 50 ლარი 13,5 ქულით წილად ხვდა **გელა მაჭარაშვილს.**

შოთა ივანაშვილი რაიონის ჩემპიონი მერვედ გახდა, არის სპორტის ოსტატობის კანდიდატი, უთამაშია საქართველოს ჩემპიონატში (V ადგილი, 1965 წელს), ერთდროულ სეანსში გამარჯვება მოუპოვებია ისეთ ტიტულოვან მოჭადრაკესთან, როგორიც იყო **მიხეილ შიშოვი.**

**თამაზ ლაშხი,**
**საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი.**
**საჩხერე.**

# იურიდიული კონსულტაცია

**კითხვა:** გთხოვთ განმიმარტოთ, შეიძლება თუ არა, პენსიონერი მიღებული იქნეს იმავე სამსახურში ხელშეკრულებით, შრომის წიგნაკის გარეშე და დაექვითება თუ არა 20 პროცენტი ხელფასიდან.

**პასუხი:** მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, პენსიონერი შეიძლება მიღებული იქნას სამუშაოზე შრომის წიგნაკის გარეშე და ამის გამო ხელფასიდან 20 პროცენტის დაქვითვა კანონით გათვალისწინებული არ არის. აქვე გაცნობებთ, რომ მუშაობის პერიოდში ხელფასთან ერთად პენსია სრულად ეძლევათ პენსიონერთა შემდეგ კატეგორიას:

— ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებს და მათთან გათანაბრებულ პირებს;

— ჩერნობილის აეს-ის აღდგენითი სამუშაოების შესრულების შედეგად დაინვალიდებულებს;

— რეპრესირებულებსა და მათი ოჯახის შრომისუუნარო წევრებს;

დანარჩენი კატეგორიის პენსიონერები ხელფასთან ერთად პენსიის მიღების უფლებას ვერ იპოვებენ და ხელფასიდან 20 პროცენტის დაქვითვა ხდება იმ შემთხვევაში, თუ პენსიონერმა დროულად არ აცნობა სოციალური დაზღვევის ფონდის რაიონულ განყოფილებას მუშაობის დაწყების შესახებ.

# კულა გლდანელის თასზე

სოფელ გლდანის გამგებლის მოადგილის, ვეტერანი მოჭიდავის **აკაკი კოტორაშვილის** ინიციატივით ამავე სოფელში კეთილმოეწყო საჭიდაო დარბაზი. ამ დღეებში ამ საჭიდაო სარბიელზე ჩატარდა შეჯიბრება „კულა გლდანელის თასზე" ძიუდოში ჭაბუკთა შორის. ცხრა წონით კატეგორიაში ტატამზე სააპარეზოდ გამოვიდა 1992-94 წლებში დაბადებული 80 სპორტსმენი. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ დიპლომებით, მედლებითა და ფასიანი საჩუქრებით.



# ლიხს იქით და ლიხს აქეთ...

## სტუდენტთა სპორტული თამაშები ზუგდიდში

ზუგდიდის რაიონის კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდული საქმეთა სამსახურის (უფროსი ლ. ფარცვანია), სტუდენტთა თვითმმართველობის, ახალგაზრდული მოძრაობა „ძლიერი საქართველოსათვის" (უფროსი გ. თოლორაია) ინიციატივით ჩატარდა ზუგდიდში არსებული უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა საგაზაფხულო სპორტული თამაშები. მონაწილეობდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალის, სპორტის აკადემიის ზუგდიდის ფილიალის, პოლიტექნიკური სახელმწიფო კოლეჯის, სოხუმის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის, ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ზუგდიდის განყოფილების, საბაჟო აკადემიისა და ქუთაისის მუსხელიშვილის სახელობის ტექნიკური უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალის სტუდენტები. პროგრამაში იყო ჭადრაკი (გოგონები, ბიჭები), ფრენბური, (გოგონები, ბიჭები), კალათბურთი და მინიფეხბურთი. ჭადრაკში, კალათბურთში და ფრენბურთში (ვაჟები) პირველობა წილად ხვდა თსუ-ს ზუგდიდის ფილიალის წარმომადგენლებს, მინიფეხბურთში — სპორტის აკადემიის ფილიალს, ფრენბურთში (გოგონები) —



პოლიტექნიკურ კოლეჯს. საერთო გუნდურ ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა: 1. სპორტის აკადემიის ფილიალი (დირექტორი **გია ფარულავა**), 2. თსუ-ს ზუგდიდის ფილიალი (დირექტორი **მურმან პაპაშვილი**), 3. პოლიტექნიკური სახელმწიფო კოლეჯი (დირექტორი **ვალიკო შონია**).

გამარჯვებულები და პრიზიორები დაჯილდოვდნენ.

**მერაბ ჯიქია, ზუგდიდი.**

# კრივის ზეიმი ვარიანში

ამ დღეებში გორის რაიონის სოფ. ვარიანის კრივის სპორტულ კომპლექსში, რომელიც **გიორგი კანდელაკმა** 10 წლიანი იჯარით სარგებლობისათვის გადასცა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს **დავით კვაჭაძის** სახელობის ბავშვთა და მოზარდთა კრივის სპეციალიზებულ ცენტრალურ სასპორტო სკოლას, გაიმართა 1992-1993 წ. დაბადებულ მოკრივეთა ღია სასკოლო პირველობა.

რინგზე 12 ქალაქისა და რაიონის



წარმომადგენლები ცდიდნენ ძალებს. დაძაბულ ორთაბრძოლებში წონითი კატეგორიების მიხედვით გამარჯვებულები არიან: **გიორგი ნაცვლიშვილი, დავით თედიაშვილი, გელა ჟულიაშვილი, ლევან მდინარაძე** (ყველა — ვარიანი); **სიმონ გვიმრაძე და ნიკა არაბული** (ორივე — დუშეთი); **მიშიკო ავაქიანი** (ბორჯომი); **ირაკლი ჭინჭარაული, გოგა ზეიადაური, მალხაზ მინდიკაური** (სამივე — სოფ. გამარჯვება); **გელა კვანტრიშვილი, გიორგი ჩაჩანიძე, აკაკი ცნობილაძე** (სამივე — ზესტაფონი); **ბესიკ წკრიალაშვილი, ნუკრი სომხიშვილი, ნიკა ლაფაჩი** (სამივე —გორი); **ალიკა რუბენოვი** (ქანი); **აკაკი იზორია** (სოფ. ნარაზენი) და **ნიკა გვაჯავა** (თბილისი).

მსაჯთა კოლეგიამ, რომელსაც სკოლის უფროსი მწვრთნელი **რამაზ ნიკოლაძე** თავკაცობდა და ჟიურიმ (**უჩა ზურაბიშვილი, შოთა პაპოშვილი, თამაზ ელიზბარაშვილი**), ყველაფერი იღონეს შეჯიბრების უნაკლოდ და მაღალ დონეზე ჩასატარებლად. მათი დამსახურებაა, რომ მკაცრად შემოწმდა მონაწილეთა ასაკი. საბედნიეროდ, დარღვევა არ დაფიქსირებულა. ამასთან, მსაჯთა კოლეგიამ და ჟიურიმ გულმოდგინედ შეარჩია კანდიდატები ასაკობრივი ნაკრებისთვის. გამარჯვებულები და პრიზიორები დაჯილდოვდნენ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დიპლომებით და ფასიანი საჩუქრებით. საუკეთესო მსაჯებად აღიარეს **ვაჟა ცაციაშვილი** და **ნოდარ საათაშვილი**.

„შემოდგომამდე შეჯიბრება აღარ გვექნება. ილის-აგვისტოში განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გაგვიხსნის ტრადიციულ გამაჯანსაღებელ ბანაკს ქ. ბათუმში. ფაქტობრივად, ეს იქნება საწვრთნელი შეკრება 150 მოზარდისთვის, რომელთა შორის იქნებიან გალელი და დუშეთელი ნორჩი მოკრივეები. დ. კვაჭაძის სახელობის ტურნირზე სომეხმა კოლეგებმა გვთხოვეს 15 ადგილი მათთვისაც გამოგვეყო ბანაკში. სიამოვნებით დავთანხმდით, რადგან ეს მრავალმხრივ იქნება სასარგებლო" — თქვა ზემოხსენებული სკოლის დირექტორმა **რევაზ მეგრელიშვილმა**.

**ცოტნე ბაქრაძე.**

**P.S. გუშინ გვაცნობეს, რომ შპს „არაგვისპირმა" გადაწყვიტა მათდამი დაქვემდებარებული შენობა სოფ. არაგვისპირში 10 წლით ბანაკების მოსაწყობად გადასცეს საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს.**

?

შეკითხვა „ლელოს"

**შეკითხვა: ამბობენ, რომ პროფესიულ კრივში შეზღუდულია მონაწილეთა ასაკი. გთხოვთ გვიპასუხოთ მართალია თუ არა?**

**ბორის დონაძე, თბილისი.**

**პასუხი:** რედაქცია დაუკავშირდა საქართველოს პროფესიული კრივის ფედერაციას, საიდანაც გაგვიმარტეს, რომ ასეთი შეზღუდვა არ არსებობს პროფესიულ კრივში. ყველაფერი დამოკიდებულია არა სპორტსმენის ასაკზე, არამედ მის მომზადებულობაზე, რეიტინგზე და, რაც მთავარია, სურვილზე...

# ლელო – მატიანე
## 50 წლის წინათ...

აბაშა. ახალგაზრდული ფესტივალის აღსანიშნავად გაიმართა შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში. პირველი ტური ჩატარდა სოფელ ონტოფოში. ასპარეზობები მოეწყო ველოსპორტში, ფრენბურთში, ფეხბურთში და მძლეოსნობაში.

ონი: ახალგაზრდობის ფესტივალს მიეძღვნა რაიონის პირად-გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში. მონაწილეობდა შვიდი საშუალო სკოლის 52 სპორტსმენი. პირველობა წილად ხვდა პიპილეთის საშუალო სკოლის გუნდს. მეორე ადგილზე გავიდნენ ონის პირველი საშუალო სკოლის ფალავნები.

წულუკიძე: გაიმართა „კრასნოე ზნამიას" რესპუბლიკური შეჯიბრება კალათბურთში ქალთა და ვაჟთა შორის. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ ქუთაისის, წულუკიძის, სამტრედიის და ბათუმის გუნდები. პირველი ადგილი დაიკავა წულუკიძის ძაფსალებ-საგრეხი ფაბრიკის გუნდებმა.

**გამოვიდა საქართველოს კიოკუშინკაი კარატეს ეროვნული ფედერაციის იმავე სახელწოდების ჟურნალის მეოთხე ნომერი. ჟურნალი იხსნება საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გამონათქვამებით ქვეყნის სიძლიერისთვის სპორტის მნიშვნელობის შესახებ. ჟურნალის თავშივე გაეცნობით იმ 16 გამარჯვებას, რომელიც ნაციონალურმა მოძრაობამ მოუტანა ქვეყანას „ვარდების რევოლუციის" შემდეგ. მკითხველი გაეცნობა კარატეს ამ სტილის ფუძემდებლის მასუტაცუ ოიამას (1923-1994) ბიოგრაფიას, საერთაშორისო და საქართველოს ეროვნული ფედერაციების შემადგენლობებს. წარმოდგენილნი არიან აგრეთვე, საქართველოს უძლიერესი სპორტსმენები და მათი მიღწევები, რომელთა შორის ყველაზე თვალსაჩინო წარმატებები აქვს მოპოვებული თვით ეროვნული ფედერაციის კსო მაცუშიმას პრეზიდენტს ნოდარ კვანჭიანს.**

**ჟურნალში გამოქვეყნებულია სხვა საინტერესო მასალები.**




# ცურვა. ვიქტორინა

**1. ვინ იყო პირველი მოცურავე ვაჟი, ვინც 100 მ. წუთზე ნაკლებ დროში გასცურა?**

ა — ნიკიტინი

ბ — სპიტცი

გ — ვაისმიულერი

**2. ვინ იყო ოლიმპიური ჩემპიონი 1964 წელს 100 მ. გულაღმა ცურვაში ქალთა შორის?**

ა — კატი ფერგიუსონი (აშშ)

ბ — გალინა პროზუმენშიკოვა (სსრკ)

გ — თინათინ ლეკვეიშვილი (სსრკ)

**3. დაასახელეთ ლეგენდარული მწვრთნელი (აშშ), რომელმაც ოლიმპიური თამაშების 22 ჩემპიონი, 10 მეორე და 3 მესამე პრიზიორი მოამზადა?**

ა — პიტ სერჟი

ბ — ედი რიზი

გ — მანუელ სტივენსონი

**4. დაასახელეთ ქალთა შორის ბრასით ცურვაში 1992 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი.**

ა — ჯევონ ჯონსი

ბ — კრისტინ ტარანტინო

გ — ანიტა ნალი (აშშ)

**5. დაასახელეთ ვაჟი მოცურავე, რომელსაც სამ ოლიმპიადაში მოპოვებული აქვს ოქროს 2, ვერცხლის 3 და ბრინჯაოს 1 მედალი, იყო მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონი 1998-2001 წლებში.**

ა — მაიკლ კლიმი (ავსტრალია)

ბ — ლენი მაიერი (აშშ)

გ — ჯანეტ ევენსი (აშშ)

**წინა ვიქტორინის პასუხები: 1-ბ, 2-გ, 3-ა, 4-გ, 5-ბ.**

# გასწორება

**„ლელოს" წინა ნომრის მე-2 გვერდზე გაიპარა დასანანი შეცდომა. წერილის სათაური უნდა იკითხებოდეს ასე: „შვილიშვილმა პაპის ტურნირი მოიგო". პირველი აბზაცი კი უნდა მთავრდებოდეს სიტყვით – „შეუსრულდა". მეორე აბზაცის პირველ სტრიქონში უნდა იკითხებოდეს: „ამაგდარი მწვრთნელის ჭაბუკთა"... შემდეგ როგორც ტექსტშია.**

**გაზეთის იმავე გვერდზე წერილში „ჰერკულესის ორი სვეტი" ნაცვლად 28 მარტისა, უნდა იკითხებოდეს 29 მარტი.**

**რედაქცია ბოდიშს იხდის დაშვებული უზუსტობებისთვის.**

# ბურთის ტრფიალნი ანუ

## ფეხბურთელი, მწვრთნელი... გულშემატკივარი

წინამდებარე საგაზეთო წერილში წარმოდგენილი 7 პიროვნება, დიდი ილიას ფრაზა რომ ვიხმაროთ, ბურთის „ტრფიალნი" გახლდათ, რადგან თითოეულ მათგანი ისე იყო შეყვარებული ფეხბურთზე, მისით სულდგმულობდა...

დავიწყოთ ლეგენდარული **ბორის პაიჭაძით**, რომელმაც თბილისის „დინამოში" მისი უმაღლეს ეშელონში გამოსვლის პირველი დღიდან შორს გაიტანა ქართული ფეხბურთის სახელი და დიდება. თუნდაც ის რად ღირს, როცა ჯერ კიდევ ომამდელ პერიოდში „დინამო" „დიდ ურუგვაელებად" მონათლეს, შემდგომში ბორის პაიჭაძეს „ფეხბურთის კარუზო" უწოდეს, რომ არაფერი ვთქვათ იმ უდიდეს ავტორიტეტზე რაც მან სამშობლოში დაიმსახურა. — „გაუფრთხილდით ბორის პაიჭაძეს" — უთქვამს ლეგენდარულ რუს ფეხბურთელს **ვსევოლოდ ბობროვს**. ბორის პაიჭაძისთვის უცხო იყო ყოველგვარი ანგარება. დღევანდელი გადასახედიდან უცნაურადაც კი შეიძლება იმ ფაქტის მოგონება, რომ „ფეხბურთის კარუზოს" არ ჰქონია არც პალტო და არც ტელევიზორი. ამაზე „ლელოც" აღნიშნავდა ამ რამდენიმე წლის წინათ ბორის პაიჭაძის თანამედროვეთა მოგონებებში. სამაგიეროდ, ბორის პაიჭაძე გაჭირვების ჟამს ტალკვესი იყო განსაცდელში ჩავარდნილთათვის. ამის უამრავი მაგალითია.

ბორის პაიჭაძეს არც ლეგენდარული მწვრთნელ **ანდრო ჟორდანია** ჩამორჩებოდა. გარდა იმისა, რომ იგი შესანიშნავი სელექციონერი იყო, მას საბრძოლო ქინით შეეძლო განეწყო სრულიად უცნობი ფეხბურთელებისგან დაკომპლექტებული გუნდი და დაემარცხებინა ისეთი გრანდები, როგორიც იყო მოსკოვის „დინამო" და „სპარტაკი". ხოლო შუა აზიისა და ბალტიისპირეთის გუნდებს სათვალავში არავინ მიიჩნევდა. ოთხჯერ იყო მიწვეული თბილისის „დინამოში" ანდრო ჟორდანია და ოთხივეჯერ ფეხზე დააყენა თაობათა ცვლისაგან მონჯღრეული თბილისის „დინამო". ბოლო მისი მოღვაწეობა თბილისის „დინამოში" ერთ წელიწადში ბრინჯაოს მედლებით აღინიშნა, ხოლო ქუთაისის „ტორპედომ", რომელიც განწირული იყო გასავარდნად, 1964 წლის საფეხბურთო სეზონში ადგილის შენარჩუნება შეძლო უძლიერესთა შორის, დაამარცხა რა ტაშკენტში გორკის „ვოლგა" 4-2. ანდრო ჟორდანია საკუთარი ჯიბის ფულსაც ახმარდა ქართული ფეხბურთის წინსვლასა და აყვავებას.

ბორის პაიჭაძესა და ანდრო ჟორდანიას შემდეგ უთუოდ მოხსენიების ღირსია — ფეხბურთელი, მწვრთნელი და მსაჯი **ნესტორ ჩხატარაშვილი**, რომელიც, როგორც ფეხბურთელი ჯერ კიდევ ომამდელ პერიოდში თამაშობდა თბილისის „ლოკომოტივში", იყო მისი კაპიტანი. ომისშემდგომ წლებში კი უფროს მწვრთნელად ჩაუდგა სათავეში თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდს, რომელშიც გამოდიოდნენ შემდგომში ცნობილი ფეხბურთელები **დუკა რამიშვილი, მიშა და შოთა ჯოჯუები, ილია ლობჟანიძე, რეზო კავსაძე** და სხვები. ამას გარდა, ნესტორ ჩხატარაშვილი მსაჯობასაც ეწეოდა. მან კვალიფიციურ მსაჯთა მთელი პლეადა აღუზარდა საქართველოს. თავად კი ჯერ საკავშირო, მერე საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი გახდა. იმსაჯა მეტად საპასუხისმგებლო მატჩი — საკავშირო თასის გათამაშების ფინალი 1953 წლის საფეხბურთო სეზონში. ნესტორ ჩხატარაშვილის დიდი ავტორიტეტი განპირობებული იყო მისი ობიექტური, მიუკერძოებელი მსაჯობით. არავის ახსოვს მას რაიმე სადავო ეპიზოდის გამო რომელიმე ფეხბურთელი შედავებოდა ან რომელიმე გუნდის მწვრთნელს გამოეთქვა მისდამი საყვედური.

ახლა ჯერი **ეროსი მანჯგალაძეზეა**, რომლის ყოველ რეპორტაჟს, როგორც დღესასწაულს, ისე მოელოდა ფეხბურთის მოყვარული. სამართლიანად აღნიშნავდა ამ ცოტა ხნის წინათ „ლელოს" ფურცლებზე, ეროვნული საფეხბურთო [illegible] კინორეჟისორი **ალ. ჟღენტი**, რომ — „ეროსის რეპორტაჟი, თვით თამაშს სჯობდაო". იგი ისე იყო შეყვარებული ფეხბურთზე, მისთვის სპორტის სხვა სახეობა უკანა პლანზე იყო გადაწეული. ეროსი მანჯგალაძე ბედნიერი გახლდათ იმით, რომ მოესწრო თბილისის „დინამოს" გაჩემპიონებას — და აღტაცებული იყო საფეხბურთო სამყაროს ყველა დროის საუკეთესო მარცხენა გარემარბის **მიხეილ მესხის** ოსტატობით. მეჩვენება, რომ, სამწუხაროდ, ეროსი მანჯგალაძე სათანადოდ არ დაფასებულა, როგორც ფეხბურთის ჭეშმარიტი ქომაგი, ლეგენდარული რადიოკომენტატორი და დიდებული ქართველი, ნამდვილი სახალხო არტისტი.

კიდევ ერთი პიროვნება, ვინც ზემოაღნიშნულ შვიდეულში მოხვედრას იმსახურებს „ლელოს" საფეხბურთო მიმომხილველი **ბიჭიკო ქორქიაა**. იგი თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში ემსახურებოდა საყვარელ საქმეს. ბიჭიკო ქორქიას რეცენზიები, რეპორტაჟები, ნარკვევები ახლოს მიჰქონდა გულთან არა მარტო მკითხველს, არამედ თვით ფეხბურთელებსაც. სწორედ ამიტომ მათი უმრავლესობა „ლელოს" ხშირი სტუმარიც ყოფილა. საჭიროების შემთხვევაში, იგი არც მსუსხავ სტრიქონებს ერიდებოდა საყვარელი გუნდის მიმართ. წლებისგან გაყვითლებულ „ლელოს" ფურცლებს შემორჩა სათაურები — „დინამო" საშუალო გუნდიც არ არის", ხოლო ტაშკენტიდან ვრცელი რეპორტაჟისას აღნიშნავდა, რომ „პახტაკორის" სტადიონი ამ დღეს თბილისის „დინამოს" სტადიონს მოაგონებდა კაცს, რომ თბილისის „დინამოს" ჰყავდა არა მარტო საქართველოდან ჩამოსული 5 ათასამდე გულშემატკივარი, არამედ ძალიან ბევრი ადგილობრივი ფეხბურთის მოყვარული.

ბიჭიკო ქორქიას გზა შესანიშნავად განაგრძო მისმა აღზრდილმა **ოთარ ნოზაძემ**, რომლის ნარკვევები დიდი პოპულარობით სარგებლობდა მკითხველთა შორის და მისი წვლილიცაა იმაში, რომ „ლელომ" სამართლიანად მოიპოვა მეოცე საუკუნის საუკეთესო სპორტული გაზეთის სახელი.

ახლა ჯერი ქართული ფეხბურთის დიდ მეცენატ **მიხეილ ლაზიშვილზეა**, რომელიც ამ ხუთი წლის წინათ გარდაიცვალა. იგი, როგორც სამართლიანად აღნიშნავდა „ლელო" მისდამი მიძღვნილ ნეკროლოგში, — „გამორჩეული პიროვნება გახლდათ, ქართული სპორტის ოქროს ხანის კორიფეთა დიდი მეგობარი. მიხეილ ლაზიშვილის სახელს უკავშირდება არაერთი ქველმოქმედება და მაღალი პატრიოტიზმის გამოვლინების მრავალი ფაქტი. თუნდაც ის რად ღირს, რომ მოსკოვიდან სწორედ მან გადმოიყვანა თბილისის „დინამოში" იმ დროისათვის მთელ მსოფლიოში აღიარებული **სლავა მეტრეველი**".

დღევანდელი ბევრი შეძლებული ადამიანისგან განსხვავებით, მიხეილ ლაზიშვილს ფული მუთაქებში არ შეუნახავს და არც შვეიცარიის ბანკებში დაუბანდებია. მისი ღვაწლი სამუდამოდ დარჩება ფეხბურთის ქართველ გულშემატკივართა გულში. სწორედ რომ მიხეილ ლაზიშვილს მიუძღოდა ლომის წილი თბილისის „დინამოს" გაჩემპიონებაში. არც ქუთაისის „ტორპედო" დაუტოვებია მას უყურადღებოდ — 1961 წელს კიშინიოვში გამართულ სამთა ტურნირში იგი გუნდს თან ახლდა.

დასასრულ, მინდა მოვიხსენიო მუშტაიდის ბაღის რიგითი გულშემატკივარი **გოგი მენაბდე**, რომელიც, ვფიქრობ, დღესაც კარგად ახსოვთ გულშემატკივრებს. იგი „დინამოს" სტადიონზე ათენებდა და აღამებდა — ცხოვრობდა „დინამოს" სტადიონის მიმდებარე გორის ქუჩაზე, მუშაობდა ღამის დარაჯად ტრამვაი-ტროლეიბუსების პარკში. როცა შეიცვლებოდა, სახლის ნაცვლად, „დინამოს" სტადიონზე მიდიოდა — დილიდანვე იწყებოდა გაუთავებელი სჯა-ბაასი. თბილისელი გულშემატკივრები სანიმუშონი იყვნენ ობიექტურობით მთელ საბჭოურ სივრცეში, ბევრჯერ ყოფილა, მეტოქე გუნდი თბილისელ მაყურებელს ტაშით რომ გაუცილებია.

ყოფილა შემთხვევები, თბილისის „დინამოს" ხელმძღვანელობას გაუთვალისწინებია ესა თუ ის მოსაზრება, რაც ღრმა ანალიზისა და კამათის შედეგად სწორედ რომ გულშემატკივრებისგან იყო ნაკარნახევი.

**დემურ ტორაძე.**

**ხონი.**

# ჭაბუკთა პირველობები



დასრულდა ცნობილი ქართველი ფეხბურთელების გ. ჩოხელის, მ. მესხის, ს. მეტრეველის და ვ. დარასელიას სახელობის თასების ტრადიციული გათამაშებები.

**14 ივნისი. 1990-წლიანები. ს. მეტრეველის თასი:** „დინამო" აკად (თბ; მწვრთნელი თ. შალამბერიძე) — „ოლიმპიკი" (თბ. კლ. პრეზიდენტი — კ. მჭედლიძე, მწვ. გ. ქუმსიაშვილი) 5-0.

**15 ივნისი. 1988-წლიანები. გ. ჩოხელის თასი:** „ოლიმპიკი" (თბ; კლ. პრეზიდენტი — კ. მჭედლიძე, მთ. მწვ. ლ. მელიქია) — „დინამო" აკად (თბ; მთ. მწვ. დ. კევლიშვილი) 4-2.

**16 ივნისი. 1991-წლიანები. ვ. დარასელიას თასი:** „ნორჩი დინამოელი" (თბ; მწვ. რ. გაგუა) — „თბილისი" (მწვ. ზ. ბაკურაძე) 3-1.

**18. ივნისი. 1989-წლიანები. მ. მესხის თასი:** „დინამო" (თბ; მწ. დ. კევლიშვილი) — 35-ე სკოლა (მწ. გ. ავსაჯანიშვილი და ტ. კანდელაკი) 5-0.





## საქართველოს 2005-2006 წლების ჭაბუკთა ლიგის გათამაშების საბოლოო ცხრილი

### 1991-წლიანები

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| თბილისი | 30 | 22 | 6 | 2 | 104-18 | 72 |
| დინამო (ბთ) | 30 | 21 | 5 | 4 | 79-23 | 68 |
| სპარტაკი | 30 | 20 | 6 | 4 | 87-14 | 66 |
| დინამო (სხ) | 30 | 20 | 4 | 6 | 78-22 | 64 |
| კოლხეთი1913 | 30 | 19 | 3 | 8 | 77-28 | 60 |
| დინამო (თბ) | 30 | 18 | 6 | 6 | 71-30 | 60 |
| ტორპედო | 30 | 17 | 6 | 7 | 51-33 | 57 |
| დილა | 30 | 14 | 6 | 10 | 50-41 | 48 |
| ვიტ ჯორჯია | 30 | 13 | 8 | 9 | 67-35 | 47 |
| ამერი | 30 | 8 | 9 | 13 | 42-29 | 33 |
| კახეთი | 30 | 7 | 9 | 14 | 36-40 | 30 |
| ლოკომოტივი | 30 | 6 | 5 | 19 | 38-81 | 23 |
| ზესტაფონი | 30 | 7 | 0 | 23 | 41-75 | 21 |
| სიონი | 30 | 6 | 2 | 22 | 31-98 | 20 |
| ცხინვალი | 30 | 3 | 2 | 25 | 26-92 | 11 |
| ბორჯომი | 30 | 0 | 1 | 29 | 9-228 | 1 |





## ტანკერმა ჭაბუკებს მოუხმო

ევროპის ჩემპიონატის თბილისში გასამართი შესარჩევი ეტაპისთვის მზადებას შეუდგა საქართველოს 17 წლამდე ჭაბუკთა ნაკრები. ჰერბერტ ტანკერმა შეგირდები 17 ივნისიდან 6 ივლისამდე „ოლიმპიკის" საფეხბურთო სკოლაში შეკრიბა. მზადების მეორე ეტაპს ნაკრები ქობულეთში გაივლის. ზღვისპირეთში ჭაბუკები 14 ივლისს გაემგზავრებიან და 11 აგვისტომდე გაჩერდებიან.

პირველ შესარჩევ ეტაპს ოქტომბერში თბილისი უმასპინძლებს. 13 ოქტომბერს ჩვენი მეტოქე რუსები, 15-ში გერმანელები, 18-ში კი მაკედონიელები იქნებიან.

## ინტერტოტოს თასი. პირველი ეტაპი.

UEFA INTERTOTO CUP

პირველი მატჩები. 17-18 ივნისი

არაზი (აზერბაიჯანი) – ტირასპოლი (მოლდოვა) 1-0
შახტიორი (ყაზახეთი) – მტზ - რიპო (ბელარუსი) 1-5
ტამპერე (ფინეთი) – კარმარტენი (უელსი) 5-0
აუნა (კვიპროსი) – პარტიზანი (ალბანეთი) 4-2
ნარვა (ესტონეთი) – კალმარი (შვედეთი) 1-6
კეფლავიკი (ისლანდია) – დუნგანონი (ჩრ. ირლანდია) 4-1
ზრინსკი (ბოსნია) – მარ საქ სლოკი (მალტა) 3-0
სანტა ჯულია (ანდორა) – მარიბორი (სლოვენია) 0-3
ნიტრა (სლოვაკეთი) – ბრევენმახერი (ლუქსემბურგი) 6-2
დინაბურგი (ლატვია) – ტორსჰავნი (ფარერები) 1-1
ვეტრა (ლიტვა) – შელბურნი (ირლანდია) 0-1
პობედა (მაკედონია) – ფარული (რუმინეთი) 2-2
პილიკია (სომხეთი) – დინამო (თბ. საქართველო) 1-5

# სახელობითი თასები თბილისში დარჩა



„დინამო"



„ოლიმპიკი"

ოთხივე ასაკში ფინალური მატჩები „შევარდენის" სტადიონზე ჩატარდა. თასები დედაქალაქის საფეხბურთო სკოლების გუნდებმა გაინაწილეს. გ. ჩოხელის სახელობის თასი „ოლიმპიკმა" მოიპოვა, მ. მესხისა და ს. მეტრეველის თასები „დინამომ" დაისაკუთრა, ვ. დარასელიას თასი კი „ნორჩი დინამოელის" გუნდს ერგო.

ფოტოები რობერტ ბაგოიანისა.



„ნორჩი დინამოელი"



„დინამო"

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## სენსაციური უიკ ენდი

გასულ უიკ ენდს ნამდვილი სენსაციები მოხდა მსოფლიოს ჩემპიონატზე. ყველაზე ხმაურიანი იყო ჩეხეთის ნაკრების მარცხი განის ნაკრებთან 0-2. აშშ-ის ნაკრებთან ბრწყინვალედ ჩატარებული მატჩის შემდეგ ჩეხი ფეხბურთელებისაგან ყველა რომელიმე საპრიზო ადგილის დაკავებას მოელოდა, მაგრამ განელებმა პროგნოზები თავდაყირა დააყენეს.

ჩეხთა მწვრთნელი 67 წლის ბრიუკნერი ძალიან კარგ სპეციალისტად ითვლება, მაგრამ მისმა ტაქტიკამ განელებთან ვერ გაამართლა. ალბათ, იმის ბრალია, რომ განელმა ფეხბურთელებმა უკვე მეორე წუთზე გახსნეს ანგარიში... ჩეხები ამაოდ ცდილობდნენ ანგარიშის გათანაბრებას. განის ნაკრები შესანიშნავად თამაშობდა მეორე ტაიმში, ჩეხები ათნი დარჩნენ მოედანზე: უიფალუშმა საკუთარ საჯარიმო მოედანზე ერთ-ერთი განელის წინააღმდეგ წესი დაარღვია — მსაჯმა მას წითელი ბარათიც აჩვენა და თერთმეტმეტრიანიც დანიშნა. მართალია, ასამოა გინმა საჯარიმო ზუსტად ვერ დაარტყა, მაგრამ ამის შემდეგ პეტერ ჩეხის კართან ნამდვილი ბაქანალია დაიწყო, ჩეხთა გოლკიპერის თავგანწირვა რომ არა, ანგარიში კატასტროფული შეიძლება ყოფილიყო. იმ მძიმე წუთებში პეტერი ერთხელ შეცდა...

„მე ვერ დავაბრალებ მარცხს წამყვანი ფეხბურთელების ტრავმებს, ანდა, მოთამაშეთა დაღლილობას. უბრალოდ, განის ნაკრებმა შესანიშნავად ჩაატარა შეხვედრა და დამსახურებულადაც გაიმარჯვა. ამ გუნდში ძალიან კარგი ნახევარმცველები და ფორვარდები თამაშობენ, — ამბობს ბრიუკნერი, რომელიც იტალიელებთან მატჩის წინ სერიოზული პრობლემების წინაშე დგას, — ჩვენ დავკარგეთ ორი წამყვანი ფორვარდი — კოლერი და ბაროში. დისკვალიფიკაციის გამო, იტალიელებთან შეხვედრაში ვერ ითამაშებენ ლოკვენცი და უიფალუში. ძნელი ამოცანის გადაჭრა მომიწევს, მაგრამ ჩვენ გვყავს სათადარიგოთა სკამზე ტალანტები. დარწმუნებული ვარ, ისინი მთელი ძალით ითამაშებენ."

ასევე, მოულოდნელი იყო იტალიისა და აშშ-ის ნაკრებთა შეხვედრაში დაფიქსირებული ფრე (1-1).



„სკუადრა აძურა" 1-0 იგებდა და რომ არა ზაკარდოს ავტოგოლი, იტალიელები ალბათ, სამ ქულას ჩაიწერდნენ. საინტერესოა, რომ ამ შეხვედრაში წითელი ბარათების რეკორდული რაოდენობა დაფიქსირდა. მსაჯმა მოედნიდან გააძევა დე როსი, მასტროენი და პოუპი.

მსოფლიო ჩემპიონმა, ბრაზილიის ნაკრებმა ზედიზედ მეორე შეხვედრა მოიგო, ამჯერად გუუს ჰიდინკის ავსტრალიის ნაკრებთან. ბურთები გაიტანეს ადრიანომ და ფრედმა.

ხორვატებმა, რომლებმაც წინა ტურში ტოლი არ დაუდეს ბრაზილიელებს, ვერ მოახერხეს იაპონელთა ძლევა და მხოლოდ ნულოვან ფრეს დასჯერდნენ.

საფრანგეთის ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, უკანასკნელი 8 წლის განმავლობაში პირველი ბურთი გაიტანა, მაგრამ გულშემატკივრები მაინც გაწბილა — ვერ მოახერხა სამხრეთ კორეის ნაკრების დამარცხება — 1.1. არადა, თავიდან ისე ჩანდა, რომ ეს თამაში ფრანგებს დიდი ანგარიშით უნდა მოეგოთ — უკვე მე-9 წუთზე ტიერი ანრიმ გახსნა ანგარიში. ამის შემდეგ კორეელები რამდენჯერმე გადაურჩნენ აშკარა გოლს. 81-ე წუთზე კი მათ მოულოდნელად, ანგარიშის გათანაბრება მოახერხეს.

შესაძლოა, ეს გამოდგეს უკანასკნელი მატჩი ზინედინ ზიდანისათვის. საქმე ის არის, რომ კორეელებთან შეხვედრაში ზიდანი გააფრთხილეს, ამის გამო, ის ჯგუფური ეტაპის ბოლო შეხვედრაში ვერ ითამაშებს და, თუ ფრანგებმა ჯგუფიდან ვერ გააღწიეს, ზიდანი უსახელოდ დატოვებს გერმანიას.

**მსოფლიო ჩემპიონატის სტატისტიკა:**

**B ჯგუფი. მატჩი №19. 15.06. ნიურნბერგი. 41 000 მაყურებელი.**

**ინგლისი ტრინიდადი 2-0**

**ინგლისი:** რობინსონი, კარაგერი (ლენონი, 58), რიო ფერდინანდი, ტერი, ეშლი კოული, ჯერარდი, ბექჰემი, ლემპარდი, ჯო კოული (დაუნინგი, 74), ოუენი (რუნი, 58), კრაუჩი.

**ტრინიდადი:** ჰისლოპი, ედვარდსი, სანჩო, ლორენსი, გრეი, იორკი, ბირჩოლი, უიტლი, თეობოლდი (უაიზი, 85), ჯოუნსი (გლენი, 70), ს. ჯონი.

**გოლები:** 1-0 კრაუჩი (83), 2-0 ჯერარდი (90+1).

**გააფრთხილეს:** ლემპარდი (64), თეობოლდი (18), უიტლი (19), ქ. ჯოუნსი (45), ჰისლოპი (47), გრეი (56).

**არბიტრი:** ტორუ კამიკავა (იაპონია).

**B ჯგუფი. მატჩი №20. 15.06. ბერლინი. 72 000 მაყურებელი**

**შვედეთი – პარაგვაი 1-0**

**შვედეთი:** ისაკსონი, ალექსანდერსონი, მელბერგი, ლუჩიჩი, ედმანი, ვილჰელმსონი (იონსონი, 68), კალსტრიომი (ელმანდერი, 86), ლინდეროტი, ლიუნგბერგი, იბრაჰიმოვიჩი (ოლბეკი, 46), ლარსონი.

**პარაგვაი:** ბობადილია, კანისა, გამარა, კასერესი, ნუნიესი, ბონეტი (ბარეტო, 81), აკუნია, პარედესი, რივეროსი (დოს სანტოსი, 62), ვალდესი, სანტა კრუსი (დანტე ლოპესი, 63).

**გოლი:** 1-0 ლიუნგბერგი (89).

**გააფრთხილეს:** ლინდეროტი (14), ლუჩიჩი (48), ოლბეკი (60), კანისა (3), აკუნია (51), პარედესი (74), ბარეტო (85).

**არბიტრი:** ლუბომ მიხელი (სლოვაკეთი).

**C ჯგუფი. მატჩი №21. 16.06. გელზენკირხენი. 53 804 მაყურებელი**

**არგენტინა, სერბეთი 6-0**

**არგენტინა:** აბონდანსიერი, ბურდისო, აიალა, ჰაინცე, სორინი, მასკერანო, ლუჩო გონსალესი (კამბიასო, 16), მაქსი როდრიგესი (მესი, 75), რიკელმე, სავიოლა (ტევესი, 59), კრესპო.

**სერბეთი:** იევრიჩი, დულიაი, გავრანჩიჩი, კრსტაიჩი, დუდიჩი, ნადი (ერგიჩი, 46), კორომანი, პ. ჯორჯევიჩი, სტანკოვიჩი, მილოშევიჩი (ვუკიჩი, 70), კეჟმანი (ლუბოჟა, 50).

**გოლები:** 1-0 მაქსი როდრიგესი (6), 2-0 კამბიასო (31), 3-0 მაქსი, როდრიგესი (41), 4-0 კრესპო (78), 5-0 ტევესი (84), 6-0 მესი (88)

**გააფრთხილეს:** კრესპო (36), კორომანი (7), ნადი (27), კრსტაიჩი (42)

**გააძევეს:** კეჟმანი (65).

**არბიტრი:** რობერტო როზეტი (იტალია).

**C ჯგუფი. მატჩი №22. 16.06. შტუტგარტი. 47 700 მაყურებელი**

**ჰოლანდია, კოტ დ'ივუარი 2-1**

**ჰოლანდია:** ვან დერ საარი, ჰეიტინგა (ბულარუზი, 46), ოოიერი, მატიისენი, ვან ბრონკჰორსტი, ვან ბომელი, კოკუ, სნეიდერი (ვან დერ ვაარტი, 50), ვან პერსი, ვან ნისტელროი (ლანდზაატი, 74), რობენი.



**კოტ დივუარი:** ტიზიე. ებუე, კ. ტურე, მეიტე, ბოკა, ი. ტურე, სოკორა, რომარიჩი (იაპი იაპო, 61), ბ. კონე (დინდანი, 62), დროგბა, ა. კონე (აკალე, 74).

**გოლები:** 1-0 ვან პერსი (23), 2-0 ვან ნისტელროოი (26), 2-1 ბაკარი კონე (38).

**გააფრთხილეს:** რობენი (34), მატიისენი (35), ვან ბომელი (58), ბულარუზი (90), სოკორა (25), დროგბა (41), ბოკა (66).

**არბიტრი:** ოსკარ რუისი (კოლუმბია).

**D ჯგუფი. მატჩი №23. 16.06 ჰანოვერი. 43 000 მაყურებელი**

**მექსიკა – ანგოლა 0-0**

**მექსიკა:** ოსვალდო სანჩესი, მარკესი, ოსორიო, სალსიდო, მარიო მენდესი, ტორადო, პარდო, ბრავო, პინედა (მორალესი, 78), ზინია (არელანო, 52), ფრანკო (ფონსეკა, 74).

**ანგოლა:** ჟოაო რიკარდო, დელგადო, ჟამბა, კალი, ლოკო, მაკანგა, ფიგუეირედო (რუი მარკეში, 72), მენდონკა, მატეუში (მანტორაში, 68), ზე კალანგა (მილოი, 83), აკვა.

**გააძევეს:** მაკანგა (79. ანგოლა)

**გააფრთხილეს:** პინედა (59), დელგადო (13), კალანგა (50), რიკარდო (86).

**არბიტრი:** შამსულ მაიდინი (სინგაპური).

**D ჯგუფი. მატჩი №24. 17.06. ფრანკფურტი. 48.000 მაყურებელი**

**პორტუგალია – ირანი 2-0**

**პორტუგალია:** რიკარდო, მიგელი, ფერნანდო მეირა, რიკარდო, კარვალიო, ნუნუ ვალენტე, კოშტინია, მანიშე (პეტიტი, 67), ფიგუ (სიმაო, 88), დეკუ (ტიაგო, 80), რონალდო, პაულეტა.

**ირანი:** მირზაფური, ქააბი, გოლმოჰამადი (ბახთიარიზადე, 88), რეზაეი, ნოსთარი, თეიმურიანი, ნექუმანი, მაჰდავიკია, მადანში (ხათიბი, 66), ქარიმი (ზანდი, 67), ჰაშემიანი.

**გოლები:** 1-0 დეკუ (63), 2-0 რონალდო (80-პენ)

**გააფრთხილეს:** პაულეტა (45), დეკუ (48), კოშტინია (68), ნექუმანი (20), მადანში (32), ქააბი (73), გოლმოჰამადი (88).



**არბიტრი:** ერიკ პულა (საფრანგეთი).

**E ჯგუფი. მატჩი №25. 17.06. კაიზერსლაუტერნი. 46 000 მაყურებელი**

**იტალია – აშშ 1-1**

**იტალია:** ბუფონი, ძაკარდო (დელ პიერო, 54), ნესტა, კანავარო, ძამბროტა, პეროტა, პირლო, დე როსი, ტოტი (გატუზო, 36), ჯილარდინო, ტონი (იაკუინტა, 62).

**აშშ:** კელერი, ჩერუნდოლო, პოუპი, ონიევუ, ბოკანეგრა, მასტროენი, რეინა დემპსი (ბისლი, 63), კონვეი (კონრადი, 52), დონოვანი, მაკბრაიდი.

**გოლები:** 1-0 ჯილარდინო (22), 1-1 ძაკარდო (27-საკ. კარში).

**გააძევეს:** დე როსი (28), მასტროენი (45), პოუპი (47).

**გააფრთხილეს:** ტოტი (5), ძამბროტა (70).

**არბიტრი:** ხორხე ლარიონდა (ურუგვაი).

**E ჯგუფი. მატჩი №26. 17.06. კიოლნი. 45 000 მაყურებელი**

**ჩეხეთი – განა 0-2**

**ჩეხეთი:** ჩეხი, გრიგერა, როზენალი, უიფალუში, იანკულოვსკი, გალაშეკი (პოლაკი, 46), პობორსკი (შტაინერი, 55), როსიცკი, ნედვედი, პლასილი (პლასილი, 69), ლოკვენცი.

**განა:** კინსტონი, პანტსილი, მოჰამედი, მენსა, შილა ილიასუ, მუნტარი, ესიენი, აპია, ოტო ადო (ბოატენგი, 46), გიანი (პიმპონგი, 85), ამოა (ერიკ ადო, 79).

**გოლები:** 0-1 გიანი (2), 0-2 მუნტარი (82).

**გააძევეს:** უიფალუში (65).

**გააფრთხილეს:** ლოკვენცი (48), ოადო (18), ესიენი (37), გიანი (66), ბოატენგი (75), მუნტარი (84), მოჰამედი (90).

**არბიტრი:** ორასიო ელისონდო (არგენტინა).

**F ჯგუფი. მატჩი №27. 18.06. მიუნხენი. 66 016 მაყურებელი**

**ბრაზილია ავსტრალია 2-0**

**ბრაზილია:** დიდა, კაფუ, ლუსიო, ჟუანი, რობერტო კარლოსი, ემერსონი (ჟილბერტო სილვა, 72), ზე რობერტო, კაკა, რონალდინიო, ადრიანო (ფრედი, 88), რონალდო (რობინიო, 72).

**ავსტრალია:** შვარცერი, მური (ალოიზი, 69), ნილი, პოპოვიჩი (ბრეშანო, 41), ჩიპერფილდი, სტერიოვსკი, გრელა, ემერტონი, კულინა, კაჰილი (კიუელი, 56), ვიდუკა.

**გოლები:** 1-0 ადრიანო (49), 2-0 ფრედი (90)

**გააფრთხილეს:** კაფუ (29), რონალდო (31), რობინიო (83), ემერტონი (13), კულინა (39).

**არბიტრი:** მარკუს მერკი (გერმანია).

**F ჯგუფი. მატჩი №28. 18.06. ნიურნბერგი. 41 000 მაყურებელი**

**იაპონია – ხორვატია 0-0**

**იაპონია:** კავაგუჩი, კაჯი, მიამოტო, ნაკაზავა, სანტოსი, ოგასავარა, ჰიდეტოში ნაკატა, ფუკინიში (ინამოტო, 46), ნაკამურა, ტაკაჰარა (ოგურო, 85), იანაგისავა (ტამადა, 61).

**ხორვატია:** პლეტიკოშა, შიმიჩი, რობერტ კოვაჩი, შიმუნიჩი, სრნა (ბოსნიაკი, 86), ტუდორი (ოლიჩი, 69), ნიკო კოვაჩი, ბაბიჩი, კრანჩარი (მოდრიჩი, 78), კლასნიჩი, პრშო.

22-ე წუთზე სრნამ ვერ გამოიყენა პენალტი (მეკარე).

**გააფრთხილეს:** მიამოტო (21), კავაგუჩი (41), სანტოსი (72), რობერტ კოვაჩი (31), სრნა (69).

**არბიტრი:** ფრანკ დე ბლეეკერი (ბელგია).

**G ჯგუფი. მატჩი №29. 18.06. ლაიფციგი. 43 000 მაყურებელი**

**საფრანგეთი – კორეა 1-1**

**საფრანგეთი:** ბარტეზი, სანიოლი, ტიურამი, გალასი, აბიდალი, ვიეირა, მაკელელე, მალუდა (დორასო, 88), ზიდანი (ტრეზეგე, 90), ანრი, ვილტორი (რიბერი, 60).

**კორეა:** ვუნ-ჟაე ლი, იან-ჩულ კიმი, ჟინ-ჩეულ ჩოი, დონ-ჟინ კიმი, იან-პიო ლი, ეულ-იონ ლი (კი-პიეონ ეოლი, 46), ნამ-ილ კიმი, ჰო ლი (სანსიკ კიმი, 69), ჟი-სუნ პარკი, ჩან-უ ლი (იუნხვან ანი, 72), ჟაე-ჟინ ჩო.

**გოლები:** 1-0 ანრი (9), 1-1 ჟი-სუნ პარკი (81).

**გააფრთხილეს:** აბიდალი (79), ზიდანი (85), ჰო ლი (11), დონ-ჟინ კიმი (29).

**არბიტრი:** ბენიტო არჩუნდია (მექსიკა).

### რონალდინიო: „მსოფლიო თასის გათამაშება – ეს მარათონია და არა სპრინტი"

ავსტრალიის ნაკრების დამარცხების შემდეგ ბრაზილიის ნაკრების მოთამაშეებმა რონალდომ, რონალდინიომ და კაკამ კომენტარები გააკეთეს. „მატჩიდან – მატჩამდე უფრო მაღალ დონეზე ვთამაშობთ. მსოფლიო თასის გათამაშება – ეს არის მარათონი და არა – სპრინტი", – თქვა რონალდინიომ.

„ავსტრალიელებმა პირველ ნახევარში თავისუფლად, ლაღად თამაშის საშუალება არ მოგვცეს, მეორე ნახევარში კი მიზანს მივაღწიეთ," – ეს სიტყვები კაკას ეკუთვნის.

რონალდო: „ვფიქრობთ, ავსტრალიელებთან შეხვედრაში უფრო უკეთ გამოვიყურებოდით, ვიდრე წინა მატჩში ხორვატებთან".

### პრეზიდენტი მხარს უჭერს

კორეელებთან ფრედ დასრულებული მატჩის მიუხედავად, საფრანგეთის ფეხბურთელთა ნაკრების მთავარ მწვრთნელს რაიმონ დომენეკს მხარი დაუჭირა ქვეყნის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა. მას სჯერა, რომ ფრანგი ფეხბურთელები ჯგუფური ეტაპის ბოლო შეხვედრაში წარმატებით ითამაშებენ ტოგოს ნაკრების წინააღმდეგ.

### შავ-თეთრ ეკრანზე...

მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩებს უყურებს თურმე რომის პაპი ბენედიქტი. საინტერესო ის არის, რომ ის ამჯობინებს შავ-თეთრი გამოსახულების მქონე ტელევიზორის ეკრანთან ჯდომას.

### მოკლედ...

◆ ინგლისურმა საბუკმეიკერო კანტორამ ფსონების გაკეთების უჩვეულო მეთოდი შეიმუშავა - მსოფლიო ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, პირველად ინგლისის ნაკრების რომელი მოთამაშის მეუღლე ამცნობს საზოგადოებას დაფეხმძიმების შესახებ...

დადებულ ფსონთა მიხედვით ჯერჯერობით ინგლისელთა კაპიტნის მეუღლე - ვიქტორია ბექჰემი ლიდერობს. ისიც საინტერესოა, რომ ვიქტორია დღესდღეობით სამი შვილის დედა გახლავთ. მეორე ადგილზე კი უეინ რუნის მეგობარი ქალბატონი კოლინ მაკლაფლინი გახლავთ.

◆ მსოფლიო ჩემპიონატზე ესპანეთის ნაკრების ბრწყინვალე დებიუტმა მსოფლიო საბუკმეიკერო კანტორების ოფისებში პირენეელთა პრიორიტეტი გაზარდა და მსოფლიო საფეხბურთო გულშემატკივარს გუნდის მიმართ ყურადღება გაამახვილებინა.

თუკი მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე მსოფლიო ჩემპიონობის მაძიებელთა შორის ესპანელებს მერვე ადგილი ეკავათ, ამჟამად ისინი უკვე მეხუთე პოზიციაზე იმყოფებიან ბრაზილიის, ინგლისის, არგენტინისა და გერმანიის ეროვნული გუნდების შემდეგ.

ესპანელთა ფორვარდების კარგმა თამაშმა ჩემპიონატის სავარაუდო ბომბარდირების კოეფიციენტებზეც იმოქმედა.

ერთ-ერთ ცნობილ კანტორაში ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირებს სათავეში დავიდ ვილა (5.00) ჩაუდგა. მისი „მდევრების" სია კი ასე გამოიყურება: მიროსლავ კლოზე (7.00), ერნან კრესპო (13.00), ფერნანდო ტორესი (13.00), ადრიანო (13.00), პედრო პაულეტა (17.00), რონალდო (17.00), ტიერი ანრი (17.00), რონალდინიო (19.00) და ლუკა ტონი (23.00).

◆ ჩეხეთის ნაკრების 33 წლის ლიდერმა პაველ ნედვედმა განაცხადა, რომ გერმანიის მსოფლიო ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ნაკრების მაისურს აღარასოდეს მოირგებს.

„ჩემს მეუღლეს უკვე დავპირდი, რომ მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ნაკრებს აღარ დავუბრუნდები, ხოლო პროფესიონალურ კარიერას, ალბათ, კიდევ ერთი წლით გავიხანგრძლივებ. აბა, ჩემს „იუვენტუსს" გაჭირვების ჟამს როგორ მივატოვებ?", - აღნიშნა „ბებერი ქალბატონის" ერთგულმა ჩეხმა.

შეგახსენებთ, რომ ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შემდეგ, პაველ ნედვედი ჩეხეთის ეროვნული გუნდიდან ერთგულ გულშემატკივართა დაჟინებითი თხოვნის შედეგად არ წავიდა.

# ნბა



## ერთი გამარჯვებაც და...

„მაიამიმ" ნბა-ს ფლეი-ოფის ფინალის მეხუთე მატჩი 101:100 მოუგო „დალასს" და სერიაში 3-2 დაწინაურდა.

მატჩის გმირი კვლავ გახდა დუეინ უეიდი, რომელმაც 43 ქულა შესძინა „მაიამის". ის სასწაულებს სჩადიოდა — მეტოქეს არ აძლევდა სოლიდურად დაწინაურების საშუალებას. „მაიამი" შეუდარებელი იყო ბოლო პერიოდში. დროის ამ 12-წუთიან მონაკვეთში დუეინმა 17 ქულა მოაგროვა. მან ძირითადი დროს დამთავრებამდე 3 წამით ადრე ზუსტად სტყორცნა 3-ქულიანი და თამაში დამატებით დროში გადაიყვანა.



საინტერესოა, რომ „დალასს" შეეძლო გაემარჯვა ბოლო მომენტში, მაგრამ ჯეისონ ტერიმ, რომელმაც ამ შეხვედრაში 35 ქულა დააგროვა, ერთი სროლა გააცუდა.

დამატებითი დროის დამთავრებამდე 9 წამით ადრე დირკ ნოვიცკიმ ტეხასური გუნდი ერთი ქულით დააწინაურა — 100:99 და ამ მომენტში მატჩის მაცქერალი საზოგადოება დარწმუნდა, რომ ნბა-ში ლეგენდარული მაიკლ ჯორდანი დაბრუნდა — ეს დუეინ უეიდი გახლავთ. მან კიდევ ერთხელ მოახდინა სასწაული, — გასცდა რამდენიმე კალათბურთელს და „დალასის" საჯარიმოში მის წინააღმდეგ ბრძოლაში წესი დაარღვია ნოვიცკიმ. პირველი საჯარიმო უეიდმა ზუსტად შეასრულა... ამ დროს მსაჯებმა ტაიმ-აუტი მისცეს „დალასს"... შემდეგ უეიდმა მეორე საჯარიმოც ჩააგდო. დარჩენილ წამებში „დალასმა" ბურთი თამაშში საკუთარი ფარიდან შეიტანა. მეორე საჯარიმოს შემდეგ რომ აეღოთ ტაიმ-აუტი, მაშინ „დალასს" მიეცემოდა საშუალება, ბურთი ცენტრთან ახლოს გაეთამაშებინა და უფრო ახლო დისტანციიდან ესროლა „მაიამის" ფარის მიმართულებით.

ფინალური სერიის მომდევნო მატჩი სამშაბათს დალასში ჩატარდება. „მაიამს" ჩემპიონობამდე ერთი გამარჯვება აშორებს.

## „ფორმულა 1"-ის ოლიგარქები



ინტერნეტ საიტ „ფ1 ნოუსზე" გამოქვეყნდა „ფორმულა 1"-ის ოლიგარქთა ათეული. პირველ ადგილზე ბერნი ეკლსტოუნია, რომლის კაპიტალიც 14 მილიარდ 141 მილიონი დოლარია.

საუკეთესო ათეულში ასევე შედიან: 2. დ. მატეშიცი („რედ ბული") — 3737 მლნ. 3. ა. შნაიდერი („მიდ ლანდი") — 1514 მლნ. 4. მ. ოიეხი („მაკლარენი") — 1412 მლნ. 5. მ. ჰარმენ ჯორჯი („ინდიანაპოლისი") — 1008 მლნ. 6. პ. მაკპოლი („ოლსპორტი") — 858 მლნ. 7. მ. შუმახერი („ფერარი") — 454 მლნ. 8. პ. ფერარი ( „ფერარი") — 428 მლნ 9. ლ. დი მონტეძემოლო („ფერარი") — 402 მლნ. 10. რ. დენისი („მაკლარენი") — 221 მლნ.

## კვიმატი ობიექტივი



## ბრიტანეთის კულტურისა და სპორტის მინისტრი ითხოვს...

ახლოვდება პრესტიჟული საჩოგბურთო ტურნირი — უიმბლდონი. ცნობილია, რომ ამ შეჯიბრების საპრიზო ფონდი ვაჟთა შორის 920 000 ევროა, ხოლო ქალთა შორის 40 000-ით ნაკლები. ამასთან დაკავშირებით ბრიტანეთის კულტურისა და სპორტის მინისტრმა ტესა ჯოუილმა ოფიციალური მიმართვა გაუგზავნა უიმბლდონის ტურნის ორგანიზატორებს. მიმართვაში გამოთქმულია უკმაყოფილება იმის გამო, რომ ქალთა და ვაჟთა საპრიზო ფონდი თანაბარი არარის.

საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენელმა თიმ ფილიპსმა ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა, რომ მამაკაცები ხუთ სეტს ითამაშებენ, ხოლო ქალები სამს. მისი განცხადებით, დამოკიდებულება საპრიზო თანხების თანაფარდობასთან დაკავშირებით არ შეიცვლება.

აქვე გეტყვით, რომ ორგანიზატორებმა უიმბლდონის ტურნირზე ე.წ. „უაილდის" ბარათებით მიიწვიეს რამდენიმე ჩოგბურთელი. მათ შორის ჯეიმი ბეიკერი, რიჩარდ ბლუმფილდი, ალექს ბოგდანოვიჩი, ჯეიმი დელკადო, სარა ბორუელი, ნაომი კავედეი და სხვები.

## ფედერერმა ჰალეს ტურნირი მოიგო



მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა, შვეიცარიელმა როჯე ფედერერმა მოიგო გერმანიის ქალაქ ჰალეში ატპ-ს ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი იყო 680250 ევრო.

ფინალში ფედერერის მეტოქე იყო ჩეხი ტომას ბერდიხი. სპეციალისტები უპირატესობას, რა თქმა უნდა ფედერერს ანიჭებდნენ და მანაც გაამართლა პროგნოზები. 6:0, 6:7 (5:7), 6:2.

## რეიტინგები... რეიტინგები...

გუშინ ვტა-სა და ატპ-ს მორიგი რეიტინგი გამოქვეყნდა ჩოგბურთელებისათვის.

ქალთა შორის, მიმდინარე საჩემპიონო რბოლაში 2099 ქულით პირველ ადგილზეა ბელგიელი ჟიუსტინ ენენ არდენი. 1684 ქულით მეორეზეა რუსი კუზნეცოვა, ხოლო მესამე ადგილზე — ფრანგი ამელი მორესმო — 1671. საერთო ჩათვლაში მორესმოა პირველი — 3306, რომელიც 193 ქულით ჩამორჩება ბელგიელ კიმ კლიისტერს. 240 ქულა აქვს მესამე ადგილზე მყოფ ენენ არდენს.

ვაჟთა შორის პირველობას არ თმობს შვეიცარიელი როჯე ფედერერი. ის საჩემპიონო რბოლაში 817 ქულით ლიდერობს, ხოლო საერთო ჩათვლაში — 7260 ქულით.

ორივე შემთხვევაში მეორე ადგილზეა ესპანელი ჩოგბურთელი რაფაელ ნადალი — შესაბამისად 595 და 4545 ქულით.

## ტიტული შეინარჩუნა

ამერიკელმა პროფესიონალმა ჯერმეინ ტეილორმა წარმატებით დაიცვა ვბც-ს, ვბა-სა და ვბო-ს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის ტიტული 76,2 კგ. წონით კატეგორიაში. მან მემფისში 12 – რაუნდიან ბრძოლაში აჯობა თანამემამულე უინკი რაიტს. მსაჯებმა ტეილორსაც და რაიტსაც მიანიჭეს ქულათა თანაბარი რაოდენობა. ეს შედეგი კი უპირატესობას აძლევდა ტეილორს.

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**20 ივნისი, სამშაბათი**

**საქართველოს ტელევიზია. საზოგადოებრივი არხი.** ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ეკვადორი — გერმანია (18.00), პარაგვაი — ტრინიდადი (23.00), **რუსთავი 2.** კოსტა-რიკა (18.00), შვედეთი — ინგლისი (23.00). EUROSPORT. ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატის მიმოხილვა (10.30, 13.00, 16.30), მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდები (11.00), ჩოგბურთი. ატპ-ს ტურნირი ჰოლანდიაში (17.00), კრივი. ბრძოლა ვბო-ს ტიტულისათვის (22.45), რბოლები სატვირთო ავტომანქანებით (0.35). EUROSPORT-2. ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. პრესკონფერენციები (7.45, 8.45, 9.45, 10.45, 11.45, 12.45), მოტორბოლები. კატალონიის გრან პრი (17.00), საპლაჟო ფრენბურთი (19.00), ექსტრემალური სპორტი (20.00), კალათბურთი (20.30), მოტოფრისტაილი (21.00), ჩოგბურთი. ატპ-ს ტურნირი (22.00), მოტორბოლები (23.00). **„პლანეტა – სპორტი".** ფრენბურთი (7.15), საპლაჟო ფრენბურთი (20.45).

**21 ივნისი, ოთხშაბათი**

**საქართველოს ტელევიზია. საზოგადოებრივი არხი.** ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ირანი — ანგოლა (18.00), ჰოლანდია — არგენტინა (23.00). **რუსთავი–2.** პორტუგალტია — მექსიკა (18.00), კოტ დ'ივუარი — სერბეთი (23.00). EUROSPORT. ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატის მიმოხილვა (10.30, 13.00), მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდები (11.00), ჩოგბურთი ატპ-ს ტურნირი ჰოლანდიაში (17.00), სუმო (21.15), აფროსნობა (22.45), ცხენოსნობა (23.00), გოლფი. ევროტური (0.00), EUROSPORT-2. ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. პრესკონფერენციები (7.45, 8.45, 9.45, 10.45), საპლაჟო ფრენბურთი (17.00), სნუკერი. დიდების დარბაზი (19.00), ექსტრემალური სპორტი (20.00). ორთაბრძოლები (21.00), ჩოგბურთი. ატპ-ს ტურნირი (22.00), **„პლანეტა – სპორტი".** საპლაჟო ფრენბურთი (8.20), მძლეოსნობა (10.15).

**22 ივნისი, ხუთშაბათი**

**საქართველოს ტელევიზია საზოგადოებრივი არხი.** ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ჩეხეთი — იტალია (18.00), ხორვატია — ავსტრალია (23.00), **რუსთავი-2.** განა — აშშ (18.00), იაპონია — ბრაზილია (23.00), EUROSPORT. ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატის მიმოხილვა (10.30, 13.00, 22.15), ცხენოსნობა. (11.00), მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდები (12.00), ჩოგბურთი. ვტა-ს ტურნირი დიდ ბრიტანეთში (14.30), ჩოგბურთი. ატპ-ს ტურნირი ჰოლანდიაში (19.45), სუმო (22.45), კრივი (23.55). EUROSPORT-2. ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. პრესკონფერენციები (7.45, 8.45, 9.45), ჩოგბურთი. ატპ-ს ტურნირი (15.30), კრივი (19.00), მოტოფრისტაილი (20.00), ექსტრემალური სპორტი (21.00), ჩოგბურთი. ვტა-ს ტურნირი (22.00).

## კროსვორდი



## კროსვორდი ეძღვნება 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატს ფეხბურთში

**თარაზულად:** 7. ჩემპიონატის მონაწილე ქვეყანა, 8. იაპონელთა ნახევარმცველი, 9. ბრაზილიელთა ნახევარმცველი, 10. მონაწილე ქვეყანა, 11. კორეელთა მცველი, 12. ტოგოელთა მეკარე, 13. იაპონელთა მცველი, 16. ფრანგთა თავდამსხმელი, 18. ტოგოელთა მცველი, 22. იაპონიის ნაკრების მწვრთნელი, 23. გერმანელთა მცველი, 25. იტალიელთა მწვრთნელი, 26. ფრანგთა თავდამსხმელი, 27. ტუნისელთა მეკარე, 28. კორეელთა მეკარე.

**შვეულად:** 1. კოსტა-რიკის ნაკრების მცველი, 2. გერმანელთა მცველი, 3. პოლონელთა მცველი, 4. ბრაზილიელთა მეკარე, 5. ხორვატიელთა მცველი, 6. ტრინიდადელთა თავდამსხმელი, 14. იაპონელთა თავდამსხმელი, 15. იტალიის საფეხბ. კლუბი, 17. ტუნისელთა მცველი, 19. ტრინიდადელთა მცველი, 20 კორეელთა თავდამსხმელი, 21. გერმანელთა ნახევარმცველი, 24. ევროპის ქვეყნის დედაქალაქი.

შეადგინა თორნიკე ბაჩეჩილაძემ.

## საჭადრაკო ეტიუდი

ჰილდებრანდი (1988 წ)




თეთრები იგებენ

№44-ში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა: 1. ეf4+
1. ..... კe2 2. ეd4 მფc8 3. ე:h4 c3+
4. მფc6 კf3 5. მფb5 c2 5.ეc4.....

### წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 3. პრალა, 9. ბუფონი, 10. ნილსონი, 11. „იუვენტუსი", 12. ნოივილი, 18. უოლესი, 19. აიალა, 21. ლი, 22. ონო, 26. მიუ, 27. კასტილიო, 29. გავილანი, 30. კოფი.

**შვეულად:** 1. კუფური, 2. კორეა, 3. პიატოვი, 4. აგასა, 5. ანი, 6. ილიჩი, 7. კოული, 8. მილოი, 13. ოვუ, 14. ვილტორი, 15. ლუსიო, 16. რადომსკი, 17. საა, 20. ალებაგი, 21-ა. მესენი, 23. ბრავო, 24. აკალი, 25. ვოლფი, 28. ლეკო.

## თარიღები

### დაიბადნენ

20 ივნისი

**ალბერტ შესტერნიოვი** (1941) – საბჭოთა ფეხბურთის ლეგენდა, ევროპის 1964 წლის ვიცე-ჩემპიონი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი.

**ედუარდ მარკაროვი** (1942) — საბჭოთა ფეხბურთელი, სსრკ-ის 1973 წლის ჩემპიონი.

**ნიკოლაი პავლოვი** (1954) — უკრაინელი საფეხბურთო მწვრთნელი.

**პაულო ბენტუ** (1969) — პორტუგალიელი ფეხბურთელი.

21 ივნისი

**მიშელ პლატინი** (1955) — მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდა. „ოქროს ბურთის" სამგზის მფლობელი.

22 ივნისი

**შტეფან კუკოვიჩი** (1972) — გერმანელი სპორტსმენი, 2000 წლის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი ტრიათლონში.

**რომან ზოზულია** (1979) — უკრაინელი ტანმოვარჯიშე, 2000 წლის ოლიმპიადის ვიცე — ჩემპიონი.

## მოვლენა

20 ივნისი

1954 — გერმანიის ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატის მატჩში რეკორდული ანგარიშით 8-3 დაამარცხა შვეიცარიის გუნდი.

1968 — ამერიკელმა ჯიმ ჰაინსმა პირველმა გაირბინა 100 მეტრი 10 წამზე ადრე.

21 ივნისი

1964 — ევროპის თასის ფინალში ესპანეთის ნაკრებმა საბჭოთა ნაკრები დაამარცხა.

1970 — ბრაზილიელი ფეხბურთელები მსოფლიოს სამგზის ჩემპიონები გახდნენ.

1986 — არგენტინის ფეხბურთელთა ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატიდან ინგლისის გუნდი გამოთიშეს მარადონას მიერ ხელით გატანილი ბურთის წყალობით.

1999 — გერმანელი ჩოგბურთელის შტეფი გრაფის წლიურმა შემოსავალმა 21 მილიონ 512 ათას 490 დოლარი შეადგინა, რაც იმ დროისათვის ქალთა ჩოგბურთის რეკორდი იყო.

მთავარი რედაქტორი თენგიზ ბაჩეჩილაძე

# ლელო

№ 47 (12 015)

23 – 26 ივნისი, 2006 წ.

ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან • გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.org.ge/lelo


ფეხბურთში XVIII მსოფლიო ჩემპიონატი

FIFA FUSSBALL-WELTMEISTERSCHAFT DEUTSCHLAND 2006

## გულშემატკივრის როლში...



## ბორჯომი კონკურენტი აღარ არის...

გუშინ, ლოზანაში სოკ-ის შტაბბინაში გაიმართა ამ ორგანიზაციის აღმასკომის სხდომა, რომელმაც განიხილა 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის კანდიდატთა შერჩევის საკითხი. სოკ-ის პრეზიდენტი, დაპირებისამებრ 13 საათზე გავიდა ჟურნალისტებთან და ამცნო მათ, რომ ოლიმპიადა — 2014-ის მასპინძლობის კანდიდატთა სია შვიდიდან შემცირდა სამამდე. ესენია — კორეის ფხენჩხანი, ავსტრიის ზალცბურგი და რუსეთის სოჭი. იმედგაცრუებულთა შორისაა ჩვენი ბორჯომი, რომელმაც, სამწუხაროდ, ვერ დააკმაყოფილა წაყენებული მოთხოვნები.

ისევე როგორც სოჭმა, ჯერ კიდევ 1989 წელს, წამოაყენა თავისი კანდიდატურა ბორჯომ-ბაკურიანმა, მაგრამ მაშინ პოლიტიკურმა ვითარებამ საშინაო კონკურსში უპირატესობა სოჭს მიანიჭა, თუმცა აქედან არაფერი გამოვიდა.

2007 წლის იანვარში კანდიდატმა ქალაქებმა სოკ-ს უნდა წარუდგინონ განაცხადი, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი თამაშების ორგანიზაციის კონცეფცია. საბოლოო ვერდიქტს კი სოკ-ი იმავე წლის ივლისში გამოიტანს გვატემალაში.



## მილოცვა

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი დაბადებიდან 70 წლისთავს ულოცავს ქართული სპორტის ცნობილ მემატიანეს, სპორტის, ტურიზმის და საკურორტო საქმის დამსახურებულ მუშაკს, ამიერკავკასიის ხალხების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, ღირსების ორდენის კავალერს, ქუთაისის საპატიო მოქალაქეს, ქუთაისის სპორტის მუზეუმის დამაარსებელს და უცვლელ დირექტორს **ზურაბ ჯავახაძეს.**

X X X

„ლელო“ უერთდება ამ მილოცვას.

## დაჯილდოება

სპორტის პროპაგანდაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის და დაბადებიდან 70 წლისთავთან დაკავშირებით **ზურაბ ჯავახაძე** საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტმა დააჯილდოვა საპატიო სიგელით.

## სპორტული დიდების მუზეუმის ახალი დიდება

**ჭეშმარიტად ახალი დიდება! 40 წლის შემდეგ, როგორც იქნა საქართველოს სპორტული დიდების მუზეუმს ეღირსა შესაფერისი ბინა და კუთვნილი ადგილი ჩვენს სპორტულ ცხოვრებაში. ამიერიდან საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში მიმსვლელთა ყურადღებას უპირველესად მიიქცევს გამჭვირვალე დარბაზში განლაგებული ქართული სპორტის დიდების ყველაზე ძვირფასი ექსპონატები.**



ცნობისათვის: მუზეუმი 1965 წლის 14 აგვისტოს გაიხსნა თბილისში, მიხეილ გორგაძის, გიორგი მერკვილაძის და ისაკ კიზირიას თაოსნობით და თავდაპირველად ბინა დაიდო საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. 1977 წელს მუზეუმი თბილისის სპორტის სასახლემ შეიკედლა. დღეს მის ფონდში 6 ათასზე მეტი ექსპონატი — თასები, მედლები, ფოტოები, აფიშები და ქართული სპორტის ისტორიის ამსახველი სხვა დოკუმენტები ინახება.

მუზეუმის ახალ სახლობის ზეიმზე, გუშინწინ, ქართული სპორტის უამრავი ღვაწლმოსილი სპორტსმენი და მუშაკი შეიკრიბა, მოწვეულ სტუმართა შორის იყვნენ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს, თბილისის მთავრობის ხელმძღვანელები, სპონსორები.

„დიდი მადლობა თქვენ ქართული სპორტის ამაგდარ ადამიანებს. რომ არა თქვენი თავდადება, და თქვენს მიერ მიღწეული საამაყო წარმატებები საერთაშორისო სპორტულ სარბიელზე, ამ მუზეუმის შექმნის აუცილებლობა არ დადგებოდა დღის წესრიგში“ — თქვა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარემ დავით ნამგალაურმა. მან ახალი წარმატებები უსურვა ქართულ სპორტს, მადლობა გადაუხადა სპონსორს ფირმა „ფოლცვამენის“ გენერალურ დირექტორს საქართველოში ტარიელ ხეჩიკაშვილს გაწეული უანგარო დახმარებისთვის და მუზეუმის ფონდის შემნახველებს ლილი ლომსაძეს და აზა მოგელაძეს.

„საქართველო პატარა ქვეყანაა, მაგრამ მას მთელი მსოფლიო იცნობს თავისი სპორტული მიღწევებით, როგორც დიდ ქვეყანას. ამ მუზეუმში დავანებული თითოეული ექსპონატი რელიქვიაა, ჩვენი ხალხის უზომო სიხარულს უკავშირდება. მუზეუმი მუდამ განახლებადი იქნება, თაობები შეავსებენ მას ოლიმპიურ, მსოფლიო, ევროპის და სხვა საერთაშორისო შეჯიბრებებში მოპოვებული მაღალი ჯილდოებით“ — განაცხადა თავის გამოსვლაში საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრმა გოკა გაბაშვილმა. სამინისტროს დეპარტამენტისა და „ფოლცვამენის“ ხელმძღვანელობას მადლობა გადაუხადა ზრუნვისა და თანადგომისთვის ლილი ლომსაძემ.

შემდეგ შეკრებილებმა მუზეუმის ექსპონატები დაათვალიერეს.

ცოტნე ბაქრაძე.

## ჯგუფური ეტაპი

23.06, 18.00 საუდის არაბეთი – ესპანეთი
23.06, 18.00 უკრაინა – ტუნისი
23.06, 23.00 ტოგო – საფრანგეთი
23.06, 23.00 შვეიცარია – კორეა

## გუშინ:

**მატჩი №41. E ჯგუფი. ჰამბურგი. 45 500 მაყურებელი.**

### ჩეხეთი – იტალია 0-2.

**ჩეხეთი:** ჩეხი, გრიგერა, კოვაჩი (ჰაინცი, 78), იანკულოვსკი, როზეჰნალი, პოლაკი, პლაშილი, პობორსკი (შტაინერი, 46), როსიცკი, ნედვედი, ბაროში (იარონინი, 64).

**იტალია:** ბუფონი, გროსო, კანავარო, ნესტა (მატერაცი, 17), ძამბროტა, კამორანეზი (ბარონე, 74), პეროტა, პირლო, კატუზო, ტოტი, ჯილარდინო (ინძაგი, 60).

**გოლები:** 0-1 მატერაცი (26), 0-2 ინძაგი (87).

**გააფრთხილეს:** პოლაკი (25), კატუზო (31).

**გააძევეს:** პოლაკი (45).

**არბიტრი:** არჩუნდია (მექსიკა).

**მატჩი №42. შ ჯგუფი. ნიურნბერგი. 37 000 მაყურებელი.**

### განა – აშშ 2-1

**განა:** კინისტონი, მენსა, ილიასუ, მოჰამედი, პეინტსილი, ბოატენგი (ო.ადო, 46), დრამანი (ტაჩი-მენსა, 80), ესიენი, აპია, ამოა (ტ. ადო, 59), პიმპონგი.

**აშშ:** კელერი, ბოკანეგრა, ჩერუნდოლო (ჯონსტონი, 61), ლიუისი (კონვეი, 74), კონრადი, ონუეუ, დემპსი, რეინა (ოლსენი, 40), ბიზლი, მაკბრაიდი, დონოვანი.

**გოლები:** 1-0 დრამანი (22), 1-1 დემპსი (43), 2-1 აპია (45, პენ.).

**გააფრთხილეს:** ესიენი (5), ილიასუ (32), მენსა (81), აპია (90), ლიუისი (7).

**არბიტრი:** მერკი.

გუშინ E ჯგუფიდან მერვედფინალში გავიდნენ იტალიისა და განის ნაკრები გუნდები, იტალიელებმა შესანიშნავად ჩაატარეს შეხვედრა ჩეხეთის გუნდთან და გაიმარჯვეს 2-0. ბურთები მატერაციმ და ინძაგიმ გაიტანეს. საინტერესოა, რომ მთელი მეორე ტაიმი ჩეხეთის გუნდმა 10 კაცის შემადგენლობით ჩაატარა.

### ბრაზილია – იაპონია 4-1
### ხორვატია – ავსტრალია 2-2

ჯგუფიდან გავიდნენ ბრაზილიისა და ავსტრალიის გუნდები

| | A ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | გერმანია | | 4:2 | 1:0 | 3:0 | 8-2 | 9 |
| 2 | კოსტა რიკა | 2:4 | | 1:2 | 0:3 | 3-9 | 0 |
| 3 | პოლონეთი | 0:1 | 2:1 | | 0:2 | 2-4 | 3 |
| 4 | ეკვადორი | 0:3 | 3:0 | 2:0 | | 5-3 | 6 |

| | B ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ინგლისი | | 1:0 | 2:0 | 2:2 | 5-2 | 7 |
| 2 | პარაგვაი | 0:1 | | 2:0 | 0:1 | 2-2 | 3 |
| 3 | ტრინიდადი | 0:2 | 0:2 | | 0:0 | 0-4 | 0 |
| 4 | შვედეთი | 2:2 | 1:0 | 0:0 | | 3-2 | 5 |

| | C ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | არგენტინა | | 2:1 | 6:0 | 0:0 | 8-1 | 7 |
| 2 | კოტ დ'ივუარი | 1:2 | | 3:2 | 1:2 | 5-6 | 3 |
| 3 | სერბეთი | 0:6 | 2:3 | | 0:1 | 2-10 | 0 |
| 4 | ჰოლანდია | 0:0 | 2:1 | 1:0 | | 3-1 | 7 |

| | D ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მექსიკა | | 3:1 | 0:0 | 1:2 | 4-3 | 4 |
| 2 | ირანი | 1:3 | | 1:1 | 0:2 | 2-6 | 1 |
| 3 | ანგოლა | 0:0 | 1:1 | | 0:1 | 1-2 | 2 |
| 4 | პორტუგალია | 2:1 | 2:0 | 1:0 | | 5-2 | 9 |

| | E ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | იტალია | | 2:0 | 1:1 | 2:0 | 5-1 | 7 |
| 2 | განა | 0:2 | | 2:1 | 2:0 | 4-3 | 6 |
| 3 | აშშ | 1:1 | 1:2 | | 0:3 | 5-1 | 7 |
| 4 | ჩეხეთი | 0:2 | 0:2 | 3:0 | | 3-4 | 3 |

| | F ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბრაზილია | | 2:0 | 1:0 | 4:1 | 7-1 | 9 |
| 2 | ავსტრალია | 0:2 | | 2:2 | 3:1 | 5-5 | 4 |
| 3 | ხორვატია | 0:1 | 2:2 | | 0:0 | 2-3 | 2 |
| 4 | იაპონია | 1:2 | 1:4 | 0:0 | | 2-5 | 1 |

| | G ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | საფრანგეთი | | 0:0 | 1:1 | | | |
| 2 | შვეიცარია | 0:0 | | | 2:0 | | |
| 3 | კორეა | 1:1 | | | 2:1 | | |
| 4 | ტოგო | | 0:2 | 1:2 | | | |

| | H ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ესპანეთი | | 4:0 | 3:1 | | | |
| 2 | უკრაინა | 0:4 | | | 4:0 | | |
| 3 | ტუნისი | 1:3 | | | 2:2 | | |
| 4 | საუდის არაბ. | | 0:4 | 2:2 | | | |

## ევროპა ვაკეში

**ევრო ტურნირებში მონაწილე ოთხივე ქართული გუნდი პირველ საკვალიფიკაციო შინაურ მატჩებს თბილისში, ვაკეში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გამართავს.** ასეთია უეფას შეუვალი ვერდიქტი. ევროპული ფეხბურთის მესვეურებმა ჩვენებურებს, მხოლოდ ერთი, მაგრამ, საკმაოდ მნიშვნელოვანი შეღავათი გაუწიეს. წესით, ერთ სტადიონზე ორ გუნდს შეუძლია თამაში, მაგრამ, რადგანაც მიმდინარეობს ეროვნული სტადიონის რეკონსტრუქცია, ხოლო საქართველოში „მ. მესხი“ ერთადერთია, რომელიც საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება, ჩვენს „ევროპელებს“ ვაკის საფეხბურთო არენა უმასპინძლებს.

ხვალ, 24 ივნისს, თბილისის „დინამო“ ერევნის „კილიკიას“ მიიღებს და ინტერტოტოს თასის პირველი ეტაპის საპასუხო მატჩს გამართავს. დღეს, უეფას შტაბბინაში ჩემპიონთა ლიგის და უეფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის კენჭისყრა ჩატარდება, ცნობილი გახდება ბოლნისის „სიონის,“ თბილისის „ვიტ ჯორჯიასა“ და „ამერის“ პირველი მეტოქეების ვინაობა. „დინამოს“ მსგავსად, ისინიც სტუმრებს „მიხეილ მესხზე“ უმასპინძლებენ.

ინტენსიური სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს ბოლნისის თემურ სტეფანიას სახელობის სტადიონზე. საქართველოს ჩემპიონებს სურთ გუნდმა საერთაშორისო მატჩები შინ ითამაშოს, მაგრამ ამ სურვილის ასრულებას გარკვეული დრო სჭირდება. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის შემდეგ, ალბათ, უკვე გარემონტებული ბოლნისური სტადიონის მდგომარეობას უეფას ოფიციალური წარმომადგენელი შეამოწმებს. მოწონების შემთხვევაში, სავსებით შესაძლებელია, ბოლნისელებმა მეორე ეტაპის მატჩი უკვე მშობლიურ სტადიონზე გამართონ, თუ, რა თქმა უნდა, „სიონი“ პირველ ეტაპსაც წარმატებით გაივლის. მანამდე, ქომაგებს ვაკეში ვეპატიჟებით.

## ელიტარულ გუნდებში – მეორე!

ჩვენი ახალგაზრდა წყალმხტომელები სპორტის ამ სახეობის მსოფლიო ელიტაში მოიხსენიება, რასაც, უპირველესად, სხვადასხვა ავტორიტეტულ ტურნირებში მათი მიწვევა და იქ მოპოვებული წარმატებები ადასტურებს.

გერმანიის საერთაშორისო ტურნირი ახალგაზრდებსა და იუნიორებს შორის ტრადიციულია და ასევე ტრადიციულად ევროპის ჩემპიონატამდე დაახლოებით 15-20 დღით ადრე ტარდება პატარა ქალაქ ვალდტრაიბურგში. ჩვენები ამ ტურნირში მას შემდეგ მიიწვიეს, რაც დარწმუნდნენ, რომ ქართველების ოსტატობა თუ არ შემატებდა, არაფერს დააკლებდა ამ პრესტიჟულ ასპარეზობას. ეს კი შარშან მოხდა პირველად. მაშინ ჩვენებმა ბრინჯაოს ორი მედალი მოიხვეჭეს. ამჯამად ჩვენმა მწვრთნელებმა მამაშვილმა **ალექსანდრე** და **ირაკლი ბართაიებმა** მხოლოდ სამი სპორტსმენი შეარჩიეს გერმანიის ტურნირისთვის (გუნდის სრული შემადგენლობა 8 მონაწილით განისაზღვრება). მასპინძლების 5 გუნდის გარდა, ტურნირში რეიტინგის შესაბამისად მონაწილეობდნენ ჩინეთის, საქართველოს, ჰოლანდიის, ავსტრიის, პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხეთის და დანიის რჩეული წყალმხტომელები. ჩვენებმა შესანიშნავად იასპარეზეს სინქრონულ ხტომებში (**ჭოლა ჭანტურია, გიორგი გევორქიანი**) და მეორე საპრიზო ადგილი დაიკავეს ჩინეთის უძლიერესი ნაკრების შემდეგ. ქულათა სხვაობა მინიმალურია: 1. ჩინეთი — 263, 22, 2. საქართველო — 257, 04, 3. საბერძნეთი — 254,82. დავძენთ, რომ ბერძნები შარშან ევროპის პირველობის მესამე პრიზიორები იყვნენ.

ინდივიდუალურ ხტომებში ჭანტურიას 1 მეტრიანი ტრამპლინიდან მესამე საპრიზო ადგილი ხვდა წილად — 420 ქ. პირველი იყო გერმანელი **იოჰანეს დუნაი** — 505, მეორე — **ევგენი კუზნეცოვი** (რუსეთი) — 438. ჭანტურიას ერთი ნახტომი რომ არ გაცუდებოდა, უკეთეს შედეგს მიაღწევდა.

„სამწუხაროდ, **შოთა კოროხაშვილმა** 1 მ. ტრამპლინიდან და 10 მეტრიან კოშკურიდან ასპარეზობაში სრულად ვერ გამოავლინა თავისი შესაძლებლობები. დიდი ხანი არაა, რაც მინსკის ტურნირზე შთამბეჭდავად გამოვიდა, ახლა კი ზედმეტად ნერვიულობდა. მაგრამ მე მჯერა, რომ ყველაფერი კარგად იქნება“ — თქვა ი. ბართაიამ.

ევროპის პირველობა ერთ კვირაში, 30 ივნისს დაიწყება მალიორკაზე და 5 ივლისს დასრულდება.

# „ოქროს ქორწილის“ მოლოდინში

შეუღლებიდან 50 წლისთავისთვის ცოლსა და ქმარს „ოქროს ქორწილისთვის“ აგულიანებენ ახლობლები. ასეთია ტრადიცია. წყვილი, რომელთა შესახებ ქვემოთ ვილაპარაკებთ, ახლობლებმა კი არა, მთელმა ქართულმა სპორტულმა სამყარომ უნდა შეაგულიანოს დაიდგან „ოქროს ქორწილის“ გვირგვინი.

1956 წელს სსრ კავშირის ხალხთა I სპარტაკიადიდან შინ დაბრუნებულ ჩვენს სპორტსმენებს მოუთმენლად მოელოდნენ საქართველოს ყველა კუთხეში. ბათუმში კი გამორჩეულად ემზადებოდნენ. ბრწყინვალე იყო მიზეზი — საქართველოს მძლეოსანთა ნაკრების ორი წევრი 24 წლის ბათუმელი **მამია ტუღუში** ქორწინდებოდა 21 წლის თბილისელ **ლამარა სესაძეზე** (ქორწინების შემდეგ იგი ქმრის გვარზე გადავიდა — ტუღუში გახდა).

ზეიმი ბათუმის რკინიგზის სადგურიდან დაიწყო. დამხვდურთა შორის, რაღა თქმა უნდა, იყვნენ ნეფე-დედოფლის ოჯახის წევრები, ახლობლები, მეგობრები და სპორტის ხელმძღვანელი მუშაკები. ყველაფერი წარიმართა წინასწარ შემუშავებული სცენარით.



50 წლის წინათ...

იმავე 1956 წელს მეუღლეებმა სწავლა განაგრძეს ქ. ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, რომელიც ორივემ განსხვავებული სპეციალობით დაამთავრა 1961 წელს. ორი წლის შემდეგ თბილისში გადმოდიან საცხოვრებლად. მამიამ შემდეგ ფიზიკური კულტურის ინსტიტუტიც დაამთავრა და საბოლოოდ დაუკავშირა ბედი სპორტს. ეს ინსტიტუტი დაამთავრა მეუღლემაც.

**შტრიხები სპორტული ბიოგრაფიიდან. მამია ტუღუში:** სპორტში მეცადინეობა დაიწყო 17 წლის ასაკში, ბათუმში. ჩინებული სპორტული მონაცემების წყალობით ერთი წლის ვარჯიშის შემდეგ, 1951 წელს პირველობა არავის დაუთმო მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე ქ. სტალინოში (უკრაინა) 110 მ-ზე თარჯრბენში. 1952, 1953, 1954 წლებში უკვე საბჭოთა არმიის მესამე პრიზიორი. 1955 წელს „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონია 110 მ. და 200 მ. თარჯრბენში, გახდა საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და რეკორდსმენი. 110 და 200 მ. თარჯრბენში. სსრ კავშირის ხალხთა სამი სპარტაკიადის მონაწილეა. ხალხთა III სპარტაკიადა სპორტთან მისი გამოთხოვების ასპარეზობა იყო. შემდეგ იწყება მწვრთნელის, ფუნქციონერის, ხელმძღვანელის რანგში მოღვაწეობა. 1995 წლიდან ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის კათედრის გამგეა, სადაც დღესაც მუშაობს. მისი ხელმძღვანელობით დამუშავდა და გამოიცა ცნობარი „საქართველოს მძლეოსნობა XX საუკუნეში“ და ბროშურა „საქართველოს 10 საუკეთესო მძლეოსანი სახეობების მიხედვით (1992-2002 წწ)“. როგორც მსაჯი მრავალ შეჯიბრებებზე ყოფილა მიწვეული, მიწვეული იყო მოსკოვის XXII ოლიმპიურ თამაშებზეც, რაც თავისთავად ბევრის მთქმელია.

**ლამარა სესაძე — ტუღუში:** 1950 წელს ჯერ კიდევ სკოლის ასაკში დაიწყო მეცადინეობა მძლეოსნობაში. იმავე წელს დაძლია 130 სმ. სიმაღლე, შემდეგ პირველობა არავის დაუთმო თანატოლ გოგონებს შორის სამჭიდში (100 მ. ბირთვი, სიმაღლე). შესანიშნავმა სპეციალისტმა **ბორის ტახტაროვმა** ნიჭიერი გოგონა შეგირდად აიყვანა. ორ წელიწადში აზგილი დაიმკვიდრა მოსწავლე-მძლეოსანთა საქართველოს ნაკრებში. 1953 წელს მოსწავლეთა საკავშირო პირველობაზე კიევში საკავშირო მიღწევა დააფიქსირა ბადროს ტყორცნასა და ბირთვის კვრაში (შესაბამისად: 42,38 სმ; 13,48 სმ). მასვე ეკუთვნოდა საქართველოს რეკორდი



50 წლის შემდეგ...

ბირთვის კვრაში (13,71 სმ), რომელიც 20 წლის შემდეგ გააუმჯობესა მისმა უფროსმა ქალიშვილმა ელეონორამ (13,78 სმ).

1959 — 1969 წლებში სსრ კავშირის ნაკრების წევრია და წარმატებით გამოდის საერთაშორისო შეჯიბრებებში ბადროს ტყორცნასა და ბირთვის კვრაში. მონაწილეობდა სსრკ — დიდი ბრიტანეთის, სსრკ — აშშ-ს მძლეოსანთა მატჩებში. ორჯერ იყო ხალხთა სპარტაკიადის ვერცხლის პრიზიორი (ბადრო) „დინამოს“ ცხრაგზის ჩემპიონი და ა.შ.

1971 წელს სწორედ ლამარა ტუღუშმა მოხსნა ბადროს ტყორცნაში **ნინო დუმბაძის** რეკორდი. ლამარა ტუღუში ხალხთა ექვსი სპარტაკიადის მონაწილეა, რაც თავისთავადაა ერთგვარი რეკორდი. იგი ერთადერთი ქალია საქართველოში, რომელიც სრული მეოთხედი საუკუნე ემსახურა ქართულ სპორტს სარბიელზე. 40 წლის იყო, როცა VI სპარტაკიადაზე ბადრო 55 მეტრზე ტყორცნა.

ცხადია, მეუღლეებს არ აკლიათ მაღალი სპორტული ტიტულები. ლამარა ღირსეულად დასახელდა XX საუკუნის აჭარის და საქართველოს საუკეთესო ქალ მძლეოსანთა ათეულში.

დადგა დრო და წავიდა აქტიური სპორტიდან ცოლიც და ქმარიც, მაგრამ მათი გვარი ქართულ სპორტში კვლავ საამაყოდ დარჩა. სპორტი ოჯახურ ტრადიციად იქცა. ამჟამად სპორტულ ტრადიციებს აგრძელებს აგრეთვე შვილიშვილი გიორგი და შვილისშვილისშვილიც კი. გიორგის არაერთი გამარჯვება მოუპოვებია ჭაბუკ მძლეოსანთა სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში.

ასეთია ერთი ოჯახის სპორტული მიღწევების არასრული ჩამონათვალი. დაგვეთანხმებით დედამიწის ზურგზე ცოტა როდია ქვეყანა, რომლებსაც თავის ისტორიაში იმდენისთვის არ მიუღწევია სპორტში, რამდენიც ამ ერთმა ქართულმა ოჯახმა შესძლო.

26 ივნისი „ოქროს ქორწილის“ თარიღია. ვულოცავთ!

**თენგიზ თომაშვილი.**



ტრადიციის გამგრძელებელი — გიორგი ამირანაშვილი

## მილოცვა

საქართველოს მძლეოსნობის ეროვნული ფედერაცია შეუღლების 50 წლისთავს ულოცავს საქართველოში მძლეოსნობის ორ დიდებულ მოღვაწეს **ლამარა** და **მამია ტუღუშებს.**

X X X

„ლელოს“ რედაქცია უერთდება ამ მილოცვას.

# «მართვეები» მუღანლოდან...



ჩვეულებრივი ამბავია, სკოლაში ფიზაღზრდის მასწავლებელს იმ განხრით მიჰყავს მოსწავლეთა სპორტული სპეციალიზაცია, რომელ სპორტის სახეობაშიც თავადაა სპეციალისტი.

უკვე მეოთხე წელია გარდაბნის რაიონის სოფ. მუღანლოს საჯარო სამართლის სკოლაში ფიზაღზრდის მასწავლებელი, ყოფილი მოჭიდავე **პაატა თოიძე** თავისუფალ ჭიდაობაში წვრთნის შეგირდებს და უკვე სკოლა ამაყობს კიდეც თავისი აღსაზრდელების

## სპორტი რეგიონებში

მონაგრით. ქართული სპორტის „მართვეების“ [illegible] მიღწევა ჯერჯერობით ქვემო ქართლის ჩემპიონობაა მოსწავლეთა შორის, შარშან კი სამმა ნორჩმა ფალავანმა საპრიზო ადგილი დაიკავა თანატოლთა საქართველოს პირველობაზე. მანამდე იყო წარმატებები აგრეთვე, როგორც რაიონის, ისე რეგიონის პირველობებში.

უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის დირექტორი **დილარა აბაზოვა** ყოველმხრივ უწყობს ხელს მწვრთნელ-მასწავლებელს და მის შეგირდებს შეჯიბრებებისთვის უკეთ მომზადებაში. დავძენთ, იმასაც, რომ ამ სკოლის მოსწავლე-სპორტსმენები წარმატებით გამოდიან აგრეთვე რაიონის სკოლებს შორის ფეხბურთსა და ფრენბურთში გამართულ შეჯიბრებებში.

„სკოლის ხელმძღვანელობის, თვით მოსწავლეთა ასეთი აქტივობის პირობებში, მუღანლოს სკოლის მოჭიდავეებისგან ბევრ წარმატებებს მოველით მომავალში“ — თქვა რაიონის სპორტსკოლის დირექტორმა რონ ბერაძემ.

# პირველები ჩვენ ვიყავით



აზერბაიჯანის ქ. მასალლიში დასრულდა ევროპის ჩემპიონის **აზერა ისაევის** სახელობის საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში, 1990-1993 წ. დაბადებულ ჭაბუკთა შორის ირანის, რუსეთის, საქართველოს და აზერბაიჯანის უძლიერესი მოჭიდავეების მონაწილეობით.

ჩვენი გუნდის შემადგენლობაში იყვნენ ქ. თბილისის **ლევან თედიაშვილის** სახელობის ოლიმპიური მზადების ცენტრის (დირექტორი **ემზარ კიკაბიძე**) მოჭიდავეები, ქ. ბათუმის, ქ. ხაშურის, საგარეჯოს, ქარელის და კაზრეთის წარმომადგენლები. შეჯიბრება იყო პირად გუნდური. ქვეყნის მოჭიდავეებმა ყველას სძლიეს და გუნდურ ჩათვლაშიც 1 ადგილი დავიკავეთ.

პირველ ადგილზე გავიდნენ: **მიხეილ აბრამიშვილი** (85 კგ, თედ. კლ), **გიორგი გელაშვილი** (26 კგ), **აკაკი მოწონელიძე** (32), **დავით ბუზიაშვილი** (35, სამივე ხაშური), ქარელიდან — **თამაზ ელანდიშვილი** (58), **ზელიმხან ემინოვი** (69), საგარეჯოდან — **თორნიკე ასრათაშვილი** (29); მეორე პრიზიორები გახდნენ: ხაშურელები **რაუფ შაკულოღლი** (32 კგ) და **ელშად ბაირამოვი** (63); მესამე ადგილი წილად ხვდათ: **ავთანდილ მაზაჭაშვილს** (38, ხაშური), **ჩინგიზ კაზუმოვს** (47, ქარელი), **ლევან როჭიკაშვილს** (35, საგარეჯო), **ჯონი ყადიძეს** (69, ბათუმი), **დიმიტრი ბასილაშვილს** (42, კაზრეთი).

გამარჯვებულთა და პრიზიორთა მწვრთნელები არიან: **ელგუჯა ქობესაშვილი** და **ამირან მაისურაძე** (თბ), **გიორგი კვინიკაძე** (ხაშური), **თემურ აზმედოვი** (ქარელი), **რამაზ ასაბაშვილი** (საგარეჯო), **მარადი არძენაძე** (ბათ), **გუჯა ბასილაშვილი** (კაზრეთი).

„როგორც ჩვენი ნაკრების ხელმძღვანელმა მადლობა მინდა ვუთხრა ქარელის რაიონის ხელმძღვანელობას ფინანსური მხარდაჭერისთვის. მადლობა ყველა მწვრთნელს, განსაკუთრებით გიორგი კვინიკაძეს, რომელმაც უდიდესი დახმარება გამიწია.“

**ელგუჯა ქობესაშვილი,**
**საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი,**
**დელეგაციის ხელმძღვანელი.**

## სპორტის აკადემია

# წარმომადგენლობითი საბჭოს პირველი სხდომა

17 სამუშაო დღე ხელმძღვანელისთვის რადიკალური ცვლილებების გასატარებლად ბევრი სულაც არ არის, მაგრამ გააჩნია ხელმძღვანელს. ვისთვის სამუშაო დღე ერთი ჩვეულებრივი დღეა და ვისთვის დღენახევარი და მეტიც.

**ჯემალ გუგუშვილი** დროს არ აფიქსირებს. მუშაობს იმდენს, რამდენსაც ყოველდღე საქმე მოითხოვს. საქმე კი, როგორც იტყვიან, თავზე საყრელია, აკადემიურ პროცესს ეხება ეს თუ სამეურნეოს. საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის მოვალეობის შემსრულებელი, პროფესორი ჯემალ გუგუშვილი გუშინ, აკადემიაში მოსვლიდან თავის მე-17 სამუშაო დღის 70 წუთი აკადემიის ახალარჩეულ წარმომადგენლებით საბჭოს წევრებთან შეხვედრაში გაატარა.

ეს საბჭო სულ ახლახანს აირჩიეს, რაც კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იყო განათლების რეფორმის გზაზე. „ჩვენმა აკადემიამ ქვეყნის ყველა უმაღლეს სასწავლებელს დაასწრო და გაასწრო რეფორმების გატარებაში. ჩვენთან უკვე კარგა ხნის დამთავრებულია, რაც ახლა სხვაგან დღის წესრიგშია. ჩვენ ახლა აკადემიის ცხოვრებაში ისტორიული ფაქტის მომსწრე ვართ —პირველად იკრიბება რეფორმირებული სასწავლებლის წარმომადგენლობითი საბჭო. საბჭომ თავისი სიტყვა უნდა თქვას აკადემიის სტრატეგიის — მოკლე ვადიანი და გრძელვადიანი გეგმების განხორციელებაში — განაცხადა ჯ. გუგუშვილმა.

შემდეგ საბჭომ ერთხმად დაამტკიცა საბჭოს შემადგენლობა და სცნო მისი უფლებამოსილება. საბჭოს პირველ სხდომას უძღვებოდა აკადემიის ასოცირებული პროფესორი **თენგიზ გაჩეჩილაძე.**

ჯ. გუგუშვილმა პასუხი გასცა საბჭოს წევრთა ბევრ შეკითხვაზე.

„ლელო“ – „გუმათე“.

## ახალი თაობის სპორტსმენები

# ზრუნვა – ყურადღებას მაღალი შედეგებით პასუხობს

ირაკლი ქამადაძე

დაიბადა 1992 წლის 3 მარტს სენაკში. სიმაღლე 180 სმ. წონა – 72 კგ. სწავლობს ქ. თბილისის 31-ე საშ. სკოლის VIII კლასში. კრივში ვარჯიშობს 2000 წლიდან. მიღწევები: 66 კგ. წონით კატეგორიაში არის საქართველოს ორგზის ჩემპიონი ჭაბუკებში (1992 წ. დაბ. შორის) და დავით კვაჭაძის სახელობის XXII საერთაშორისო ტურნირში (1992 წ. დაბ. შორის) გამარჯვებული 65 კგ. წონით კატეგორიაში ამავე ასაკის თანატოლთა შორის ევროპის ჩემპიონატის III პრიზიორი. საქართველოს ნაკრების წევრი.

14 წლის ნორჩმა მოკრივემ ირაკლი ქამადაძემ მოკლე დროში მიაღწია მაღალ შედეგებს და მასთან გასაუბრების საბაბიც ეს გახდა.

◆ ***ირაკლი, გილოცავთ ევროპის ჩემპიონატის პრიზიორობას, ამ გამარჯვებით ალბათ, ახალი ეტაპი დაიწყო შენს სპორტულ კარიერაში?***

— გმადლობთ მილოცვისათვის. ჯერჯერობით ეს მართლაც ჩემი ყველაზე დიდი გამარჯვებაა. ყველაფერს გავაკეთებ, რომ სრულად გამოვავლინო შესაძლებლობები და მსოფლიო რინგზე მომავალში ვასახელო ჩემი ქვეყანა.

◆ ***როგორ დაუკავშირდი კრივს?***

— მამაჩემის და ჩემი ნათლიის, ყოფილი მოკრივის მიშა ლეჟავას რჩევით პირველად ნათლობა კრივში 2000 წელს მივიღე. ამჟამად „ვარდების ბაღში“ (ყოფილი გორკის კლუბის) მდებარე კრივის დარბაზში. სიყვარულით მოვიხსენიებ მწვრთნელებს ვასილ ცერცვაძეს, ვალიკო ნადირაშვილს და გიგა ცერცვაძეს.

◆ ***სასიხარულოა რომ პირველი მწვრთნელების ამაგს არ ივიწყებ და თბილად მოიხსენიებ. ახლა ვინ ზრუნავს შენს დაოსტატებაზე?***

— ამჟამად ვვარჯიშობ კლუბ „დკდ“-ში (დუნდუების კრივის დარბაზი. გლდანის III მ/რ. პრეზიდენტი ზურაბ დუნდუა) ჩემი მწვრთნელებია გუმბათ ალანოვი, დათო დუნდუა და თამაზ კუჭავა.



◆ ***ვინ გეხმარება, სპონსორი თუ გყავს?***

— რომ არა შპს „მედსერვისის“ ხელმძღვანელის გია ადამიას, ბიძაჩემის ალექსანდრე ძველაიას და ოჯახის მეგობრის სერგუჩი ლაშქარავას ფინანსური და მორალური მხარდაჭერა, ძალზედ გამიჭირდებოდა შედეგების მიღწევა და მომავალზე ოცნება.

◆ ***როგორ უთავსებ სწავლასა და სპორტს ერთმანეთს?***

— ვსწავლობ კარგად. სტიმულს მაძლევს ახლობლების, სკოლის მეგობრების, პედკოლექტივის (დირ. მარინა ნიჟარაძე) ყურადღებიანი მოპყრობა. წასახალისებლად სკოლაში სტენდზე გამოკრულია ჩემი მიღწევების ინფორმაცია და ა.შ.

ზემოხსენებულთა გარდა მხარდაჭერისთვის მინდა მადლობა გადავუხადო ყველა მწვრთნელს, №31-ე საშ. სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგებელს რამაზ სულამანიძეს და მის მოადგილეებს გიორგი რობაქიძეს და აკაკი დარასელიას, რომლებმაც წახალისებით მომილოცეს გამარჯვება ევროპის ჩემპიონატიდან დაბრუნების შემდეგ.

**ომარ ჩხაიძე.**

## მ ე მ კ ვ ი დ რ ე ო ბ ა

# ფედერაციის ამაგდარი პრეზიდენტები



რუბრიკას უძღვება მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში, სპორტის დამსახურებული ოსტატი **გურამ საღარაძე.**

პიროვნების ღვაწლი ყველა საქმეში დასაფასებელია, მით უფრო თუ ეს ეხება ეროვნული მნიშვნელობის სფეროს. ქართული სპორტი და მისი ფლაგმანი ჭიდაობა, სწორედ ასეთ სფეროს განეკუთვნება.

დღეს მინდა მკითხველს მოვუთხრო საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ხელმძღვანელებზე. მანამდე კი გადავხედოთ ისტორიას. ეროვნული ფედერაცია შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციის სტრუქტურული სუბიექტია. „ფილა" — ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია შეიქმნა საუკუნის წინათ — 1905 წელს. დამფუძნებლები იყვნენ იტალია, საფრანგეთი, შვედეთი და შვეიცარია. დღეს იგი აერთიანებს 146 ქვეყნის ეროვნულ ფედერაციას და 5 კონტინენტურ კომისიას.

საქართველოში ჭიდაობის ფედერაციას საფუძველი ჩაეყარა გასული საუკუნის 60-იან წლებში, მაგრამ გასაგები მიზეზების გამო იგი არ შედიოდა ფილას შემადგენლობაში, იქ ყველა საბჭოთა რესპუბლიკის სახელით სსრ კავშირის ფედერაცია იყო წარმოდგენილი.

XX საუკუნის 60-70-იან წლებში საქართველოს ფედერაციას სათავეში ედგა **ირაკლი სარაჯიშვილი** — შესანიშნავი პიროვნება, თავმდაბალი, სამაგალითო ყველა ჩვენგანისათვის. ეს კაცი სხვადასხვა საპასუხისმგებლო პოსტებზე მუშაობდა, მაგრამ მუდამ ინარჩუნებდა დროს ჭიდაობის დიდ ოჯახთან საურთიერთობოდ. ყველას შემწე, ფაქიზი სულის კაცი, ჭირშიც და ლხინშიც ჩვენს გვერდით იდგა. მისი ხელმძღვანელობით მრავალ შესანიშნავ წარმატებას მიაღწია საქართველოს თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა ნაკრებმა გუნდებმა.

ირაკლი სარაჯიშვილის შემდეგ ჩვენმა ჭიდაობის სამყარომ თავის ხელმძღვანელად აირჩია **გურამ მგელაძე,** რომელმაც ყველაფერი გააკეთა სახელოვანი ტრადიციების დასაცავად, შესანარჩუნებლად და გასაღრმავებლად.

ეროვნული ფედერაცია ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ოფიციალურად დაფუძნდა 1991 წლის 22 მაისს, სსრ კავშირის დაშლის შემდეგ, პრეზიდენტად აირჩიეს **რომან რურუა** (1991-1993 წწ.), თავისუფალი ჭიდაობის — 28 მაისს და მას ხელმძღვანელობდა **მურმან ომანიძე** (1991-1993). ეს ფედერაციები 1992 წლის 2 აგვისტოს აღიარა ფილამ, მაგრამ შესთავაზა ერთ ორგანიზაციად გაერთიანება.

1993 წლის 14 იანვარს შეიქმნა ჭიდაობის გაერთიანებული ეროვნული ფედერაცია. პრეზიდენტები იყვნენ: **გურამ გედეხაური** (1993-1994), **დავით გობეჯიშვილი** (1994-2000), **გოჩა ძასოხოვი** (2000-2004), რომლის ხელმძღვანელობის პერიოდში ჩვენმა ეროვნულმა ნაკრებმა მოიპოვა მსოფლიო თასი (2004), როგორც თავისუფალ, ისე ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. 2004 წელს ფედერაციას სათავეში ედგა **ბაკურ გოგიტიძე,** 2005 წლიდან კი ფედერაციის პრეზიდენტად ავირჩიეთ პარლამენტარი **კახა გეწაძე,** რომელიც ჭიდაობის ოჯახშია აღზრდილი.

ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია ტრადიციულად ყველაზე წარმატებულ ფედერაციად ითვლება ჩვენს ქვეყანაში. სწორედ თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაშია მოპოვებული ყველაზე მეტი ოლიმპიური თამაშების, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატების ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს მედლები. ბუნებრივია, ჩვენი ხალხი მეტს მოელის ფალავნებისგან, სპორტის ამ სახეობაში მკაფიოდ წარმოჩინდა ქართული ბუნება, შეუდრეკელობა, სწრაფვა გამარჯვებისკენ და, რაღა თქმა უნდა, ყველაზე ამაღლებული საუკეთესო რაინდული თვისებები.



## ღვაწლი წინაპართა...

კულა გლდანელი ხშირად მართავდა საქველმოქმედო ჭიდაობას. ცნობილია მისი შემწეობა ვაჟა-ფშაველასადმი: „ოღონდ წადი ისწავლე, და კულა მოგიკვდეს თუ არ დაგეხმაროს".

„აღსანიშნავია, რომ გლდანელმა პირველმა მისცა ქართულ ჭიდაობას თეატრალური სპორტის ხასიათი, პირველმა დააარსა თბილისში ეგრეთწოდებული საჭიდაო წრე, სადაც მთელი ამიერკავკასიის ყველა კუთხიდან თავს იყრიდნენ სახელგანთქმული მოჭიდავენი და საზოგადოებას აჩვენებდნენ თავიანთ უნარს, ხერხიანობასა და შნოსა".

## ბავშვთა ფეხბურთი

# სუპერთასები «ოლიმპიკზე»

„ოლიმპიკის" სტადიონზე ჩატარდა გივი ნოდიას სახელობის სუპერ თასის ფინალური მატჩი 1993 წ. დაბადებულ ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდებს შორის. ერთმანეთს შეხვდნენ „კოლხი" ქუთაისი (დასავლეთი) და „ლიონი" გორი (აღმოსავლეთი) ძირითადი დრო დამთავრდა 1-1. საჯარიმო დარტყმებით 4-1 გაიმარჯვა „ლიონმა". გამარჯვებული გუნდის მწვრთნელებია: **გოჩა ჭეჭელაშვილი, ზვიად ანიაშვილი** და **ლავრენტი ბოლოთაშვილი.** ქუთაისის გუნდის მწვრთნელია **ემზარ ხურცილავა.**

იმავე „ოლიმპიკის" სტადიონზე ანდრო ჟორდანიას სახელობის სუპერ თასის გათამაშების ფინალში 1992 წ. დაბადებულ ჭაბუკ ფეხბურთელებს შორის, ერთმანეთს შეხვდნენ დასავლეთის გუნდი — „მემორიალი" (ქუთაისი) და აღმოსავლეთის გუნდი — „ოლიმპიკი" (თბილისი). 3-0 გაიმარჯვა „ოლიმპიკმა", (მწვრთნელი **გიორგი ციკოლია,** კლუბის პრეზიდენტი **კარლო მჭედლიძე**). „ოლიმპიკი" მეხუთედ გამოდიოდა ფინალში, 4-ჯერ ხელი მოეცარა, ახლა კი ღირსეულად იზეიმა გამარჯვება.





# იცვლება ფეხბურთი, იცვლება გულშემატკივრობა

## ქომაგობასაც სწავლა უნდა...

მსოფლიოს მეთვრამეტე ჩემპიონატი ზარზეიმით გვესტუმრა. ნაირ-ნაირ ფერებში მოხატულ თბილისის ქუჩებს ემოციებით აღსავსე ფეხბურთის გულშემატკივრების ტალღამ გადაურბინა. დარდიანი მშვიდობა, ჩვენი მოქალაქეების ულიმარი სახეები მხიარულმა განწყობამ შეცვალა. ქართველი კაცის სიმხნევე და სილამაზე ერთმანეთს ლაზათიანად შეერწყა. შინ თუ გარეთ ისმის გაუთავებელი ყიჟინა, ვისაც გერმანიის სტადიონებზე მოხვედრა არ ხვდა წილად, ხერხს მიმართეს და სხვადასხვაგვარი აქციების მოწყობის თადარიგს შეუდგნენ. სხვადასხვა ქვეყნების ფეხბურთელთა გუნდების მაისურებში გამოწყობილი, ოფლადდაღვრილი ფანები, დროშებით ხელში, ყლის ჩახლეჩამდე, შეძახილებით აყრუებენ არემარეს. თუ მავანი შენიშვნას მისცემს — რა გაყვირებთო შეძახილითვე პასუხობენ — „რეპეტიციას გავდივართ, რათა მომდევნო მსოფლიო ჩემპიონატებში ჩვენი ქვეყნის ნაკრებს უფრო რიგიანად ვუგულშემატკივროთო." ამ სიტყვების გაგონების შემდეგ არ შეიძლება კაცს იმედი არ გაგიათკეცდეს. ერთი კი ნათელია, რომ ფეხბურთის განვითარებასთან, მისი ტაქტიკურ სისტემის შეცვლასთან ერთად, გულშემატკივრების მოქმედებაშიც სიახლეები დაინერგა. მართლაც რა დიდი ძალა ჰქონია ფეხბურთს. დღეს დედამიწას მართლაც რომ ფეხბურთის სიყვარული ატრიალებს.

ტელევიზორებთან მიმსხდარნი თვალს ვადევნებთ მსოფლიო ჩემპიონატს და ძალაუნებურად გვიჩნდება სურვილი ჩვენმა ბიჭებმაც ბრაზილიელებივით ლაღად, გერმანელებივით ორგანიზებულად, ხორვატელი, განელი და ეკვადორელი ფეხბურთელების დარი თავდადებით, გამარჯვების დაუოკებელი ჟინით და მაღალი ფსიქოლოგიური განწყობით ითამაშონ. შევძლებთ კი მათ საკადრის მხარდაჭერას ისე, როგორც ამას ახერხებენ სხვა ქვეყნები.

ყველას კარგად მოგვეხსენება რაოდენ დიდი ძალა აქვს მაყურებლის გულიან ქომაგობას. უხამსმა შეძახილებმა ფეხბურთელი შეიძლება მორალურად ისე მოსპოს, მის კარიერას სამუდამო დაღი დაასვას. გულშემატკივრებს ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ბევრ სიხარულთან ერთად, ფეხბურთელს ტანჯვაც საკმაო აქვს. ჩვენ კი მათ წინაშე ნებით თუ უნებლიეთ ხშირად ვცოდავთ. ზოგ-ზოგები, მატჩი ჯერაც არ დაწყებულა და წინასწარ წაგებას უწინასწარმეტყველებენ. ამა თუ იმ გუნდს. უცნაური ხალხი ვართ — სურვილები კარგი გვაქვს ჩვენი ავყოობით კი ხშირად პრობლემებს ვამწვავებთ, წუწუნს შევეჩვიეთ, შარახვეტიობა ცხოვრების წესად ვაქციეთ. ბოლომდე საქმის კეთებას არავის არ ვაცლით. როგორ თუ თამაში წავაგეთო და მოვყვებით ფეხბურთელების, მწვრთნელების, ფეხბურთის ფედერაციის გინებას. მავანს და მავანს უნდობლობის აბლაბუდას შემოვახვევთ და განკიცხულთა სიაში ვამწესებთ. ყველას და ყველაფერს ეჭვის თვალით ვუყურებთ.

ოცნებას ვერავინ დაგვიშლის, მაგრამ რეალისტები უნდა ვიყვეთ. ყველაფერი უნდა გავითვალზომოთ. სულსწრაფვა უნდა დავიოკოთ. უნდა გავითავისოთ, რომ ძლიერი გუნდის ჩამოყალიბებას დიდი დრო სჭირდება. ერთი და ორი წელი საკმარისი არ არის. მოთმინებით უნდა გავიკვალოთ გზა მომავალ მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ თამაშებამდე. ფეხბურთის დიდი ტრადიციების პატრონებმა როგორ შეიძლება იმედი დავკარგოთ. ჩვენთვის ხომ ფეხბურთი ეროვნული თვითგამოხატულების საშუალებაა.

როცა ახლის სურვილი გვიჩნდება საჭიროა ძველიც გავიხსენოთ, რომელსაც თან სინანულიც სდევს.

**ბ. პაიჭაძის** — ფეხბურთის კარუზოს, ფეხბურთის განუმეორებელი მიმოსის, ფინტების მეფის **მ. მესხის, ს. მეტრეველის,** უბადლო **ა. დოლობერიძის, შ. იამანიძის, მ. ხურცილავას, ალ. ჩივაძის, გ. ჩოხელის, ს. კოტრიკაძის, ვ. გუცაევის, დ. ყიფიანის, რ. ძოძუაშვილის, თ. სულაქველიძის, მ. მაჩაიძის** სამშობლოში განა შეიძლება ფეხბურთი კვლავ არ აღზევდეს?

ქართულ ფეხბურთს ლეგენდად დიდხანს შემორჩება მ. მესხის ფინტი, **ზ. კალოევის** თაური, **ი. დათუნაშვილის** კუთხური და სხვა. მწვრთნელები **ა. ჟორდანია, ნ. ჩხატარაშვილი, ა. ნორაკიძე** და ბრძენი **ნოდარ ახალკაცი.**

მაშ მოდით, ნუ დავაცარიელებთ მაყურებელს მონატრებულ ჩვენი სტადიონების ტრიბუნებს, ყველა ერთ მუშტად შევიკრათ და გავხდეთ ჩვენი საყვარელი ნაკრების თავგადადებული გულშემატკივრები. ყველამ თავისი საქმე ვაკეთოთ და წარმატებები უცილოდ მოვა.

როცა ფეხბურთის ამა თუ იმ პრობლემებზე ვფიქრობ, ყოველთვის ნოდარ ახალკაცთან შეხვედრის ერთი ეპიზოდი მახსენდება.

ქართული ფეხბურთის თავკაცთან, ნოდარ ახალკაცთან დიდი ხნის ახლო ურთიერთობა მაკავშირებდა. მიუხედავად ამისა, რომ არ შემეწუხებინა, არც თუ ხშირად მოვინახულებდი ხოლმე.

მისი დინჯი, გააზრებული და ბრძნული საუბარი ყოველთვის სიამოვნებას მგვრიდა. ყველა თემაზე ზედმიწევნით დასაბუთებულად, ღრმა ცოდნით, ემოციების გარეშე შეეძლო ელაპარაკა. მაგალითად, ფილოსოფიურ მეცნიერებაზე, ალბათობის თეორიაზე და სხვა. ამა თუ იმ საკითხის დასასაბუთებლად მათემატიკის ფორმულებსაც მოიშველიებდა. საუბრის დროს მოკლე ანალიზის გაკეთება სჩვეოდა. სიტყვაძუნწი იყო, მისი სამუშაო ოთახის კარი დახურული იშვიათად თუ მინახავს. მასთან შესვლაზე რიგში დგომა არავის უწევდა. ფედერაციის შენობაში დაცვის თანამშრომლების მორიგეობაზე და საშვის დაშვებაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტი იყო.

ერთხელ მასთან სამუშაო ოთახში ყოფნის მომენტში „დინამოს" სტადიონის დიქტორი **ვ. პარტინი** შემოვიდა. გულთბილი მოკითხვის შემდეგ, ფეხბურთში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით არაერთი შეკითხვა დაუსვა. ნოდარმა ყველა შეკითხვაზე ძალიან მოკლედ უპასუხა. შემდეგ ბატონმა ვალოდიამ თავისი შეხედულებები ჭარბად გადმოალაგა და დამოძღვრა დაუწყო. საუბარი დიდხანს გაგრძელდა. ნოდარი საუბარში იშვიათად ერთვებოდა. მეტწილად უსმენდა. ამავ დროს მაგიდაზე დადებულ ფურცელზე რაღაცებს წერდა. მე და ალბათ ვ. პარტინსაც გვეგონა მის მოსაზრებებს ინიშნავდა.

როცა საუბრის თემა ჩამთავრდდა და დაგვემშვიდობა, ნოდარმა, როგორც მას სჩვეოდა, ხმადაბლა ჩაილაპარაკა, — რა კარგი იქნებოდა ყველამ თავისი საქმე რომ აკეთოსო. მერე ფურცელი გამომიწოდა, თან სიტყვა მოაყოლა — ჩიფჩო აბა ნახე, ხომ კარგი ნათარგმნიაო.

ფურცელზე ორი ქართული ანდაზა იყო რუსულ ენაზე გადათარგმნილი.

პირველი: არამკითხე მეამბე მიტყეპე და მიაგდე.

— ნესპრასილა გავარილა, უდარილა პალაჟილა.

მეორე: კუმ ფეხი გამოყო, მეც ნახირ-ნახირაო.

— ჩერეპახა ვინულ ნოგი ია ტოჟე ტაბუნ-ტაბუნ.

მე გამეცინა. მის სახეზე კი არაფრის მომცემი საუბრის შედეგად, დროს ფუჭად დაკარგვის გამო, წყენა ამოვიკითხე...

**ელდარ ჩიფჩიური.**



„ლელოზე" ხელმოწერა გრძელდება

3 თვით — 10 ლარი და 80 თეთრი
6 თვით — 21 ლარი და 60 თეთრი
ხელმოწერის გასაფორმებლად გირჩევთ მიმართოთ „საქპრესას", „მაცნეს", „ინფოსერვისს", „უწყებანს".

# პრესკონფერენციები ფეხბურთის ფედერაციაში

20 ივნისი ერთობ გადატვირთული იყო ფეხბურთის ფედერაციაში. სფფ-ს მესვეურებმა ჟურნალისტები მოიწვიეს და რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე იმსჯელეს. ილაპარაკეს ბავშვთა ფეხბურთზე, კლუბების ლიცენზირებაზე და ეროვნულ ნაკრებზე.

სამშაბათს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ბავშვთა ფეხბურთის განყოფილების პრესკონფერენცია გაიმართა, რომელსაც განყოფილების ხელმძღვანელი **ირაკლი ოქროშიძე**, სფფ-ის გენერალური მდივანი **უჩა უგულავა** და ვიცე-პრეზიდენტი **გიორგი ქავთარაძე** ესწრებოდნენ.

საუბარი შეეხო ახლახან დასრულებულ სეზონს. შეგახსენებთ, რომ ჭაბუკთა შორის წლეულს პირველად გათამაშდა **გივი ჩოხელის, სლავა მეტრეველის, მიხეილ მესხის** და **ვიტალი დარასელიას** სახელობის სუპერთასები.

**ირაკლი ოქროშიძე, ბავშვთა ფეხბურთის განყოფილების ხელმძღვანელი:**

გივი ჩოხელის, მიხეილ მესხის, სლავა მეტრეველის და ვიტალი დარასელიას სახელობის სუპერთასების გათამაშება წლეულს პირველად ჩატარდა ახალი სისტემით: შესაბამის ასაკში საქართველოს ჩემპიონი შეხვდა ჭაბუკთა ლიგის გამარჯვებულ გუნდს.

მატჩები ჩატარდა უმაღლეს დონეზე და მათი მსვლელობისას დაცული იყო უსაფრთხოების ზომები — მობილიზებული იყო პოლიცია და სამედიცინო პერსონალი. თითოეული თამაშის წინ შესრულდა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი, ამას გარდა, ცხადდებოდა მოთამაშეთა გვარი და გოლის გამტანის ვინაობა.

**14 ივნისს** შედგა მატჩი სლავა მეტრეველის სახელობის სუპერთასზე 1990 წელს დაბადებულ ჭაბუკთა შორის. ჭაბუკთა ლიგის ჩემპიონმა თბილისის „დინამომ" დიდი ანგარიშით 5-0 დაამარცხა საქართველოს ჩემპიონი თბილისის „ოლიმპიკი".

**15 ივნისს** გათამაშდა გივი ჩოხელის სახელობის სუპერთასი 1988 წელს დაბადებულ ფეხბურთელთა შორის, საქართველოს ჩემპიონმა თბილისის „ოლიმპიკმა" ჭაბუკთა ლიგის ჩემპიონ თბილისის „დინამოს" 4-2 სძლია.

**16 ივნისს** ვიტალი დარასელიას სახელობის სუპერთასი 1991 წელს დაბადებულ მოზარდთა შორის გათამაშდა. საქართველოს ჩემპიონმა თბილისის „ნორჩი დინამოელის" გუნდმა ჭაბუკთა ლიგის ჩემპიონ თბილისის „თბილისს" 3-1 სძლია.

**18 ივნისს** გათამაშდა მიხეილ მესხის სახელობის სუპერთასი 1989 წელს დაბადებულ ფეხბურთელთა შორის — საქართველოს ჩემპიონმა თბილისის 35-ე საფეხბურთო სკოლის გუნდმა ჭაბუკთა ლიგის ჩემპიონ თბილისის „დინამოსთან" დიდი ანგარიშით 0-5 წააგო.

როგორც ხედავთ, ოთხი სუპერთასიდან ორი ჭაბუკთა შორის საქართველოს ჩემპიონმა მოიპოვა, ორიც — ჭაბუკთა ლიგის ჩემპიონმა.

წლეულს ჩატარდა ფეხბურთელთა სრული პასპორტიზაცია.

დავიწყეთ ბათუმიდან და დავასრულეთ ბოლნისით. დღეიდან ჩვენ ყველა იმ ბავშვზე გვაქვს მონაცემი, რომლებიც სპორტსკოლებში ვარჯიშბენ. ამით თავიდან ავიცილებთ არაერთ პრობლემას, მათ შორის ასაკის ხელოვნურად მომატებას, რაც ჩვენი ბავშვთა ფეხბურთის ერთგვარი სენი იყო.

იანვარში საქართველოს ყველა რეგიონში ჩატარდა ბავშვთა საფეხბურთო სკოლების ინსპექტირება — თითოეული სპორტსკოლა შევამოწმეთ. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ინიციატივით, გადაწყდა, რომ თითოეული სკოლის მდგომარეობა შეფასდეს პირობითად ვარსკვლავებით. მაქსიმალური შეფასება სამი ვარსკვლავია. ის სპორტსკოლა, რომელიც მინიმალურ მოთხოვნებს ვერ დააკმაყოფილებს, საქართველოს და რეგიონალურ შეჯიბრებებში გუნდს ველარ წარადგენს.

წლის დასაწყისიდან მთელი ქვეყნის მასშტაბით, რეგიონებსა და ქალაქებში, საქართველოს 17-წლამდე ფეხბურთელთა ნაკრებისთვის კანდიდატების შესარჩევი თამაშები ჩატარდა 1990 წელს დაბადებულ ჭაბუკთა შორის. საუკეთესო მოთამაშეებისთვის საქართველოს ეროვნული ნაკრებების ტექნიკურ ცენტრ „ბასაში" მოეწყო საწვრთნელი შეკრებები. დღესდღეობით მიმდინარეობს საქართველოს 17-წლამდე ფეხბურთელთა ნაკრების წევრთა შესარჩევი ეტაპი, რომელსაც ხელმძღვანელობს ნაკრების თავკაცი, გერმანელი სპეციალისტი **ჰერბერტ ცანკერი**. ამის შემდეგ დადგინდება იმ ფეხბურთელთა ვინაობა, რომლებიც ნაკრების შემადგენლობაში ითამაშებენ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში, რომელიც ოქტომბერში თბილისში გაიმართება.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ ბავშვთა საფეხბურთო კლუბებზე გადანაწილდა 3.000 ბურთი, რაც აქამდე არასდროს მომხდარა. ბავშვთა ფეხბურთის განყოფილება უშუალოდ კურირებდა ბურთების გადანაწილების პროცესს და მინდა გითხრათ, რომ სპორტსკოლებმა ბურთები დროულად მიიღეს.

2005-06 წლების ჭაბუკთა ჩემპიონატის მსვლელობისას აიკრძალა მსაჯებისთვის ანაზღაურების ხელზე გაცემა და ასეც გაგრძელდება მომავალში.

**უჩა უგულავა, სფფ-ის გენერალური მდივანი:**

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ჯეროვან ყურადღებას რომ აქცევს ბავშვთა ფეხბურთს, ვფიქრობ, ზემოთქმულიდანაც ნათლად ჩანს. ჩვენ კარგად გვესმის, რომ უახლოეს მომავალში არ გვექნება ძლიერი ფეხბურთი, თუ მას დღეს არ ჩავუყარეთ საფუძველი.

იცით, რომ ბავშვთა სპორტსკოლების ლიცენზირებას ვიწყებთ. ეს პროგრამა სავარაუდოდ, სექტემბრიდან დაიწყება და საქართველოს თითოეულ სპორტსკოლას მოიცავს. ამის შემდეგ დადგინდება, თუ რომელი აკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნებს. უმაღლესი შეფასება სამი ვარსკვლავია. ის სკოლა, რომელიც სფფ-ის მინიმალურ მოთხოვნებს ვერ დააკმაყოფილებს, ვერ წარადგენს გუნდს ჩვენი ეგიდით ჩატარებულ შეჯიბრებაში.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ასევე სურს შექმნას ბავშვთა ფეხბურთის კომიტეტი, იცით, რომ ჩვენთან არსებობს ბავშვთა ფეხბურთის განყოფილება. ვფიქრობ, კომიტეტი დაგვეხმარება მუშაობის გაუმჯობესებაში. უახლოეს ხანებში ჩვენ კითხვარს დაუგზავნით სპორტსკოლებს და ამის შემდეგ დავადგენთ, თუ ვინ უნდა იმუშაოს ბავშვთა ფეხბურთის კომიტეტში.



## გავერთიანდეთ ქართული ფეხბურთისთვის

იმავე დღეს, ჟურნალისტებს შეხვდნენ ჯგუფ Ultrastepkom-ის წარმომადგენლები: **სერგი გვარჯალაძე** და მუსიკოსი **აჩიკო გულედანი**. შეხვედრის მთავარი თემა საქართველოს ნაკრების მხარდაჭერა გახლდათ.

ჯგუფი Ultrastepkom-ი „კომუნიკატორის", „ულტრაჯგუფის" და „სტეპ რექორდსის" ბაზაზე შეიქმნა და მასში ამ კომპანიების ხელმძღვანელები **სერგი გვარჯალაძე** („კომუნიკატორი"), **მიხო ქოჩაკიძე** („ულტრაჯგუფი"), **აჩიკო გულედანი** და **ვახო ბაბუნაშვილი** („სტეპ რექორდსი") არიან გაერთიანებულნი. Ultrastepkom-ი საქართველოს ნაკრების პრომოუშენზე იზრუნებს.

**სერგი გვარჯალაძე, Ultrastepkom:**

ჩვენი მთავარი მიზანია აღმოვფხვრათ ის ცივი და უარყოფითი დამოკიდებულება, რაც დღესდღეობით შეინიშნება საქართველოს ნაკრების და ზოგადად ქართული ფეხბურთის მიმართ. გვსურს, რომ გულშემატკივარი ფეხბურთის ფედერაციას და ეროვნულ ნაკრებს მთელი გულით დაუდგეს გვერდით.

ახლა შანსი გვაქვს რადიკალურად შევცვალოთ ქომაგის დამოკიდებულება ნაკრებისადმი — ორიოდ თვეც და ახალი შესარჩევი ციკლი დაიწყება. დარწმუნებული ვარ, ჩვენი და საერთო ძალისხმევით, ნაკრებისადმი დამოკიდებულება შეიცვლება. გვინდა, რომ ქომაგი, რომელიც მთელ მსოფლიოში მეთორმეტე ფეხბურთელია, საქართველოშიც ასეთად იქცეს და, ნაცვლად ბილწსიტყვაობისა, სტადიონზე მისული საყვარელი გუნდის მხარდაჭერაში იხარჯებოდეს.

ახლახან ნაკრებს ვახლდი შეკრებაზე და, სხვათა შორის, სულ სხვა თვალით დავინახე გუნდი. ჩვენ სხვადასხვა პროექტები განვახორციელეთ და სავარაუდოდ, გულშემატკივარი აგვისტოს მიწურულს, საფრანგეთის ნაკრებთან თამაშამდე იხილავს 52 წუთიან ფილმს, რომელიც სულ სხვა თვალით დაანახებს ფეხბურთელებს, მწვრთნელებს, იმ ხალხს, რომელიც არ ჩანს, ერთი სიტყვით, ქომაგს გუნდის „სამზარეულოში" ჩაახედებს. გვჯერა, რომ ასეთი ნაბიჯები წაშლის იმ გაუცხოებას, რაც დღეს არსებობს.

რა თქმა უნდა, ყველაფერი გულშემატკივარზე არაა დამოკიდებული. თუ ფეხბურთელმა არ ითამაშა, არაფერი გამოვა, მაგრამ ხომ შეგვიძლია, რომ მხარდაჭერით ისინი უფრო მოტივირებულნი გავხადოთ? ბიჭებმა მითხრეს, ფაქტობრივად, ყველა მატჩი გასვლითი გვაქვს, შინ ვერ ვგრძნობთ მხარდაჭერასო... ალბათ, ასეცაა. მათ თითოეული წაფორხილებისას საშინელი სტვენით ვკლებთ. არადა, პირიქით, მხარდაჭერით, ტაშით უნდა ვაგულიანებდეთ.

ჩვენ შევქმენით ეროვნული ნაკრების სლოგანი, რომელსაც 25 ივნისს, კინოთეატრ „ამირანში" დაგეგმილ პრეზენტაციაზე გაგაცნობთ. ცოტაც და დასრულდება მუშაობა საფეხბურთო ჰიმნზე, რომლის სხვადასხვა ვერსია უკვე არსებობს: ზოგი სტადიონზე დაიკვრება. სხვა — მუსიკალურ არხებზე გავრცელდება... არსებობს საცეკვაო ვერსიაც, როკ ვერსიაც... ერთი სიტყვით, ვმუშაობთ და მჯერა, ჩვენი და ფედერაციის თანამშრომლობა სასურველ შედეგს გამოიღებს — გულშემატკივარი სულ სხვა კუთხით მიუდგება ნაკრებს.

სხვათა შორის, ეროვნული ნაკრების თავკაცი **კლაუს ტოპმიოლერი** შეკრებისას ფეხბურთელებს დაჟინებით სთხოვდა სახელმწიფო ჰიმნის შესწავლას და თავადაც ცდას არ აკლებდა. დამეთანხმებით, ფეხბურთელი სულ სხვანაირად თამაშობს, როცა გულანთებულია და ერთ მუშტად შეკრულ გულშემატკივარს ხედავს.

**გიორგი ქავთარაძე, სფფ-ის ვიცე-პრეზიდენტი:**

25 ივნისს, კინოთეატრ „ამირანის" ფოიეში, 17 საათზე შედგება საქართველოს ეროვნული ნაკრების ოფიციალური ფან-კლუბის პრეზენტაცია.

დიდი დრო არაა, რაც Ultrastepkom-თან ვთანამშრომლობთ, თუმცა მინდა გითხრათ, რომ უკვე საკმაოდ ბევრი რამ გაკეთდა: თუნდაც იგივე ნაკრების ჰიმნი, რომელიც აქამდე არ გვქონდა, გნებავთ სლოგანი, ვიდეორგოლები. ფილმი ეროვნულ გუნდზე, ჩანახატები ფეხბურთელებზე... ვცდილობთ სულ სხვა კუთხით დაგანახოთ ფეხბურთელები. გუნდსა და გულშემატკივარს შორის ურთიერთობა მაქსიმალურად გავაღრმავოთ...

პრეზენტაციაზე ახალშექმნილ ჰიმნსაც გაეცნობით და სხვადასხვა ვიდეორგოლებსაც იხილავთ, ნაჩვენები იქნება ჩანახატები ფეხბურთელებზე, წარმოდგენილი იქნება სლოგანი, ასევე ეროვნული ნაკრების მაისურები. რომლითაც ჩვენი ფეხბურთელები უახლოეს შესარჩევ ციკლში ითამაშებენ.

... რაც შეეხება ეროვნული ნაკრების მაისურებს და ზოგადად ატრიბუტიკას, შემოდგომიდან გულშემატკივარს მათი შეძენაც შეეძლება. რა თქმა უნდა, ატრიბუტიკა სხვადასხვა ფასის იქნება. იმის მიხედვით, თუ რა ხარისხისაა, სამწუხაროდ, აქამდე ქომაგებს არ ჰქონდათ მათი შეძენის საშუალება...

ამ ნაბიჯებს საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მხოლოდ ერთი მიზნით დგამს — გულშემატკივარი ქართულ ფეხბურთს დაუბრუნდეს! ჩვენ უნდა ვისწავლოთ მხარდაჭერა, გულშემატკივრობა, რაც ასე აკლია ეროვნულ ნაკრებს. დარწმუნებული ვარ, საფრანგეთის ნაკრების წინააღმდეგ ეროვნული გუნდი 12 ფეხბურთელით ითამაშებს — ცხადია გულშემატკივარს ვგულისხმობ. სხვა საქმეა, თუ როგორ დასრულდება ის მატჩი — მთავარია, ფეხბურთელებს მხარში დავუდგეთ და გამარჯვების მოპოვებაში დავეხმაროთ!

დასასრულ, ნაკრების თამაშებს რაც შეეხება, გეტყვით, რომ ოფიციალური მატჩების გარდა, გვსურს თბილისში ამხანაგური შეხვედრებიც ჩავატაროთ. მიმდინარეობს მოლაპარაკება ორ, საკმაოდ მაღალი დონის გუნდთან და გვსურს მათთან თბილისში პაექრობა. სხვათა შორის, ერთი მათგანი დღესდღეობით მსოფლიო ჩემპიონატზე თამაშობს. ამხანაგური მატჩებისთვის 15 ნოემბერი და 7 თებერვალია შერჩეული. საბოლოო პასუხი უახლოეს დღეებში გვეცოდინება.

**სურათზე:** ს. გვარჯალაძე, სფფ-ს ვიცე-პრეზიდენტი გიორგი ქავთარაძე და ა. გულედანი.

# გამოცდები ინგლისურში

## სფფ-ის მსაჯთა აკადემიის განცხადება

სამშაბათს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა სფფ-ის მსაჯთა აკადემიის სტუდენტთა გამოცდა ინგლისურ ენაში.

გამოცდაზე გამოცხადდა მსაჯთა აკადემიის 15 სტუდენტი. გამოცდაზე ინგლისური ენის კარგი ცოდნა გამოამჟღავნეს სტუდენტებმა შ. ქუხილავამ, ს. სპიცინმა, ვ. ცინცაძემ და ზ. გურგენაძემ.

იმ სტუდენტებისთვის, რომლებსაც ცოდნის დაბალი დონე აღმოაჩნდათ, დაინიშნა დამატებითი გაკვეთილები.

ოთხმა სტუდენტმა მიიღო არადამაკმაყოფილებელი შეფასება და მათთვის მოგვიანებით დაინიშნება გამოცდა.

**სფფ-ის მსაჯთა აკადემია.**




**ამ დღეებში** 35-ე საფეხბურთო სკოლის მოედანზე დამთავრდა „მოდულის თასის" ტურნირი 1993 წ. ჭაბუკ ფეხბურთელთათვის 12 გუნდის მონაწილეობით, 2 ჯგუფად. ფინალში შეხვდნენ რუსთავის „მამული" და თბილისის „დინამო". 3-2 გამარჯვება იზეიმეს ნორჩმა დინამოელებმა (ბურთები გამარჯვებლთაგან გაიტანეს თორნიკე ქორჩილავამ, ლაშა შინდაგორიძემ და დათო სხირტლაძემ). პრიზები გადაეცათ პერსპექტიულ ფეხბურთელებს **დათო სხირტლაძეს** და **დავით ლეგაშვილს**. მესამე ადგილზე გავიდა „ოლიმპიკ — 1", რომელმაც 5-3 დაამარცხა „ოლიმპიკი — 2". „ოლიმპიკ — 1"-ის მწვრთნელებია **თენგიზ კაცია, დავით გენძეხაძე**, გუნდის უფროსი **თამაზ კოსტავა**. სკოლის დირექტორი **ოთარ გეგეჭკორი**.




„მოდულის თასის" ამჟამინდელი მფლობელი „დინამო" ახლა ბულგარეთშია და ოთხთა ტურნირში მონაწილეობს. პირველ შეხვედრაში ჩვენებმა ადგილობრივი თანატოლთა გუნდი დაამარცხეს 3-2.

# ჩავი ერნანდესის შეძენისათვის...

„ჩელსის" სკაუტების განყოფილების დირექტორ პიტ დე ვისერს მიაჩნია, რომ დღესდღეობით ლონდონურ კლუბს უპირველესად „ბარსელონას" ცენტრალური ნახევარმცველის, ჩავი ერნანდესის შეძენა მართებს: ჩავი უაღრესად ტექნიკური ფეხბურთელია. მან კარგად იცის ბურთის დაჭერა და საჭირო მომენტში პასის მიცემა. გრძელი — გამჭოლი გადაცემები ჩავის მთავარი იარაღია. მსოფლიო ჩემპიონატზე ჩავი საუკეთესოა და სამწუხაროდ „ბარსელონა" მას არ დათმობს".

პიტ დე ვისერის თქმით ლონდონურ კლუბს კაკა, ბასტიან შვაინშტაიგერი და ხუან რომან რიკელმეც დაამშვენებდა.

„ჩელსისთვის" სასურველ ფეხბურთელთა სიაში რონალდინიო და მესი არ მოიაზრებიან, რადგან ვცდილობ გუნდი ახალი ტალანტებით შევავსო, ვისი აღმოჩენაც სხვებმა ჯერჯერობით ვერ შეძლეს", — აცხადებს სკაუტთა შეფი პიტ დე ვისერი.

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წინ მერვედფინალებია

მთავრდება მსოფლიო ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპი. ზოგან უკვე დასრულდა კიდევაც და გაირკვა მერვედფინალისტთა ვინაობა. A ჯგუფში გერმანიის ნაკრებმა მესამე შეხვედრაც მოიგო, ამჯერად ეკვადორელებს სძლია 3-0. ორი ბურთი კლოზემ გაიტანა, ერთი — პოდოლსკიმ. დამარცხების გამო დიდად არ უნაღვლიათ ეკვადორელებს, ამ გუნდმა მანამდე მოიპოვა მერვედფინალის საგზური. ამავე ჯგუფში პოლონეთის ნაკრებმა არაფრისმთქმელ შეხვედრაში 2-1 დაამარცხა კოსტა-რიკის გუნდი და მესამე ადგილზე გავიდა.

B ჯგუფში, შეიძლება ითქვას კარი გაიჯახუნა პარაგვაის ნაკრებმა, რომელმაც ჯგუფური ეტაპის ბოლო შეხვედრაში ორი უპასუხო გოლი გაუტანა ტრინიდადის ნაკრებს. უკვე მერვედფინალისტებმა ინგლისისა და შვედეთის გუნდებმა ურთიერთ შემთხვევაში გაითამაშეს პირველი ადგილი. ინგლისელებს ფრეც აძლევდათ ხელთ და მიზანს მიაღწიეს კიდეც. აღსანიშნავია, რომ ერიქსონის გუნდი ორჯერ დაწინაურდა ამ შეხვედრაში, მაგრამ ორივე შემთხვევაში შვედებმა შეძლეს ანგარიშის გათანაბრება.

C ჯგუფში ლამაზი სანახავი გამოდგა ლიდერების ჰოლანდიისა და არგენტინის ნაკრებთა შეხვედრა, ორივე გუნდის ფეხბურთელებს მრავლად ჰქონდათ საგოლე მომენტები, თუმცა 90-მა წუთმა ისე განვლო ბურთი არ გასულა. ამავე ჯგუფში სერბეთი 2-0 იგებდა კოტ დ'ივუარელებთან შეხვედრაში, მაგრამ ამ უკანასკნელის ფეხბურთელებმა სასწაული მოახდინეს და ხელიდან გამოგლიჯეს გამარჯვება სერბეთს 3-2

D ჯგუფში ირანის ნაკრებმა პირველი ქულა აიღო — ფრედ 1-1 ითამაშა ანგოლის გუნდთან და ამავე დროს ამ უკანასკნელს შემდგომ ეტაპზე გასვლის შანსი დააკარგვინა. პირველი ადგილი ჯგუფში პორტუგალიელებმა დაიკავეს, რომლებმაც 2-1 სძლიეს მექსიკის ნაკრებს.



ამრიგად, უკვე გაირკვა ოთხი მერვედფინალური წყვილის შემადგენლობა: **24 ივნისს** ითამაშებენ გერმანია და შვედეთი, აგრეთვე არგენტინა — მექსიკა.

**25 ივნისს ხვდებიან:** ინგლისი — ეკვატორი, პორტუგალია — ჰოლანდია.

**სხვა წყვილები: 26 ივნისი.** E1-F2, G!-H2, 27 ივნისი. F1-E2, H1-G2

**H ჯგუფი. მატჩი №31. 19.06. შტუტგარტი. 52 000 მაყურებელი.**
**ესპანეთი – ტუნისი 3-1**
**ესპანეთი:** კასილიასი, სერხიო, რამოსი, პაბლო, პუიოლი, პერნია, ჩაბი ალონსო, მარკოს სენა (ფაბრეგასი, 46), ჩავი, ლუის გარსია (რაული, 46), ფერნანდო ტორესი, ვილია (ხოაკინი, 56).
**ტუნისი:** ბუმნიჯელი, ტრაბელსი, ჟაიდი, ჰაგი, აიარი (იაია, 57), მნარი, ნაფთი, ბუაზიზი (გოდბანე, 57), ჩედლი (გემამდია, 79), ნამუში, ჟაზირი.
**გოლები:** 0-1 მნარი (8), 1-1 რაული (71), 2-1 ფერნანდო ტორესი (76), 3-1 ფერნანდო ტორესი (90-პენ).
**გააფრთხილეს:** პუიოლი (30), ფაბრეგასი (89), აიარი (32), ტრაბელსი (40), ჟაიდი (69), გემამდია (81), ჟაზირი (85), მნარი (90).
**არბიტრი:** კარლოს სიმონი (ბრაზილია).

**H ჯგუფი. მატჩი №32. 19.06 ჰამბურგი. 46 000 მაყურებელი.**
**ს. არაბეთი – უკრაინა 0-4**
**ს. არაბეთი:** ზაიდი, დოხი (ალ. ხათრანი, 55), ფალათაჰი, ალ მონთაშარი, სულიმანი, ალ გამდი, აზიზი, ხარირი, ნოორი (ალ ჯაბერი, 78), ამეენი (მუათი, 55), ალ ქაჰთანი.
**უკრაინა:** შოვკოვსკი, გუსევი, სვიდერსკი, რუსოლი, ნესმაჩნი, კალინიჩენკო, შელაევი, ტიმოშჩუკი, რებროვი (როტანი 72), შევჩენკო (მილევსკი, 86), ვორონინი (გუსინი, 80).
**გოლები:** 0-1 რუსოლი (4), 0-2 რებროვი (36), 0-3 შევჩენკო (46), 0-4 კალინიჩენკო (84).
**გააფრთხილეს:** დოსარი (41), გამდი (57), ხარირი (73), ნესმაჩნი (22), კალინიჩენკო (77), სვიდერსკი (89).
**არბიტრი:** გრემ პოლი (ინგლისი).

**A ჯგუფი მატჩი №33. 20.06. ბერლინი. 72 000 მაყურებელი**
**გერმანია – ეკვადორი 3-0**
**გერმანია:** ლემანი, ფრიდრიხი, მერტეზაკერი, ჰუტი, ლამი, ფრინგსი (ბოროვსკი, 66), შნაიდერი, (ასამოა, 73), შვაინშტაიგერი, ბალაკი, კლოზე (ნოივილი, 66), პოდოლსკი.
**ეკვადორი:** მორა, დე ლა კრუსი, გაგა, ესპინოსა, ამბროსი, ვალენსია (ლარა, 63), ედვინ ტენორიო, აიოვი (ურუტია, 68), მენდესი, კავიედესი, ბორხა, (ბენიტესი, 46).
**გოლები:** 1-0 კლოზე (4), 2-0 კლოზე (44), 3-0 პოდოლსკი (57).
**გააფრთხილეს:** ბოროვსკი (75), ვალენსია (51).
**არბიტრი:** ვალენტინ ივანოვი (რუსეთი).

**A ჯგუფი. მატჩი №34. 20.06. ჰანოვერი. 43 000 მაყურებელი**
**კოსტა-რიკა – პოლონეთი 1-2**
**კოსტა-რიკა:** პორასი, უმანა, მარინი, ბადილია, სოლისი, ბოლანოსი (საბორიო, 78), დრუმონდი (უოლესი, 70), სენტენიო, გონსალესი, გომესი (ერნანდესი, 82), ვანჩოპე.
**პოლონეთი:** ბორუცი, ბაშჩინსკი, ბოშაცკი, ბაკი, მიხალ ჟევლაკოვი, იელენი, რადომსკი (ლევანდოვსკი, 64), შიმკოვიაკი, კრჟინოვეკი, ჟურავსკი (ბროჟეკი,46), სმოლიარეკი, (რასიაკი, 85).
**გოლები:** 1-0 გომესი (24), 1-1 ბოშაცკი (33), 1-2 ბოშაცკი (66).
**გააფრთხილეს:** უმანა (17), მარინი (45), გომესი (45), ბადილია (56), გონსალესი (76), რადომსკი (18), ბაკი (23), ჟევლაკოვი (29), ბაშჩინსკი (60), ბორუცი (90).
**არბიტრი:** შამსულ მაიდინი (სინგაპური).

**B ჯგუფი. მატჩი №35. 20.06. კიოლნი. 46 120 მაყურებელი.**
**შვედეთი – ინგლისი 2-2**
**შვედეთი:** ისაკსონი, მელბერგი, ლუჩიჩი, ედმანი, ლინდეროტი (ანდერსონი, 90), ალექსანდერსონი, იონსონი, ვილჰელმსონი, 54), ლიუნგბერგი, კალსტრიომი, ოლბაკი (ელმანდერი, 76), ლარსონი.
**ინგლისი:** რობინსონი, კარაგერი, ფერდინანდი, (კემპბელი, 56), ტერი, ე. კოული, ჰარგრივზი, ბექჰემი, ლემპარდი, ჯ. კოული, ოუენი (კრაუჩი, 4), რუნი (ჯერარდი, 69).
**გოლები:** 0-1 ჯ. კოული (34), 1-1 ოლბაკი (51), 1-2 ჯერარდი (85), 2-2 ლარსონი . (90).
**გააფრთხილეს:** ვილჰელმსონი (83), ლიუნგბერგი (87), ჰარგრივზი (76).
**არბიტრი:** მასიმო ბუსაკა (შვეიცარია).

**B ჯგუფი. მატჩი №36. 20.06. კაიზერსლაუტერნი. 46 000 მაყურებელი.**
**პარაგვაი – ტრინიდადი 2-0**
**პარაგვაი:** ბობადილია, ნუნიესი, კანისა (და სილვა, 89), გამარა, კასერესი (მანსური, 77), ბარეტო, აკუნია, დოს სანტოსი, პარედესი, სანტა კრუსი, ვალდესი (კუევასი, 66).
**ტრინიდადი:** ჯეკი, ედვარდსი, სანჩო, ლოურენსი, ევერი ჯონი (ჯონსი, 32), ბირჩალი, იორკი, უიტლი (ლატაპი, 67), ტეობალდი, გლენი (უაიზი, 41), შტერნ ჯონი.
**გოლები:** 1-0 სანჩო (25 საკ. კარში), 2-0 კუევასი (86).
**გააფრთხილეს:** პარედესი (30), დოს სანტოსი (54), სანჩო (45), უიტლი (48).
**არბიტრი:** რობერტო როსეტი (იტალია).

**C ჯგუფი. მატჩი № 37. 21.06. ფრანკფურტი. 48 000 მაყურებელი.**
**ჰოლანდია – არგენტინა 0-0**
**ჰოლანდია:** ვან დერ საარი, იალიენსი, ბულარუზი, ოოიერი, დე კლერი, ვან დერ ვაარტი, სნეიდერი (მადურო, 86), კოკუ, ვან პერსი, (ლანდ ზაატი, 67), ვან ნისტელროოი (ბაბელი, 56), კუიტი.
**არგენტინა:** აბონდანსიერი, ბურდისო (კოლოჩინი,24), აიალა, გ. მილიტო, კუფრე, კამბიასო, მასკერანო, მაქსი როდრიგესი, რიკელმე (აიმარი, 79), ტევესი, მესი (კრუსი, 69).
**გააფრთხილეს:** კუიტი (28), ოოიერი (42), კლერი (48), კამბიასო (57), მასკერანო (90).
**არბიტრი:** მედინა კანტალეხო (ესპანეთი).

**C ჯგუფი. მატჩი №38. 21.06. მიუნხენი. 66.000 მაყურებელი**
**კოტ დ'ივუარი – სერბეთი 3-2**
**კოტ დ'ივუარი:** ბარი, ებუე, დომორო, კუასი, ბოკა, კეიტა (კალუ, 73), ი. ტურე, სოკორა, აკალე, (ბ. კონე, 60), დინდანი, ა. კონე.
**სერბეთი:** იევრიჩი, დულიაი, გავრანჩიჩი, დუდიჩი, კრსტაიჩი (ნადი, 16), პ. ჯორჯევიჩი, ნ. ჯორჯევიჩი, ერგიჩი, სტანკოვიჩი, ჟიგიჩი (მილოშევიჩი, 67), ილიჩი.
**გოლები:** 0-1 ჟიგიჩი (10), 0-2 ილიჩი (20), 1-2 დინდანი (37-პენ), 2-2 დინდანი (67), 3-2 კალუ (85-პენ).
**გააძევეს:** ნადი (45. სერბეთი), დომორო (90. კოტ დ'ივუარი).
**გააფრთხილეს:** კეიტა (33), დინდანი (43), დუდიჩი (35), დულიაი (37), გავრანჩიჩი (57).
**არბიტრი:** მორენო როდრიგესი (მექსიკა).

**D ჯგუფი. მატჩი №39. 21.06. გელზენკირხენი. 52 000 მაყურებელი**
**პორტუგალია – მექსიკა 2-1**
**პორტუგალია:** რიკარდო, მიგელი (პაულო ფერეირა, 61), ფერნანდო, მეირა, რიკარდო, კარვალიო, კანეირა, პეტიტი, ტიაგო, მანიშე, ფიგუ (ბოა მორტე, 80), სიმაო, ელდერ პოშტიგა (ნუნუ გომეში, 69).
**მექსიკა:** სანჩესი, როდრიგესი, (ზინია, 46), ოსორიო, სალსიდო, მენდესი (ფრანკო, 80), მარკესი, პინედა (კასტრო, 69), პარდო, პერესი, ბრავო, ფონსეკა.
**გოლები:** 1-0 მანიშე (6), 2-0 სიმაო (24), 2-1 ფონსეკა (29).
57-ე წუთზე ბრავომ ვერ გაიტანა პენალტი (ააცილა).
**გააფრთხილეს:** მიგელი (26), მანიშე (69), ბოა მორტე (88), ნუნუ გომეში (90), როდრიგესი (22), მარკესი (65), ნაელსონი (87).
**გააძევეს:** პერესი (61. მექსიკა).
**არბიტრი:** ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი).

**B ჯგუფი. მატჩი №40. 21.06. ლაიფციგი. 43 000 მაყურებელი.**
**ირანი – ანგოლა 1-1**
**ირანი:** მირზაპური, ქააბი (ბორჰანი, 67), რეზაეი, ბახთიარიზადე, ნოსთარი (შოჯაეი, 13), თეიმურიანი, მაჰდავიკია, ზანდი, მადანში, დაეი, ჰაშემიანი (ხათიბი, 39).
**ანგოლა:** ჟოაო რიკარდო, ლოკო, ჟამბა, კალი, დელგადო, მილოი, ფიგეირედი (მარკეში, 73), მენდონკა, ზე კალანგა, მატეუში (ლავი, 23), აკვა (ფლავიო, 51).
**გოლები:** 0-1 ფლავიო, (60), 1-1 ბახთიარიზადე (75).
**გააფრთხილეს:** მადანში (36), თეიმურიანი (55), ზანდი (90), ლოკო (21), მენდოკა (45), ზე კალანგა (67).
**არბიტრი:** მარკ შილდი (ავსტრალია).



## მარადონაზე გაბრაზებული ბატჩერი

მსოფლიო ჩემპიონატზე, გერმანიაში რომ ბევრი ცნობილი პიროვნებაა ჩასული, ეს არ არის გასაკვირი. სტუმართა შორის არიან ძველი ვარსკვლავები. ზოგიერთი მათგანი ჟურნალისტის მოვალეობასაც ასრულებს. ასე მაგალითად — ტერი ბატჩერი, რომელსაც ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიოს სამ ჩემპიონატში უასპარეზია, მათ შორის, 1986 წელს, მექსიკაშიც უთამაშია ლეგენდარულ მეოთხედფინალურ შეხვედრაში, არგენტინის ნაკრების წინაალმდეგ („ლეგენდარული“ იმიტომ, რომ ინგლისელთა კარში გატანილი ორი ბურთიდან ერთი დიეგო მარადონამ ხელით გაიტანა). გთავაზობთ ტერი ბატჩერის მიერ „სპორტექსპრესისათვის“ მიცემულ ინტერვიუს.

### დოსიე: ტერენს იან (ტერი) ბატჩერი

დაიბადა 1958 წლის 28 დეკემბერს სინგაპურში. გამოდიოდა „იფსვიჩში“ (1978-1986), „რეინ ჯერსში“ (შოტლანდია, 1986-1990), „ქოვენთრიში“ (1990-1993). წვრთნიდა „სანდერლენდს“ (1993), „მოზერვილს“ (2002-2006), 2006 წლის მაისიდან ავსტრალიური „სიდნეის“ თავკაცობს.

უეფას თასის მფლობელი (1981), შოტლანდიის ჩემპიონი (1987, 1989, 1990).

ინგლისის ნაკრებში მისი დებიუტი 1980 წლის 31 მაისს შედგა ავსტრალიელებთან მატჩში.

მონაწილეობდა მსოფლიოს 1982, 1986 და 1990 წლების ჩემპიონატებში. ნაკრებში 77 მატჩი ითამაშა და 3 ბურთი გაიტანა.



◆ *თქვენ, გერმანიაში ჩამოხვედით, როგორც ჟურნალისტი?*

— დიახ. ტელეკომპანია ბი-ბი-სისათვის კომენტარებს ვაკეთებ.

◆ *როგორ გრძნობს თავს მსოფლიოს სამი ჩემპიონატის მონაწილე კომენტატორის კაბინაში?*

— იმ პერიოდის შემდეგ, რაც მე დავამთავრე ფეხბურთელის კარიერა, ბევრი რამ შეიცვალა... მათ შორის უნდა აღინიშნოს, რომ პრესისა და ტელევიზიისათვის უფრო ყურადსაღები გახდა მონაწილე გუნდების მოთამაშეთა და მწვრთნელთა ყოველდღიური ცხოვრება. პრესას დიდი შესაძლებლობები აქვს. მაგრამ მე ყველაფერს მაინც ფეხბურთელის თვალით ვუცქერ. კომენტატორობა დიდ სიამოვნებას მანიჭებს.

◆ *როგორ შეადარებთ ინგლისის ამჟამინდელ ნაკრებს იმ გუნდს, რომელშიც თქვენ თამაშობდით?*

— ეს შედარება კორექტული არ იქნება. საქმე ის არის, რომ მაშინ სხვა დრო და სხვა ფეხბურთი იყო. ფეხბურთი უფრო სწრაფი გახდა. მოთამაშეთა კლასს თუ გავითვალისწინებთ, ახლა ინგლისს შესანიშნავი გუნდი ჰყავს. შემადგენლობაში არიან მოთამაშეები, რომლებსაც უეფას ჩემპიონთა ლიგა და სხვა ევროპული ტურნირები აქვთ მოგებული, ინგლისური ფეხბურთის ვარსკვლავები მთელ მსოფლიოში პოპულარულები არიან... აი, ჩვენი დროის გუნდი კი უფრო ერთიანი იყო. როცა გუნდი არ არის ერთიანი ორგანიზმი, ის წარმატებას ვერ მიაღწევს.

◆ *გამოდის, რომ ინგლისის ამჟამინდელი ნაკრები არ არის ერთიანი?*

— არა. ჯერჯერობით ინგლისის ნაკრები ვერ აჩვენებს ისეთ თამაშს, როგორსაც მისგან მოელიან. მაინც მჯერა, რომ ფლეი-ოფში გუნდი კარგად ათამაშდება.

◆ *რას იტყოდით ინგლისის ნაკრების შეხვედრებზე პარაგვაისა და ტრინიდადის ნაკრებებთან?*

— ორივე მეტოქე მთელი ძალებით უკან იხევდა, დაცვაზე უფრო ზრუნავდა. ჩვენი მოთამაშეები მაშინ არიან განსაკუთრებით ძლიერები, როცა მანევრის ფართო სივრცე აქვს. როცა პარაგვაელებს სწრაფი გოლი გავუტანეთ, მეტოქე მაინც არ ცდილობდა, ღია ფეხბურთი ეთამაშა.

◆ *რამდენად ამართლებთ ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელის სვენ-გორან ერიქსონის ნაბიჯს, როცა მან გერმანიაში მხოლოდ ოთხი თავდამსხმელი ჩაიყვანა. აქედან ორს ტრავმა ახალი მოშუშებული ჰქონდა, ერთი კი 17 წლისაა...*

— ჩემი აზრით, ერიქსონს ხუთი თავდამსხმელი უნდა წაეყვანა. თუ მან ეს არ გააკეთა, ალბათ, ვარაუდობდა ჯო კოულის გადაყვანას თავდასხმის ხაზზე.

◆ *მეხუთე თავდამსხმელში ვის გულისხმობთ? დეფოს?*

— ალბათ.

◆ *გავიხსენოთ წარსული. 20 წლის წინ, მექსიკაში არგენტინელებთან შეხვედრა. კიდევ გაქვთ ემოციები წარსულიდან?*

— მარადონამ მე-60 წუთზე გაიტანა ხელით ბურთი... ის კი არა, 0-2-ზე-ც არ ვფიქრობდით დანებებას. რატომღაც გვეგონა, რომ მატჩის გადასარჩენად დარჩენილი დრო გვეყოფოდა. გარი ლინეკერმა გოლიც გაიტანა. ჩვენ კიდევ შეგვეძლო ბურთების გატანა და მატჩის მოგება... როცა მატჩის შემდეგ ვიდეოჩანაწერი ვნახეთ, გავიგეთ, რომ მარადონამ ბურთს ხელით შეეხო. ძალიან გულნატკენი დავრჩით.

◆ *მას შემდეგ მარადონასთან თუ გისაუბრიათ?*

— არა და არც მინდა მასთან შეხვედრა.

◆ *დავუბრუნდეთ ინგლისის ამჟამინდელ ნაკრებს, როგორც ცნობილია, მსოფლიო ჩემპიონატის დასრულების შემდეგ გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტს ტოვებს სვენ-გორან ერიქსონი. როგორ შეაფასებდით მის მუშაობას?*

— დადებითად, თუმცა შეეძლო, უფრო ძლიერი, შეკრული გუნდის ჩამოყალიბება.

◆ *ვის თვლით ინგლისური ფეხბურთის ისტორიაში საუკეთესო მწვრთნელად?*

— რა თქმა უნდა, ალფ რამსეის, რომელმაც გუნდს 1966 წელს მსოფლიო ჩემპიონატი მოაგებინა.

◆ *ისევ წლევანდელ ჩემპიონატზე – ვის გამოყოფდით ინგლისის ამჟამინდელი გუნდიდან?*

— ჯონ ტერის.

◆ *რომელი გუნდი მოგეწონათ ჯგუფურ ეტაპზე?*

— არგენტინის ნაკრები. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე განის ნაკრებმა,

## იტალიური სამსჯავროს მოლოდინში

იტალიის საფეხბურთო ასოციაციის თავმჯდომარე გვიდო როსის თქმით, დღეს, საფონდო ბირჟაზე ვაჭრობის დასრულების შემდეგ, იმ საფეხბურთო კლუბთა და პიროვნებათა სახელები განცხადდება, ვისაც იტალიური ფეხბურთის კორუფციულ სკანდალში ბრალი ედება.

შეგახსენებთ, რომ ეჭვმიტანილ კლუბთა სიის სათავეში ტურინის „იუვენტუსია“. მას „მილანი“, „ლაციო“, „ფიორენტინა“ და „სამპდორია“ მოჰყვებიან.

# ნბა

## „მაიამი“ ჩემპიონია



NBA-ს ფინალი „მაიამისა“ და „დალასს“ შორის დასრულდა. საინტერესოა ერთი ფაქტი, არც ერთ მათგანს თავისი არსებობის მანძილზე ფინალში გასვლა არ ღირსებია. ასე რომ, წლევანდელი ფლეი-ოფის ნახევარფინალების შემდეგ, ცხადი იყო – ოკეანისგაღმურ ლიგას მთლად ახალი ჩემპიონი ეყოლებოდა. სერიის პირველმა ხუთმა შეხვედრამ ისე ჩაიარა, რომ სტუმარმა გუნდმა ერთხელაც ვერ მოახერხა გამარჯვების მოპოვება – ორჯერ „დალასმა“ მოიგო საკუთარ არენაზე და სამჯერაც „მაიამიმ“ იმარჯვა მასპინძლის როლში.

მეექვსე მატჩი, რომელიც დალასში გაიმართა, მაიამელთა გამარჯვებით დასრულდა და ეს გუნდი პირველად გახდა NBA-ს ჩემპიონი. შეხვედრის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი „მაიამის“ უკანახაზელი დუეინ უეიდი გამოდგა, რომელმაც თამაში 36 ქულით, 10 მოხსნით, 5 პასითა და 3 დაფარებით დაასრულა.



ამ გამარჯვების წყალობით, ტრიუმფატორი გუნდის თავკაცმა მეხუთე საჩემპიონო ბეჭედი მიიღო. შეგახსენებთ, რომ 80-იან წლებში „ლოს ანჯელეს ლეიკერსი“ მან ოთხჯერ გახადა ლიგის საუკეთესო გუნდად.

„მაიამის“ შემადგენლობაში კი იყო მხოლოდ ერთი კალათბურთელი, რომელსაც საჩემპიონო ბეჭედი აქამდეც მოერგო. საუბარია, რა თქმა უნდა, შაკილ ო'ნილზე – 2000-02 წლების სეზონებში მან, „ლეიკერსის“ შემადგენლობაში, ზედიზედ სამჯერ მოიგო ყველა კალათბურთელისთვის სანუკვარი ბეჭედი. ისიც სათქმელია, რომ სამივე სეზონში ის ფლეი-ოფის ყველაზე სასარგებლო მოთამაშედ აღიარეს.

„მაიამის“ გაჩემპიონებით კიდევ ერთი ღირსეული კალათბურთელის ოცნება ასრულდა. გარი პეიტონი მიზანთან ახლოს აქამდე ორჯერ ყოფილა, მაგრამ ორივე მცდელობა უშედეგოდ დასრულდა – ჯერ „სიეტლში“ ყოფნისას ფინალურ სერია ლეგენდარულ „ჩიკაგოსთან“ წააგო, შემდეგ კი „ლეიკერსში“ გადაბარგებულმა ანალოგიური სერია „დეტროიტთან“ დათმო. ამჯერად, როგორც იქნა, პეიტონის გუნდმაც იპირველა.

დასასრულ, განვლილი ფლეი-ოფის ყველაზე სასარგებლო მოთამაშედ ზემოთ ნახსენები დუეინ უეიდი გახდა, რომლისთვისაც ეს NBA-ში გატარებული მხოლოდ მესამე სეზონი იყო.

## უიმბლდონზე განთესილნი



მოახლოვდა ყველაზე პრესტიჟული საჩოგბურთო ტურნირი – უიმბლდონი. ორგანიზატორებმა უკვე დაასახელეს განთესილ ჩოგბურთელთა ვინაობა. ასე მაგალითად, ქალთა შორის პირველ ნომრად განთესილია ფრანგი ამელი მორესმო. მეორე ნომრად – ბელგიელი კიმ კლიისტერსი. ხოლო მესამე – მისი თანამემამულე ჟიუსტინ ენენ-არდენი. რუს ვარსკვლავს მარია შარაპოვას მეოთხე ნომერი ერგო, ასევე რუსეთის წარმომადგენელს ანა ჩაკვეტაძეს – 31-ე.

უიმბლდონზე არ ითამაშებს ყოფილი პირველი ჩოგანი, ამერიკელი ლინდსეი დევენპორტი, რომელსაც ტრავმა აწუხებს. იგივე პრობლემა აქვს სერენა უილიამსს.

მეოთხე ჩოგანმა, უიმბლდონის ტურნირის შარშანდელმა გამარჯვებულმა მარია შარაპოვამ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ წელს შეეცდება მეორედ მოიპოვოს ჩემპიონის ტიტული. ვაჟთა შორის მთავარ ფავორიტად, რაღა თქმა უნდა პირველ ჩოგანს შვეიცარიელ როჯე ფედერერს მიიჩნევენ. მისი მთავარი კონკურენტი ესპანელი რაფაელ ნადალი იქნება.

## კურნიკოვა უკვე ბრუნდება?



საჩოგბურთო სამყაროში გავრცელდა სენსაციური ინფორმაცია – ჩოგბურთს უბრუნდება ანა კურნიკოვა. ცნობილია, რომ წლის დასაწყისში, ოთხწლიანი შესვენების შემდეგ კვლავ ათამაშდა ყოფილი პირველი ჩოგანი შვეიცარიელი მარტინა ჰინგისი. როგორც ჩანს, მისმა მოქმედებამ „ხელი უბიძგა“ ანა კურნიკოვასაც, რომელიც ჩოგბურთში ერთ დროს პოპულარული იყო, ოღონდ არა სპორტული მხრიდან.

სინგაპურში გამართულ პრესკონფერენციაზე 25 წლის ანა კურნიკოვამ განაცხადა: „ჰინგისის დაბრუნებით სერიოზული ინტრიგა გამიჩნდა.“ თურმე კურნიკოვა უკვე ვარჯიშს შესდგომია. ჯერჯერობით უცნობია, თუ ზუსტად როდის გამოჩნდება ტურნირებში ანა, რომელსაც ჯერ კიდევ აწუხებს ზურგის ტრავმა.

## ჯონსი – უმცროსი: „წავაგე იმიტომ, რომ მამაჩემი დიდების დარბაზში არ შეეყვანათ“

**პროფესიულ კრივში, ნახევრადმძიმე წონაში მსოფლიოს ყოფილმა აბსოლუტურმა ჩემპიონმა როი ჯონსი-უმცროსმა ჟურნალისტებთან ახსნა თავისი მარცხის მიზეზი ანტონიო ტარვერთან შეხვედრაში... მას თურმე იმიტომ წაუგია, რომ არ სურდა მამამისს, ყოფილ მწვრთნელს როი ჯონსი – უფროსს მიეღო ყველა კოზირი დიდების დარბაზში შესასვლელად.**

**„რომ გამემარჯვა, ვის მიიღებდნენ დიდების დარბაზში? მე რა თქმა უნდა, ღმერთი არა ვარ, მთელი დიდება მამაჩემს დარჩებოდა. ეს კი მას არ დაუმსახურებია“ – თქვა ჯონსი – უმცროსმა.**

## თარიღები

### დაიბადნენ

23 ივნისი

**ვილმა რუდოლფი** (1940) – ამერიკელი მძლეოსანი ქალი, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი.

**ფერნანდა რიბეირო** (1969) – პორტუგალიელი მორბენალი, ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედალოსანი 10 კმ დისტანციაზე რბენაში.

**მარია გვოზდევა** (1972) – ბულგარელი სპორსტმენი, ოლიმპიური ჩემპიონი სროლაში.

**ზინედინ ზიდანი** (1973) – მსოფლიოს ფეხბურთის ვარსკვლავი.

**პატრიკ ვიეირა** (1976) – ფრანგი ფეხბურთელი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი.

**იუდიტ პოლგარი** (1976) – უნგრელი მოჭადრაკე, რომელიც ყველაზე ახალგაზრდა დიდოსტატი გახდა ვაჟთა შორის.

**ჯი უოლასი** (1977) – ავსტრალიელი სპორტსმენი, ოლიმპიური თამაშების ვიცე-ჩემპიონი ბატუტზე ხტომაში.

24 ივნისი

**მიხაილ ოგონკოვი** (1932) – საბჭოთა ფეხბურთელი, 1956 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი.

**ბორის ლაგუტინი** (1938) – საბჭოთა მოკრივე, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი.

**ბორის გელფანდი** (1968) – მოჭადრაკე, დიდოსტატი.

**თომას ჰელვეგი** (1971) – დანიელი ფეხბურთელი „მილანის“ მოთამაშე.

**ედუარდ ციხმეისტრუკი** (1973) – უკრაინელი ფეხბურთელი.

25 ივნისი

**დორინელ მუნტეანუ** (1968) – რუმინელი ფეხბურთელი.

**ჯერი რედნაპი** (1973) – ინგლისელი ფეხბურთელი.

**ვლადიმირ კრამნიკი** (1975) – მოჭადრაკე დიდოსტატი.

26 ივნისი

**ანატოლი მასლენკინი** (1930) – საბჭოთა ფეხბურთელი.

**პაოლო მალდინი** (1968) – იტალიელი ფეხბურთელი, „მილანის“ მცველი, ევროპის ვიცე-ჩემპიონი, ჩემპიონთა თასის მფლობელი.

### მოვლენა

23 ივნისი

1987 – სერგეი ბუბკამ ჭოკით სიმაღლეზე ხტომაში მსოფლიო რეკორდი დაამყარა – 603 სმ.

24 ივნისი

1946 – საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაცია ფიფას წევრი გახდა.

1969 – უიმბლდონის საჩოგბურთო ტურნირზე გაიმართა ყველაზე ხანგრძლივი მატჩი, – ის გრძელდებოდა 5 საათი და 12 წუთი. სულ ჩოგბურთელებმა 112 გეიმი ითამაშეს.

1978 – არგენტინის ფეხბურთელთა ნაკრები მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

1988 – ევროპის ჩემპიონატის ფინალში ჰოლანდიის ნაკრებმა 2-0 დაამარცხა საბჭოთა კავშირის ნაკრები.

## „ნიუიორკიდან“ მწვრთნელი გააგდეს

**ნბა-ს კლუბ „ნიუ-იორკის“ ხელმძღვანელობამ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გაათავისუფლა ლარი ბრაუნი. ამის მიზეზი გახდა არადამაკმაყოფილებელი შედეგები. უკვე ცნობილი გახდა, რომ მას შეცვლის წარსულში ცნობილი კალათბურთელი აიზეა ტომასი. იგი აქამდე „ინდიანას“ ხელმძღვანელობდა.**

## როსი საავადმყოფოში მოხვდა

**მოტომრბოლელ ვალენტინო როსის ავარია შეემთხვა და იგი საავადმყოფოში მოათავსეს. ექიმები დაშავებულს გამოიკვლევენ და ამის შემდეგ დასვამენ ზუსტ დიაგნოზს.**

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




23 ივნისი, პარასკევი

**საქართველოს ტელევიზია. საზოგადოებრივი არხი.** ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. უკრაინა – ტუნისი (18.00), ტოგო – საფრანგეთი (23.00), **რუსთავი 2.** საუდის არაბეთი – ესპანეთი (18.00), შვეიცარია – კორეა (23.00), EUROSPORT. ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა (10.30, 13.00, 22.15), მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდები (12.00), ჩოგბურთი. ვტა-ს ტურნირი დიდ ბრიტანეთში (14.30), მოტორბოლები (16.00), ჩოგბურთი. ატპ-ს ტურნირი ჰოლანდიაში (17.15), მოტოფრისტაილი (23.00), რალი (1.00), ექსტრემალური სპორტი (1.45). EUROSPORT-2. ახალი ამბები (7.00), ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. პრესკონფერენცია (11.45, 12.45, 13.45), ჩოგბურთი. ვტა-ს ტურნირი (16.00, 0.00), მოტორბოლები (19.00), ორთაბრძოლები (20.00), ჩოგბურთი (22.00).

24 ივნისი, შაბათი

**საქართველოს ტელევიზია. საზოგადოებრივი არხი.** ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. მერვედფინალი (19.00), „ფორმულა-1“. საკვალიფიკაციო (1.15), **რუსთავი 2.** ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატის მერვედფინალი (23.00), EUROSPORT ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა (10.30, 11.30, 18.30), ექსტრემალური სპორტი (11.00), საპლაჟო ფრენბურთი. მსოფლიო ტური, შვეიცარია (11.00), მოტორბოლები (13.00), ჩოგბურთი. ატპ-ს ტურნირი ჰოლანდიაში (20.00), ვტა-ს ტურნირი დიდ ბრიტანეთში (21.00), ფეხბურთი. პროგრამა „გოლი“ (22.45), სროლა (23.00), რალი (1.00), EUROSPORT-2. მოტორბოლები (12.00), საპლაჟო ფრენბურთი (13.00), ჩოგბურთი. ვტა-ს ტურნირი ისტბურნში (15.00), ატპ-ს ტურნირი ჰერტოგენბოსში (23.00). მოტორბოლები (19.00), საპლაჟო ფრენბურთი (22.00).

25 ივნისი, კვირა

**საქართველოს ტელევიზია. საზოგადოებრივი არხი.** ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. მერვედფინალი (23.00) **რუსთავი 2.** ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. მერვედფინალი (19.00), EUROSPORT. ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (10.30), საპლაჟო ფრენბურთი. მსოფლიო ტური შვეიცარიაში (11.00), მოტორბოლები (17.00), ორთაბრძოლები (18.30), რაგბი. მსოფლიოს 21-წლამდელთა ჩემპიონატი საფრანგეთში (20.00), ავტორბოლები. მსოფლიო სერია აშშ-ში (22.45), ევროსპორტის ახალი ამბები (1.00), კრივი (1.45). **EUROSPORT 2.** ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. პრესკონფერენციები (7.45, 8.45, 9.45, 10.45), მოტორბოლები (11.30), ჩოგბურთი. ვტა-ს ტურნირი (13.15), საპლაჟო ფრენბურთი (14.15), კარტინგი (19.00), რალი (20.00), საპლაჟო ფრენბურთი (23.00).

## კროსვორდი



## 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში „ლელოს“ კროსვორდში

**თარაზულად:** 6. ესპანელთა მწვრთნელი, 9. ბრაზილიელთა მცველი, 11. იაპონელთა თავდამსხმელი, 12. მექსიკელთა თავდამსხმელი, 14. ხორვატიელთა ნახევარმცველი, 15. ინგლისელთა ნახევარმცველი, 17. იაპონელთა მწვრთნელი, 18. ინგლისელთა მცველი, 21. შვედთა მეკარე, 25. ყველა დროის საუკეთესო ბრაზილიელი ფეხბურთელი, 26. ტუნისელთა მწვრთნელი, 27. ესპანელთა მცველი, 28. ტოგოელთა ნახევარმცველი.

**შვეულად:** 1. ჩეხთა მცველი, 2. კორეელთა თავდამსხმელი, 3. კორეელთა მეკარე, 4. უკრაინელთა მცველი, 5. კოსტარიკელთა მეკარე, 7. ჩემპიონატის მასპინძელი ქვეყანა, 8. ჰოლანდიელთა მეკარე, 10. განელთა მეკარე, 13. გერმანელთა ნახევარმცველი, 16. არგენტინელთა ნახევარმცველი, 19. ესპანელთა ნახევარმცველი, 20. ირანელთა მცველი, 22. ირანელთა მცველი, 23. ინგლისელთა თავდამსხმელი, 24. არგენტინელთა თავდამსხმელი.

შეადგინა თორნიკე გაჩეჩილაძემ.

## საჭადრაკო ეტიუდი

ჰილდებრანდი (1988 წ)



თეთრები იგებენ

№44-ში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა: 1. ეf4+
1. ..... კe2 2. ეd4 მფc8 3. ე:h4 c3+ 4. მფc6 კf3 5. მფb5 c2 5.ეc4.....

### წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 7. პორტუგალია, 8. ონო, 9. ფრედი, 10. იტალია, 11. ჩოი, 12. აგასა, 13. დოი, 16. სისე, 18. გუედე, 22. ზიკო, 23. ნოვოტნი, 25. ლიპი, 26. საა, 27. ნეფზი, 28. ლი.

**შვეულად:** 1. როდრიგესი, 2. ჰუტი, 3. ბაკი, 4. დიდა, 5. კოვაჩი, 6. ვოლფი, 14. ოგურო, 15. „უდინეზე“, 17. საიდი, 19. კოქსი, 20. ჩო, 21. კელი, 24. ვენა.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე